ISBN 978-9941-0-9278-7

26 მაისი
ეს დღე ჩვენია

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

სსიპ – ფინანსთა სამინისტროს აკადემია
გორგასლის ქ. 10,
თბილისი 0114, საქართველო
ტელ.: +99532 226 10 26
ელ-ფოსტა: Academy@mof.ge
ვებ-გვერდი: www.mofacademy.ge

თბილისი
2016

კრებულის შესახებ

სტატიათა კრებული თემაზე „საქართველოს პირველ რექსპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა“ გამოიცა 2016 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში. სტატიები შეირჩა კონკურსის შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები.

კონკურსის ორგანიზება განახორციელა სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიამ.

ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მოწოდებულია საზოგადოების ყველა სეგმენტს შესთავაზოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, თანამედროვე და მოთხოვნებზე მორგებული მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამები და ტრენინგები.

აკადემია მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც სახელმწიფო, ასევე, ბიზნეს სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საუნივერსიტეტო წრეებთან. აკადემიის პრიორიტეტული მიმართულებებია: ფინანსები, ბიუჯეტირება, საგადასახადო ადმინისტრირება, სახელმწიფო შესყიდვები, ბუღალტერია, მენეჯმენტი, უცხო ენები და პროფესიული უნარების განვითარებაზე მიმართული სხვა პროექტები.

აკადემია დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებას:

სწავლების საჭიროებათა ანალიზი

ტრენინგის საჭიროებათა ანალიზი არის საუკეთესო გზა მიზნობრივი აუდიტორიის საჭიროებების გამოსავლენად. პროცესში გათვალისწინებულია აუდიტორიის გამოკითხვა და გასაუბრება. მიღებული

შედეგების მიხედვით მუშავდება მსმენელთა მოთხოვნებზე მორგებული, შედეგზე ორიენტირებული სასერტიფიკაციო და ტრენინგ პროგრამები, რაც ზრდის სწავლების შედეგს, ეფექტურობასა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების რეალურ შესაძლებლობას.

სასერტიფიკაციო და ტრენინგ პროგრამები

ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში სასერტიფიკაციო და ტრენინგ პროგრამები ზრდასრულთა სწავლების პრინციპებზეა აგებული და ეფუძნება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. სასწავლო პროგრამები არის მოქნილი და მსმენელზე ორიენტირებული. აკადემიაში შემუშავებული პროგრამები თეორიულ სწავლებასთან ერთად ორიენტირებულია პრაქტიკული გამოცდილების შეძენაზე, რაც მსმენელებს პროფესიულ და კარიერულ განვითარებაში დაეხმარებათ.

ელექტრონული სერვისები

ფინანსთა სამინისტროს აკადემია დაინტერესებულ პირებს სთავაზობს ელექტრონულ კურსებს, რომლებიც მოიცავს ფინანსური მიმართულების საკითხებსა და თემებს, ასევე, ზოგადი უნარების განვითარებაზე მიმართულ ტრენინგებს.

შეფასების ცენტრი

საკადრო რესურსის განვითარებისათვის აკადემიაში მოქმედებს შეფასების ცენტრი. აკადემია 10 მიმართულების ექსკლუზიურ ტესტირების პროგრამას ფლობს, რომლებიც თანამშრომელთა სწორად შერჩევისა და გადანაწილების საშუალებას იძლევა. კვლევების განხორციელება შესაძლებელია შემდეგი ტესტების გამოყენებით: ვერბალური და რაოდენობრივი უნარების, არავერბალური ინტელექტის საკვლევი - IQGAMA, ყურადღების და/ან მეხსიერების დიაგნოსტირების, ვიზუალური აღქმის, კრიტიკული აზროვნების, მინესოტას ფსიქოლოგიური და პიროვნული პორტრეტების და მოტივაციური პროფილის შემუშავების ტესტები.

პერსონალური მრჩეველი

ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ პერსონალური მრჩევლის მომსახურებით, რაც გულისხმობს დამატებით კონსულტაციასა და ინფორმაციის მიწოდებას იმ სასერტიფიკაციო, სტაჟირებისა და ტრენინგ პროგრამებზე, რომლებიც დაინტერესებული პირის მომავალი წარმატებული კარიერის წინაპირობა გახდება.

ფინანსთა სამინისტროს აკადემია ხარისხის მართვის საერთაშორისო სერტიფიკატის ISO 9001:2008 მფლობელია. ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებისა და მისი მოთხოვნების დანერგვა გულისხმობს ორგანიზაციის სერვისებისა და სასწავლო პროგრამების ხარისხის მუდმივ კონტროლს, სამუშაო პროცესებისა და რესურსების ეფექტურობის ზრდას. ფინანსთა სამინისტროს აკადემია მუდმივად ზრუნავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ფინანსთა სამინისტროს აკადემია, საუკეთესოდ აღჭურვილი აუდიტორიებითა და სასიამოვნო გარემოთი, მუდამ მზად არის, უმასპინძლოს და სათანადო მომსახურება გაუწიოს დაინტერესებულ პირებს. ესტუმრეთ აკადემიას და მოარგეთ ცოდნა თქვენს საჭიროებებს.

სარჩევი

ნოდარ ხადური	5
მარიამ ტოკლიკიშვილი	11
თამარ ბარამია	19
რუსუდან ბექთეშაშვილი	32
ნიკა დუდაშვილი	39
თენგიზ მიქელაძე	44
ნათია მჟავია	53
ნიკა პირველაშვილი	60
მარიამ უცუნაშვილი	69
ანა ჩარკვიანი	74
ნინო ჩუთლაშვილი	82
რეომირი ჭითანავა	91

ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში

ორ წელიწადში 100 წელი გახდება მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა, საქართველომ დამოუკიდებლობა დაიბრუნა, რაც ძალიან მძიმე ბრძოლისა და თავისუფლებისთვის უწყვეტი ლტოლვის შედეგი იყო.

1801 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, ბევრ სერიოზულ აჯანყებასა და გამოსვლას ჰქონდა ადგილი ქვეყანაში. დამოუკიდებლობის იდეა, პრაქტიკულად, ყველა ცნობილი ქართველი მოღვაწის საფიქრალსა და საზრუნავს წარმოადგენდა, მათ შორის, იყვნენ სოლომონ დოდაშვილი და ილია ჭავჭავაძე, სხვა ცნობილი პოეტები და საზოგადო მოღვაწეები. 1918 წელს, ეს ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, საქართველოსა და რუსეთის იმპერიას შორის კავშირები პრაქტიკულად გაწყდა, რაც შემდეგ, 1918 წლის გაზაფხულზე, ამიერკავკასიის სეიმის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებაში გადაიზარდა.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ეს მოხდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის თეთრ დარბაზში, სადაც მეფისნაცვლის რეზიდენცია, მოგვიანებით კი საქართველოს მთავრობა იყო განთავსებული.

იმავე პერიოდში, იმავე დარბაზში, ოღონდ ერთი დღის გამოტოვებით, გამოცხადდა კიდევ ორი ახალი სახელმწიფოს შექმნის შესახებ - ეს იყო სომხეთი და აზერბაიჯანი. საინტერესოა, რომ თითქმის ერთი თვის განმავლობაში თბილისი სამი სხვადასხვა სახელმწიფოს - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დედაქალაქი იყო. შემდეგ, სომხეთის მთავრობა გადავიდა ერევანში, აზერბაიჯანის მთავრობა - განჯაში, ხოლო განჯიდან - ბაქოში.

დამოუკიდებლობა არ არის უბრალოდ კონსტიტუცია. რა თქმა უნდა, კონსტიტუცია, კანონები, სუვერენიტეტი, საკუთარ ტერიტორიაზე გადაწყვეტილებების მიღების სუვერენული უფლება - ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ დამოუკიდებლობას გააჩნია კიდევ სხვა მდგენელები და, სამწუხაროდ, ეს მდგენელები საქართველოს მაშინ არ ჰქონდა.

არათუ მაშინ, 1991 წელს ანუ 25 წლის წინ, როდესაც 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა, ახალი ისტორია არ დაწყებულა... მაშინაც, უკვე მეორედ ერთი

საუკუნის განმავლობაში, ის დილემის წინაშე დადგა - როგორ ემართა ქვეყანა; მართვის ეკონომიკური ბერკეტები ქვეყანაში არ არსებობდა.

სამწუხაროდ, სიტუაცია თითქმის ანალოგიური იყო ორივე პერიოდში: 1918 წელი - პირველი მსოფლიო ომი და გაჩანაგებული მეურნეობა, 1991 წელი - ასევე, ძალიან მძიმე მდგომარეობა; 1991 წლიდან საქართველოში რამდენიმე შეიარაღებულ კონფლიქტს ჰქონდა ადგილი, რასაც თან ახლდა სატრანსპორტო ბლოკადა, ენერგო ბლოკადა და ა.შ.

რას ფიქრობდნენ პირველი რესპუბლიკის დამფუძნებლები, როგორი ქვეყნის აშენება სურდათ, რა უნდა ყოფილიყო ქვეყნის დამოუკიდებლობის საფუძველი?

შეიძლება, დღევანდელი გადასახედიდან სხვა ასპექტებს მიექცეს ყურადღება, მაგრამ იმ პერიოდში, ქვეყანას არ ჰქონდა დიდი გამოცდილება და თან, იმდენად მძიმე პოლიტიკური სიტუაცია იყო გარშემო, რომ ხელისუფლების მთავარ საზრუნავს, სამწუხაროდ ეკონომიკა არ წარმოადგენდა. თუმცა, ეკონომიკაზე ფიქრის გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა ქვეყნის წარმატება... ელემენტარულად, სახელმწიფოს სჭირდება ბიუჯეტი, ხელისუფლებას სჭირდება ხარჯების გაწევა თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, ა.შ.

1918-1921 წლებში გადადგმული ნაბიჯები შესაძლოა, არაორდინალური იყო, მაგალითად, 1918 წელს დაწყებული მიწის რეფორმა. რეალურად, იმ პერიოდის მკვლევარები აღიარებდნენ, რომ ეს იყო 1861 წლის რეფორმის[1] გაგრძელება, რომელიც იმ პერიოდში მხოლოდ დეკლარირებული იყო. 1918 წელს აღნიშნული რეფორმა ორი ძირითადი მიმართულებით განხორციელდა: პირველ ეტაპზე განისაზღვრა მიწის ფართობის მაქსიმუმი, რომლის ზემოთაც მოხდა ჩამორთმევა; მეორე ეტაპი უფრო რთული აღმოჩნდა - ეს მიწა გარკვეული მოცულობებით უნდა განაწილებულიყო გლეხებზე, ოღონდ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვაგვარად.

მნიშვნელოვანი იყო საფინანსო სექტორში გადადგმული ღონისძიებები: ფულის რეფორმა; მისი შემადგენელი ნაწილი - საბანკო სისტემის რეფორმა და ეროვნული ბანკის დაფუძნება, რაც იმ პერიოდისთვის რევოლუციური ნაბიჯი იყო. იმხანად, სულ ორიოდე ქვეყანა იყო, რომელსაც ასეთი საბანკო სისტემა ჰქონდა; და საბაჟოს რეფორმა.

1 რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის დეკრეტით გატარებული რეფორმა, რომელიც „ბატონ-ყმობის გაუქმების“ სახელითაა ცნობილი.

შევჩერდებით ბიუჯეტზეც - ქვეყანაში არ არსებობდა ბიუჯეტის ცნება, რადგან მეფის რუსეთში სხვანაირი მოწყობა და გადასახადები იყო. საქართველოშიც არ არსებობდა გადასახადები იმ მოცულობით და, რეალურად, ქვეყანა ნედლეულის ხარჯზე ცხოვრობდა. ეს ნედლეული იყო ნავთობი, რომლიც შირაქის ველზე მოიპოვებოდა, „შავი ქვა“ - ასე უწოდებდნენ მაშინ მარგანეცს, თამბაქოს ნედლეული, აბრეშუმის პარკი და მატყლი.

პირველი, რაც ხელისუფლებამ გააკეთა - გამოაცხადა სახელმწიფო მონოპოლიები. მაგალითად, თუ მანამდე იყო 250 საწარმო, რომელიც ჭიათურაში მუშაობდა, მათი რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, რადგან მსოფლიო ბაზარზე „შავი ქვის“ ფასმა მკვეთრად დაიწია და კომპანიები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ. ხელისუფლებამ გადაწყვიტა ეს სფერო შემოსავლის წყარო გამხდარიყო და ამ დარგში სახელმწიფო მონოპოლია გამოცხადდა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს პირველ ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატები იყვნენ, რომლებსაც თავისი მკვეთრად ჩამოყალიბებული შეხედულებები ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდა ყოფილი სოციალ-დემოკრატების მეორე ნაწილისგან, რომლებიც თავს ბოლშევიკებს უწოდებდნენ[2], მათი იდეოლოგია მაინც სოციალ-დემოკრატიული იყო.

მეორე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლის განხორციელებაც დაიწყო, ფულის რეფორმა იყო. ქვეყნის ბიუჯეტში არ იყო ფული, რის გამოც ბიუჯეტის დაფინანსება ემისიის მეშვეობით ხდებოდა. ამავე დროს, არ არსებობდა ფულის ნიშანიც. ეს ფულის ნიშანი საიდანღაც უნდა მოსულიყო - რუსეთის ბანკი საქართველოსათვის ემიტენტი აღარ იყო.

რუსეთის ბანკს საქართველოში ჰყავდა წარმომადგენლობა - ეს იყო თბილისის კანტორა, რომელიც შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ბანკის ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად. ამ პერიოდში ძალიან დიდ როლს თანაშობდა ფინანსთა სამინისტრო, რადგან ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორიც იყო რუსეთი და საქართველო, სწორედ ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავდა თუ როგორი პოლიტიკა უნდა განეხორციელებინა ბანკს.

საქართველოს პირველი ფინანსთა მინისტრი იყო ბატონი გიორგი ჟურული. შემდეგ - კონსტანტინე კანდელაკი[3]. სწორედ ჟურულისა და კანდელაკის დამსახურება იყო, რომ როდესაც საუბრობდნენ საბანკო

2 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სწორედ ისინი იყვნენ ხელისუფლებაში.
3 ორივე მათგანი ლევილის ქართველთა სასაფლაოზეა დაკრძალული

სისტემაზე, სახელმწიფო ბანკზე, მათი წინადადება იყო, საფუძვლად აღებულიყო არა რუსული მაგალითი, სადაც ბანკი ფინანსთა სამინისტროს მმართველობის ქვეშ ფუნქციონირებდა, არამედ ყოფილიყო სახელმწიფო ბანკი, რომელიც იქნებოდა დამოუკიდებელი და ანგარიშვალდებული პარლამენტის ანუ ეროვნული საბჭოს წინაშე; ხოლო ფინანსთა სამინისტროს არ უნდა ჰქონოდა უფლება ეროვნული ბანკისაგან ესესხა ფული.

98 წლის წინ ეს იყო ძალიან გაბედული და პროგრესული ნაბიჯი, რომელიც საქართველოში გადაიდგა. თუმცა, პრობლემა მაინც არსებობდა. პრობლემა იყო ის, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა შემოსავალი.

იმ პერიოდში საქართველოს თვეში დაახლოებით 80 მილიონი მაშინდელი მანეთი სჭირდებოდა, რომლის რესურსი არ არსებობდა, ამიტომ ჯერ დაიწყეს ამიერკავკასიის ბონების გამოშვება, მაგრამ შემდეგ, როდესაც სომხეთმა და აზერბაიჯანმა უარი განაცხადა ამ ფულის მომსახურებაზე, დაიწყო საუბარი იმაზე, რომ გამოეშვათ ქართული ვალუტა. თუმცა, ხელისუფლებამ ვერ მოასწრო ეროვნული ვალუტის გამოშვება და შემოღებული იქნა დროებითი ვალუტა[4], რომელსაც ბონი ერქვა.

სამწუხაროდ, ბიუჯეტის დაფინანსება ემისიით ხდებოდა. თუ მანამდე ერთი ფუნტი სტერლინგი 14 მანეთი ღირდა, შემდეგ 5000 მანეთზე მეტი გახდა[5]. ამასთან, ფასებიც იზრდებოდა, მაღალი იყო ინფლაცია.

1918-1921 წლებში ჩაეყარა საფუძველი უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს, კონტროლის პალატის და სტატისტიკის სამსახურის შექმნასაც. ეს სამსახურიც დამოუკიდებელი სტრუქტურა უნდა ყოფილიყო, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ანალიზს გააკეთებდა.

1921 წლისა და ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის შედარებისას, აღმოვაჩენთ, რომ ბევრი დებულება ემთხვევა ერთმანეთს. მსგავსებაა კონტროლის პალატასთან, ანუ დღევანდელი აუდიტის სამსახურთან მიმართებაშიც. აუდიტის სამსახურის პირველი, მთავარი კონტროლიორი იყო ფილიპე გოგიჩაიშვილი. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, უაღრესად განათლებული ადამიანი იყო. შემდეგ, ბატონი ფილიპე გადადგა თანამდებობიდან და თქვა - სხვა აირჩიეთო, მაგრამ ამ თანამდებობაზე კვლავ ის აირჩიეს. მას ჰქონდა უდიდესი გამოცდილება. სწორედ მაშინ შეიქმნა შიდა აუდიტის პირველი ჩანასახი. ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის არასწორი განკარგვის, ამ

4 ისტორია 70 წლის შემდეგაც განმეორდა, როდესაც საქართველოში არა სრულფასოვანი ვალუტა, არამედ „რუსული რუბლის წარმომადგენელი“ - ეროვნული ბანკის კუპონი გამოუშვეს მიმოქცევაში.

5 მაშინ დოლარი ასეთი პოპულარული და აქტიური ვალუტა არ ყოფილა.

სფეროში შესაძლო დანაშაულის ჩადენის პრევენცია, ა.შ. ის უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი საკონტროლო სამსახური და არ შესულიყო რომელიმე სამინისტროს შემადგენლობაში.

რაც შეეხება საბაჟო რეფორმას, სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი დღეს არსებულ საბაჟო სამსახურს. მანამდე, საქართველოში, რა თქმა უნდა, არსებობდა საბაჟო - გამშვები პუნქტები, რადგან რუსეთის იმპერიას ჰქონდა საზღვარი, მათ შორის, თურქეთთან. იყო, ასევე, საზღვაო საბაჟოები ფოთში, ბათუმში, ა.შ. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას მოუწია საბაჟო-გამშვები პუნქტების გახსნა იქ, სადაც 100 წლის განმავლობაში მსგავსი რამ არ ყოფილა. ეს იყო საქართველო - რუსეთის საზღვარზე, საქართველო - სომხეთსა და საქართველო - აზერბაიჯანს შორის.

სამწუხაროდ, 1919 წლიდან დაწყებული რეფორმა, პირველ წლებში არ იყო ორიენტირებული ექსპორტის ხელშეწყობაზე. ძირითადი აქცენტი გადადიოდა საბაჟოს ფისკალურ ფუნქციაზე, რაც ეკონომიკური მდგომარეობის გამოძახილი იყო - დაუცველი შიდა ბაზარი, გაუმართავი ინფრასტრუქტურა საჭიროებდა ფინანსებს.

თუმცა, დღეისთვის საბაჟო ფუქნციონირებს უმაღლესი სტანდარტების დაცვით. საბაჟოს ორი ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს: პირველი - ფისკალური, სახელმწიფო ბიუჯეტში გარკვეული ტიპის შემოსავლების შემოტანა; მეორე, და უფრო მნიშვნელოვანი - ქვეყნის ეკონომიკური საზღვრის დაცვა.

ძალიან საინტერესო რამ მოხდა, ეს უკვე უახლეს წარსულში - 1992 წელს, საქართველოში იმპორტი უფრო ნაკლებად იბეგრებოდა, ვიდრე ექსპორტი. დღეს, ექსპორტი ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, რათა ქვეყნიდან რაც შეიძლება მეტი საქონელი გავიდეს საზღვარგარეთ და ქვეყნის ეკონომიკა გაძლიერდეს. გატანილი საქონელი ნიშნავს იმას, რომ ფართოა მოხმარების ბაზარი. დღეს საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, ევროკავშირთან, უკვე დასრულდა მოლაპარაკებები ჩინეთთანაც, რაც ნიშნავს იმას, რომ თითქმის 2 მლრდ. ადამიანთან გვაქვს თავისუფალი ვაჭრობა; ანუ ქართველ მწარმოებლებს საშუალება აქვთ, ყოველგვარი ბარიერის გარეშე გაყიდონ საქონელი აღნიშნულ ბაზრებზე. ეს უზარმაზარი შესაძლებლობაა.

სამწუხაროდ, პირველი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა ძალიან მალე დასრულდა. 1921 წლის 25 თებერვალს, თბილისი აიღეს ბოლშევიკებმა, წითელი არმიის ჯარებმა, თუმცა, მას შემდეგაც დამოუკიდებლობის იდეა ყოველთვის ცოცხლობდა ჩვენს ქვეყანაში.

1991 წლის 9 აპრილს, 25 წლის წინ, საქართველომ აღადგინა

დამოუკიდებლობა და დაიწყო რეფორმების განხორციელება. ცხადია, იყო შეცდომები და შეფერხებები ეკონომიკის განვითარებაში, რაზეც თავისთავად დიდი გავლენა იქონია გადატანილმა ომებმა. 1991 წელთან შედარებით, 1993 წელს პრაქტიკულად, ეკონომიკის 1/3 იყო დარჩენილი. ასეთი დაცემა საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებიდან თითქმის არცერთ ქვეყანას ჰქონია.

დღეს სიტუაცია შეცვლილია. 1921 წლისგან განსხვავებით, საქართველოს დამოუკიდებლობას აქვს უამრავი საფუძველი. საქართველო ნამდვილად შედგა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დამოუკიდებლობისათვის დამახასიათებელი უამრავი ნიშნით: მას აქვს დამოუკიდებელი საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, საბანკო სისტემა; შეუძლია სუვერენული უფლებების გამოყენება ეკონომიკური კანონმდებლობის, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში, ა.შ.. ახლანდელი საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმატებაში იმ ადამიანთა დიდი დამსახურებაცაა, რომლებიც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობას აცხადებდნენ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი
პროფესორი ნოდარ ხადური

მარიამ ტოკლიკიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

„სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო
თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“
კონსტანტინე გამსახურდია

სტატიაში საუბარია ყველა იმ მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეფორმებსა და პოლიტიკაზე, რომელიც გაატარა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღიდან, 1918 წლის 26 მაისიდან. სტატიის ძირითადი მიზანი არის საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმების გატარების შედეგად მიღებული გამოცდილების გაზიარება თანამედროვე საქართველოში, განსაკუთრებით კი იმის ანალიზი, მოხდა თუ არა XX საუკუნის 90-იან წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, გამოყენება იმ წარმატებული რეფორმებისა, რომლებმაც უკეთესობისკენ შეცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება. განხილულია ის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სიტუაცია, რაც იყო დამახასიათებელი იმდროინდელი საქართველოსათვის. აღნიშნულია თითოეული ეკონომიკური რეფორმის გატარების მნიშვნელობა და მათი შემდგომი სარგებლიანობა ქვეყნისათვის.

* * *

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად აღიარებულ იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა. პირველად საქართველოს ისტორიაში შეიქმნა ახალი ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობა - ევროპული ტიპის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა.

ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა მისი მეურნეობა, ხოლო რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ მდგომარეობა უფრო დაამძიმა. მოშლილი იყო მრეწველობა და ტრანსპორტი, განსაკუთრებით ჭირდა სურსათი. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში არსებობდა სხვა მრავალი სერიოზული პრობლემა: დაცარიელებული ხაზინა, გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა,

დაქვეითებული საშინაო და საგარეო ვაჭრობა, გარესამყაროსაგან იზოლაცია, ენერგეტიკული კრიზისი, უმუშევრობა, ინფლაცია, სპეკულაცია, შიმშილი, რუსეთის მიერ დამკვიდრებული ეკონომიკის მართვის სისტემებისა და ჩამორჩენილი ეკონომიკური აზროვნების გადმონაშთები, გარდა ამისა, ხელისუფლებას დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის არ გააჩნდა არავითარი თანხები მყარ ვალუტაში. საჭირო იყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის დაწყება, თვისობრივად ახლებური ტიპის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემის ფორმირება. აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცება.

საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების განხორციელების სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა: ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება, დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა და მათ შორის, საკუთარი ფულის მოჭრა; სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება; რიგი პროდუქტების მიმოქცევაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება; აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სხვ. მანამდე კი, ვიდრე ეს რთული საქმე მოგვარდებოდა, მთავრობა ყველა ზომას მიმართავდა შიდა და საგარეო სესხების მოსაზიდად.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსური საკითხი უნდა გადაეწყვიტა. სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის ქვეყანას ესაჭიროებოდა საკუთარი ფინანსური და მთლიანობაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, 14 მარტის სხდომაზე კი განიხილეს ეკონომიკის განვითარების გარკვეული შედეგები[1], განვლილ პერიოდში 1 იანვრამდე (7 თვეში) ხაზინის შემოსავალმა - 96.158.000, ხარჯებმა - 342.244.000, ხოლო დეფიციტმა კი 246.086.000 მანეთი შეადგინა. იმპორტი - 140.929.260, ექსპორტი 87.494.105 მანეთის ტოლი იყო, ანუ იმპორტი აღემატებოდა ექსპორტს 53.495.085 მანეთით. ქვეყანა განსაკუთრებით პურისა და შაქრის იმპორტს საჭიროებდა.

ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო ხაზინის შევსება, მანეთის კურსიც ეცემოდა, ხალხი გადაჩვეული იყო გადასახადების გადახდას, ქვეყნისთვის აუცილებელი იყო ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც გადასახადების აკრეფას მოაწესრიგებდა. პირდაპირი გადასახადების მექანიზმების მოწესრიგება. ამ მიზნით, მთავრობა ინტენსიურად შეუდგა შემოსავლისა და ქონების მიხედვით პროგრამული გადასახადის შემოღებას და საგადასახადო სისტემის გარდაქმნას მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად.

სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება თვლიდა, რომ წარმოების კოლექტიურ და კერძო ფორმებს შორის არც ერთს არ უნდა მიეცეს უპირატესობა, იგი ცხოვრებამ უნდა განსაზღვროს. ეკონომიკური პოლიტიკა ისე უნდა წარიმართოს, რომ წარმოების არც ერთი დარგი არ უნდა

1 scssa, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 651, ფურცელი 30

გაბატონდეს მეორეზე. ყველა მათგანმა თავისუფალი რეჟიმის პირობებში უნდა იფუნქციონიროს. ამ პრინციპებზე დაარსდა მომარაგების სამინისტრო, რომელსაც ეკონომიკური ცხოვრება უნდა მოეწესრიგებინა.

ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენების მიზნით მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა: ყოველგვარი მადნეულის სახელმწიფო საკუთრებად აღიარება და შესაბამისი კანონპროექტის წარდგენა ეროვნულ საბჭოში; სახელმწიფო კონტროლის დაწესება საზღვარგარეთ ნედლი მასალის გატანაზე; სოციალური კანონმდებლობის განვითარება და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა; სათანადო ზომების მიღება სურსათით ხალხის უზრუნველსაყოფად.

სასურსათო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი იყო 1919 წლის აპრილის დასაწყისში შემდგარი მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასა და მოკავშირეებს შორის იაფი პურის შემოტანის თაობაზე. შეთანხმების შედეგად ამერიკასა და ინგლისს რეგულარულად უნდა მიეწოდებინა იაფი პური საქართველოსათვის.

მთავრობის პოზიციით, ჯანსაღი ფინანსური მეურნეობა უცხოეთიდან ექსპორტ-იმპორტის საკითხების მოწესრიგებას და მეწარმეობრივი ძალების განვითარებას მოითხოვდა. ამ მიზნით, მთავრობა ითვალისწინებდა ფართო ასპარეზის გახსნას კერძო ინიციატივებისათვის როგორც წარმოების, ისე მიმოქცევის სფეროში, ხოლო სპეკულაციის წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომების მიღების უზრუნველყოფას; ხელშეწყობას ინტენსიური მეურნეობის განვითარებისათვის სოფლად, ახალი წარმოებრივი ძალების შექმნას. ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა მეზობელი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებითაც წარიმართებოდა. მთავრობა ასევე მხარდაჭერას ჰპირდებოდა კოოპერატიულ საზოგადოებებს, შრომის ინტერესების დაცვას, შრომის მწარმოებლურობის გაზრდას.

შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიების გზად, ზოგიერთ საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება ჩაითვალა, რათა მოგების მეტი ნაწილი შესულიყო სახელმწიფო ხაზინაში. ფინანსური სტაბილიზების მიღწევის მიზნით, 1919 წელს ეტაპობრივად გამოცხადდა შავი ქვის (2 აგვისტოს), ფოთლოვანი თამბაქოს (24 ოქტომბერს), მატყლის, აბრეშუმის პარკის (ძაფის და ყაჭის) ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლია, თუმცა, მძიმე სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფი ქვეყნისათვის ნაკლებად შესაძლებელი იყო ასეთი არასაბაზრო მექანიზმებით წარმატებების მიღწევა, მით უმეტეს, რომ ქვეყანას ასეთი მონოპოლიის განხორციელებისათვის აუცილებელი სახსრები არ გააჩნდა.

საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 12 ნოემბრის კანონით „სათამაშო ქაღალდისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა“, ქვეყნის ტერიტორიაზე „სათამაშო ქაღალდის“ დამზადებაზე გამოცხადდა სახელმწიფო მონოპოლია.

1918 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სამკურნალო მადნეულ აბანოებისა, წყლებისა და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებისა“.

აგრარული რეფორმის ასპექტები

საქართველო იმთავითვე აგრარული ქვეყანა იყო და ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინების მთავარ საფუძველს აგრარული რეფორმის სწორად წარმართვა წარმოადგენდა. ამ რეფორმის მთავარი შემოქმედი სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოე ხომერიკი იყო. ქვეყნის მოსახლეობის 80%-ზე მეტი სოფლად ცხოვრობდა, გლეხობის 60-64% ძირითადად იჯარით აღებული მიწით სარგებლობდა. გლეხობა დიდი ხანია ელოდა მიწაზე კერძო საკუთრების პრობლემის მოგვარებას.

მიწათმოქმედების სამინისტრო ძალ-ღონეს არ იშურებდა რეფორმის თანმიმდევრულად ჩასატარებლად. აგრარული რეფორმა ორი ძირითადი საფეხურისაგან შედგებოდა: პირველი, ეს იყო მიწების ნორმის ზევით ჩამორთმევა და მეორე, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

რეფორმის პირველი ნაწილი - მესაკუთრეთათვის ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა

1918 წლის აგვისტოში დაიწყო და 1919 წლის შემოდგომისათვის ეს პროცესი ფაქტობრივად დასრულდა. გლეხობას უმთავრესად აინტერესებდა, როგორი ფორმით განაწილდებოდა ჩამორთმეული მიწები.

მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა მაინც მისაღები იყო როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით: “ამრიგათ რეფორმის გეგმა ასეთია: მიწა მიეცემათ 1) საკუთრებათ, 2) მხოლოდ უმიწა-წყლოთ და მცირე მიწის მქონეთ, 3) მცირე საფასურით (500-1000 მანეთამდე დესეტინა), 4) ფასებს აწესებს სამინისტრო რაიონების მიხედვით, 5) უკანასკნელთა ფარგალში ფასს აწესებს კომისია, მიწის ღირებულების მიხედვით[2].

ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული “მიწის მფლობელთა ხელში დატოვებული მიწის ნორმა და საადგილ-მამულო რეფორმების განსახორციელებელი ზომები” 1918 წლის 7 მარტის კანონის მიხედვით, ვისაც მფლობელობაში ჰქონდა ნაკვეთი განსაზღვრული ნორმის ფარგლებში, მას დამატებით მიწა აღარ ეძლეოდა, ხოლო ვისაც ნაკლები მიწა ექნებოდა, მას შეუვსებდნენ ნორმამდე შესაძლებლობის ფარგლებში[3]. მიწის ფონდიდან ტყეები, წყლები, საძოვრები, მდინარეები, ბუნებრივი

2 scssa, ფონდი 1825, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 20.
3 გაზეთი ერთობა #241, 8 ნოემბერი, 1918 წელი.

წიაღისეული, კულტურული მამულები და სანიმუშო მეურნეობები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა და განაწილებას არ დაექვემდებარა. აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარება დაევალა მიწათმოქმედების სამინისტროს თავის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად (სამაზრო-საერობო გამგეობა, სამაზრო საადგილმამულო გამგეობა, რაიონული კომისიები). მიწათმოქმედების მინისტრს უფლება ენიჭებოდა ნაკლებად შეძლებული გლეხისთვის 2 წლამდე გაეგრძელებინა საფასურის გადახდის ვადა, საერობო ან საადგილმამულო გამგეობიდან შუამდგომლობის საფუძველზე.

სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება და სხვა ინსტიტუციური რეფორმები

სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას დიდად განსაზღვრავს შემოსავალ-გასავლის მკაცრი აღრიცხვა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულება. ყოველი ხარჯი ეკონომიკური აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული. ეს ხდება მაშინ, როდესაც ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ქვეყანა შემოსავალ-გასავალს საფუძვლიანად გააკონტროლებს. ასეთი უფლებებით აღჭურვილია სახელმწიფო კონტროლის ორგანო.

1918 წლის 3 ივნისს ეროვნული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო სხდომაზე განიხილეს საკითხი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღების შესახებ. „სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების“ შესახებ მომზადებული კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 28 ივნისის სხდომაზე ერთხმად დაამტკიცა, რომლითაც განისაზღვრა: საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღება (მუხლი 1); სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს ეროვნული საბჭო, იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე[4];

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო ეროვნული ფულის ნიშნების გამოცემის საკითხი, რამდენადაც დამოუკიდებელი ქვეყანა ეროვნული ვალუტის გარეშე ვერ იარსებებდა. ეროვნული ფულის ნიშნის შემოღება არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. ამ პერიოდში მიმოიქცეოდა “ამიერკავკასიის ბონები”, შემდეგ “საქართველოს ბონი”, რომელიც რუსეთის მანეთთან იყო მიბმული. ამიერკავკასიის ბონები მიმოქცევაში გაუშვეს 1918 წლის 5 თებერვლიდან, იგი თბილისში იბეჭდებოდა. მოგვიანებით დაიბეჭდა 250-მანეთიანი ბონების კუპიურებიც. 1919 წელს 11 ივლისიდან კი დაიწყო ქართული ბონის მიმოქცევა[5].

---

4 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, გვ 15.

5 ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, გვ 278.

აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ საქართველოში არსებული საკმაოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ბონის ღირებულება საშინელი სისწრაფით ეცემოდა, როგორც საკუთარი, ისე იმპორტირებული საქონლის მიმართ. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმოქცევაში იყო სხვადასხვა ფულის ერთეული, მ.შ. ქართული ბონი, მაგრამ სამწუხაროდ, მაშინ ვერ შეიქმნა მყარი ნიადაგი საკუთარი, სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის გამოსაშვებად, თუმცა ამ იდეების ხორცშესხმა მოხდა მრავალი წლის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში 1995 წლიდან, როდესაც მიმოქცევაში შევიდა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტა "ლარი" რომელიც ამჟამადაც მოქმედებს, როგორც ქვეყანაში ერთადერთი საგადასახდელო საშუალება.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის საქმეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1918 წლის 28 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსება, რომელსაც მიენიჭებოდა საემისიო უფლება.

ბანკის წესდების განხილვის დასრულების შემდეგ, დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის სხდომაზე იმსჯელეს "საქართველოს ბანკის დაარსების შესახებ" წარდგენილი დეკრეტის პროექტზე. დოკუმენტმა კანონის ძალა 1919 წლის 31 დეკემბერს მიიღო. პარალელურად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვითარდებოდა კერძო კომერციული საბანკო სტრუქტურები, რისი დამადასტურებელიცაა ის ფაქტი, რომ 1918-1920 წლებში დაარსდა შემდეგი ბანკები: ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი (ძირითადი თანხით 30 მლნ მან, 1920 წელი); საქართველოს კოოპერატიული ბანკი (ძირითადი თანხით 14.600 ათასი მან, 1920 წელი); ევროპა-კავკასიის ბანკი (ძირითადი თანხით 6 მლნ მან, 1918 წელი) ფოთის ქართული ბანკი (ძირითადი თანხით 30 მლნ მან, 1920 წელი) და ჭიათურის ბანკი (ძირითადი თანხით 360 ათ. მან, 1920 წელი). გარდა ამისა, 1919 წლიდან მოქმედებდა იტალო-კავკასიის ბანკი (ძირითადი თანხა 40 მლნ იტალიური ლირა), რომელიც ხელს უწყობდა დემოკრატიული საქართველოს ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარებას[6].

1918 წლის 30 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი "საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა"[7]. აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა ყველა საბაჟო დაწესებულება, რომელიც რუსეთმა დააარსა, საერთოდ 14 საბაჟო დაწესებულება. აღნიშნული საბაჟოების მუშა-მოსამსახურეები განთავისუფლდნენ. ზემოთ ხსენებული 14 საბაჟოს ნაცვლად, საქართველოს ტერიტორიაზე დაარსდა 19 საბაჟო, რომელთაც განაგებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო მთავარი საბაჟოს მეშვეობით. ქართული საბაჟოების მუშაობის ანალიზის შედეგად

6 გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" №68 26 მარტი, 1920 წელი.
7 გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" №41 13 სექტემბერი, 1918 წელი.

ირკვევა, რომ ყველაზე მეტი იმპორტული საქონელი შემოტანილია რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ოსმალეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, იტალიიდან, სომხეთიდან და სხვ. საქართველოდან ყველაზე მეტი საქონლის ექსპორტი განხორციელებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთში, იტალიაში, ოსმალეთში, ინგლისში და ა. შ.

ყოველ ქვეყანაში უნდა არსებობდეს სპეციალური სტატისტიკური სამსახური, ასეთი მოთხოვნა, ბუნებრივია, გაჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებისთანავე. სტატისტიკური სამსახურის დაარსებაზე მსჯელობა დაიწყო 1918 წლის 5 ნოემბრიდან საქართველოს პარლამენტში, კერძოდ, მას შემდეგ, რაც დაიწყო კანონპროექტის "აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული სტატისტიკის შედგენის"[8] შესახებ განხილვა. კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღეს. საბოლოოდ კი 15 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც მიწათმოქმედების სამინისტროსთან დაარსდა სტატისტიკის დროებითი ბიურო, შემდგომი ნაბიჯი სტატისტიკური ორგანოს უფრო მაღალ რანგში აყვანის მიზნით განხორციელდა 1919 წლის 25 ივლისს, მას შემდეგ, რაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი "ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტის დაარსების" შესახებ.

* * *

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. პირველმა მსოფლიო ომმა მსოფლიოს, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა: მოიშალა წარმოება, ფინანსური სისტემა, იმატა ინფლაციამ და ფასებმა, დაეცა მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა, გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები. დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსურ-ეკონომიური კრიზისი უნდა დაეძლია, შეექმნა ეკონომიკის მართვის სათანადო ინსტიტუტების სისტემა, შემოეღო ეროვნული ვალუტა, ჩამოეყალიბებინა ეკონომიკური პოლიტიკის სწორი მიმართულებები. ჩატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმებიც. მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო წლებშიც კი შეიქმნა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. ეკონომიკის განვითარებაზე მძიმედ ზემოქმედებდა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციის ზრდა, ინვესტიციების არასაკმარისობა, წარმოების არასათანადოდ განვითარება. მას შემდეგ, რაც XX საუკუნის 90-იან წლებში კვლავ აღდგა ქვეყნის დამოუკიდებლობა, უაღრესად აქტუალური გახდა დემოკრატიულ საქართველოში (1918-1921 წწ.) დაგროვილი, ზემოთ ჩამოთვლილი, დადებითი გამოცდილების გათვალისწინება ეკონომიკური რეფორმების სფეროში.

8 საქართველოს პარლამენტი (სტენოგრაფიული ანგარიში), 56-ე სხდომა, 1918 წელი, გვ. 13.

Mariam Toklikishvili

Economic Reforms and Policies in the First Democratic Republic of Georgia

Annotation

This article examines main economic reforms and policies that were pursued by Georgian Democratic Republic from the day of restoration its sovereignty on 26th of May, 1918. The fundamental purpose of the article is to share the experience acquired through implementation of economic initiatives and analysis of whether the results brought by successful reforms of that time that improved our country's situation, were applied in 1990ies, after once again regaining independence. The article discusses economic, political and social situation characteristic to Georgia in that period; reviews the importance of each economic reform and their benefits.

ლიტერატურა:

1. პ. გუგუშვილი, - „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“, ტომი მეოთხე, წიგნი პირველი.
2. ათანელიშვილი თამარ, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)“, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია
3. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, http://www.nplg.gov.ge/paperge/ka/browse/002678/1918/

თამარ ბარამია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

„სამი წელი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა უფრო ძლიერი იყო
თავისი განცდის ინტენსიურობით, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი“
კონსტანტინე გამსახურდია

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ეკონომიკური საკითხების განხილვა, რომლის რეფორმაც განხორციელდა 1918-1921 წლებში. დღევანდელი რეალობისთვის მეტად მნიშვნელოვანია წარსული რეფორმებისა თუ პოლიტიკის შესწავლა თუნდაც იმიტომ, რომ ნათლად დავინახოთ არსებული პრობლემატური საკითხები და ამასთანავე განვსაზღვროთ მათი გადაჭრის გზები. სტატია შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ ეკონომიკურ ფაქტორებზე იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკა დაფუძნებული. სამწუხაროდ, სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო, კონკრეტულად ვერ განვიხილეთ თითეული მათგანი, თუმცა ნაშრომი მაინც დაგანახებთ საქართველოს პირველ რესპუბლიკაში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს.

ძირითადი რეფორმის მიმართულებად განისაზღვრა - მმართველობის სისტემა და ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკაში რეფორმების განხორციელების სტრატეგიას წარმოადგენდა დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა და მათ შორის საკუთარი ფულის მოჭრა; სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება; რიგი პროდუქტების მიმოქცევაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება; აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სხვ. საქართველოს მთავრობას და ხალხს საშუალება მიეცა საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის რეკონსტრუქციისკენ და ახალი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიემართა, რაც არცთუ ისე ადვილი იყო. ექსპერტთა აზრით, დემოკრატიულ საქართველოში სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება შეაფერხა მთავრობის მიერ დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმაც. აქვს ამ აზრს თავი ჭეშმარიტი მხარე, თუმცა მე მაინც ვთვლი, რომ არა ის ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მაშინ განხორციელდა, დღევანდელი ჩვენი ეკონომიკური რეალობა მეტად მძიმე იქნებოდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ დასაფასებელია საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები. სახელმწიფოს ჩამოყალიბების სირთულეები მთლიანობაში დაძლეულ იქნა. შეიძლება ითქვას, რომ არა საქართველოს ახალი ანექსია, საქართველო ნამდვილად შეძლებდა დროთა განმავლობაში თავი დაეღწია კრიზისისთვის და დადგომოდა განვითარების გზას.

* * *

შესავალი

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ეკონომიკური საკითხების განხილვა რომლის რეფორმაც განხორციელდა 1918-1921 წლებში. დღევანდელი რეალობისთვის მეტად მნიშვნელოვანია წარსული რეფორმებისა თუ პოლიტიკის შესწავლა თუნდაც იმიტომ, რომ ნათლად დავინახოთ არსებული პრობლემატური საკითხები და ამასთანავე განვსაზღვროთ მათი გადაჭრის გზები. სტატია შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელ ეკონომიკურ ფაქტორებზე იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკა დაფუძნებული. სამწუხაროდ, სტატიის შეზღუდული მოცულობის გამო, კონკრეტულად ვერ განვიხილეთ თითეული მათგანი, თუმცა ნაშრომი მაინც დაგანახებთ საქართელოს პირველ რესპუბლიკაში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს.

(1918-1921) წლის მიმოხილვა

1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ”საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი”. საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა. მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა მისი მეურნეობა, ხოლო რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირების გაწყვეტამ მდგომარეობა უფრო დაამძიმა. დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში სერიოზულ პრობლემებს წააწყდა. ეს იყო: დაცარიელებული ხაზინა, მოშლილი მრეწველობა, გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა, დაქვეითებული საშინაო და საგარეო ვაჭრობა, გარესამყაროსაგან იზოლაცია, ენერგეტიკული კრიზისი, უმუშევრობა, ინფლაცია, შიმშილი, რუსეთის მიერ დამკვიდრებული ეკონომიკის მართვის სისტემისა და ჩამორჩენილი ეკონომიკური აზროვნების გადმონაშთები, და ა.შ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას და ხალხს საშუალება მიეცა საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის რეკონსტრუქციისკენ და ახალი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიემართა, რაც არცთუ ისე ადვილი იყო. დემოკრატიულ საქართველოში სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება შეაფერხა მთავრობის მიერ დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმაც. კერძოდ, მმართველმა პარტიამ ვერ შეძლო ქვეყნის მმართველობის კონცეფციის სრულად რეალიზება. ესკონცეფცია ითვალისწინებდა კაპიტალისტური განვითარების გზას, რომელიც ემყარებოდა სახელმწიფოს, დიდი ბიზნესისა და პროფკავშირების ჰარმონიულად თანამშრომლობის პრინციპს. ამ პრინციპის რეალიზაციამ

დიდი ეკონომიკური აღმავლობის ამოუწურავი შესაძლებლობა მისცა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ავსტრია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დანია, ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი[1], ჰოლანდია და სხვა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საბოლოოდ გამოიკვეთა საქართველოს ეკონომიკური განვითარების კაპიტალისტური ხასიათი. მსოფლიოს სამრეწველო-ეკონომიკური სისტემა მეტროპოლიურ რუსეთთან ერთად თავის ბრუნვაში საქართველოს ეკონომიკასაც ითრევდა.

საქართველოს რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა სოფლის მეურნეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა და ა.შ მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ ქმნიდა ეკონომიკის არსებობისთვის საჭირო ოდენობის თანხებს, მაგრამ ეკონომიკის საერთოდ არარსებობის ფონზე მაინც მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ საჭირო იყო საქართველოს რესპუბლიკისთვის და მით უფრო, ქართველებისთვის. დემოკრატიულ საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების სტრატეგიულ მიმართულებებად განისაზღვრა: ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება, საკუთარი ფულის მოჭრა და საბაჟო სისტემის შექმნა, სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება, ზოგიერთი სახის საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება, აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სოფლის მეურნეობის აღორძინება, შიდა და საგარეო რესურსების მოზიდვა, საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება,მართვა-გამგეობის გამარტივება, სასამართლო რეფორმა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა, კერძო ინსტიტუტების ხელშეწყობა და სხვა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანას შეეძლო ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში არსებობა. უაღრესად აქტუალურია ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა დემოკრატიულ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების ჩატარების პროცესში, კერძოდ, მთავრობის ეკონომიკური დეკლარაციები და მისი ცხოვრებაში გატარება, მათ შორის: სახელმწიფო მონოპოლიების გამოცხადება, რეფორმები აგრარულ, ფულად-საკრედიტო-საბანკო სფეროში სახელმწიფო ბიუჯეტში მეტი თანხების მობილიზების მიზნით ქვეყანაში გამოცხადდა სახელმწიფო მონოპოლია: მარგანეცის (ჭიათურა), ფოთლოვანი თამბაქოს, მატყლის, აბრეშუმის პარკის (ძაფის, ყაჭის) ექსპორტზე. ამასთან, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა საბადოები (გარდა ქვიშის, თიხის, უბრალო სამშენებლო ქვის), სამკურნალო მადნეული აბანოები, წყლები და ტალახები, გარდა ამისა, სახელმწიფო მონოპოლიას დაექვემდებარა «სათამაშო ქაღალდები» (ლატარია...).

მეტად მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ საქართველოს ჰქონდა ეკონომიკური ორგანიზმის შექმნის ყველა აუცილებელი წინაპირობა: კერძოდ, მდიდარი ბუნებრივი რესურსი,

1 შვედეთმა უკვე 50-იანი წლებიდან დაიმკვიდრა ადგილი განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების პირველ ხუთეულში, რომელთაც ერთ სულ მოსახლეზე საერთო საშინაო პროდუქტების წარმოების ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ. შემდგომ წლებში შვედეთი შედიოდა ყველა ზეგანვითარებული ქვეყნების პირველ ათეულში

საკმარისი ტერიტორია და მოსახლეობა, საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობა, სახელმწიფოებრივი მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. რასაკვირველია, ამ ყოველივეს სჭირდებოდა ორგანიზებული მუშაობა სხვადასხვა კურთხით, რომელიც შედეგს დროთა განმავლობაში აუცილებლად გამოიღებდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსური საკითხი უნდა გადაეწყვიტა. სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის ქვეყანას ესაჭიროებოდა საკუთარი ფინანსური და მთლიანობაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადება როდი იყო საკმარისი. ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო ხაზინის შევსება. პირდაპირი გადასახადები თითქმის არ შედიოდა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნავთობის მარაგების ექსპლუატაცია მიმდინარეობდა. ბაქოსში ნავთობის მდიდარი მარაგის არსებობის გამო, ჩვენთან არაეფექტური აღმოჩნდა ნავთობის მოპოვება. ნავთობი, როგორც დიდი შემოსავლის წყარო, რომელზედაც დამყარებული იყო ამიერკავკასიის გადასახადთა სისტემა, მაშინ საქართველოსათვის დაკარგული აღმოჩნდა. გადასახადების თვალსაზრისით, თამბაქოს წარმოებაც საკმაო შემოსავალს იძლეოდა, ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე იმ პერიოდში ყოველწლიურად 600 ათასი ფუთი მაღალი ხარისხის თამბაქო მოჰყავდათ.

იმჟამინდელი ფინანსთა მინისტრის მოადგილის კ. კანდელაკის აზრით, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიღწევა ქვეყნის განვითარების ნორმალურ პირობებშიც კი ურთულესია, მით უმეტეს მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში. ქვეყანას არ ყოფნიდა შემოსავალი, ვერ ისტუმრებდა ფრონტიდან ჯარების დაბრუნების ხარჯებს. გამეფდა ანარქია, ომის შედეგად გამოწვეული კრიზისი კი მეურნეობის ყველა სფეროზე მტკივნეულად აისახა. ასეთ რთულ პირობებში ახალგაზრდა სახელმწიფოს წელში გამართვა არც ისე იოლი საქმე იყო. ყოველივე ამის დაძლევას, მით უმეტეს, როცა საქმე ახალი სახელმწიფოს მშენებლობას ეხებოდა, ხდებოდა მრავალი გაუთვალისწინებელი თუ გათვალისწინებული ხარჯი. თბილისი კავკასიაში ფინანსური კაპიტალის ცენტრი იყო. აქ თავმოყრილი იყო საკრედიტო დაწესებულებები. ფინანსურ მდგომარეობას ქვეყნის ბიუჯეტის არარსებობაც ართულებდა. არსებულ პირობებში შეუძლებელი გახდა გასაწევი ხარჯების წინასწარ გათვალისწინება და შემოსავალ-გასავლის დაბალანსება. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან 19 ოქტომბრამდე ცენტრალური ხაზინიდან გაიცა შემდეგი ხარჯები: სამხედრო უწყებაზე _ 54.522.000, გზათა უწყებაზე _ 34.930.000, შინაგან საქმეთა სამინისტროზე _ 14.400.000, სხვადასხვა ფინანსური ოპერაციისათვის _ 1.472.000, მიწათმოქმედების სამინისტროზე _ 1.054.000, განათლების სამინისტროზე _ 1,001.000 მანეთი, სხვა პროვინციის _ ხაზინებისათვის 9.000.000 მანეთი დაიხარჯა. სულ დახარჯულია 130 მილიონამდე მანეთი, რაც თვეში დაახლოებით 27-28 მილიონს შეადგენს.[2]

2 დანართი #3, თამარ ათანელიშვილი, დისერტაცია, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) გვ.23.

ნათელი იყო, რომ საკუთარი ფულის გარეშე დამოუკიდებელი ქვეყანა ვერ იარსებებდა. ,,1918 წლის 7 თვის თავისუფლება ჩვენმა მთავრობამ 26 მლნ ვალით დაასრულა“. კაპიტალისტურ წყობილებაში შეუძლებელია სახელმწიფომ იარსებოს საკუთარი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების გარეშე. ამას კი მთავრობამ თავისი სწორი ეკონომიკური პოლიტიკით უნდა შეუწყოს ხელი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოოპერატიული მოძრაობის განვითარებასაც. ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარების მიუხედავად, კოოპერატივებმა მაინც შეძლეს კაპიტალის დაგროვება. კოოპერატიული კავშირები ქვეყნის მრავალ რეგიონში შეიქმნა. მომხმარებელთა კოოპერატივების განვითარებამ ხელი შეუწყო კოოპერატიული საწარმოების შექმნას. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა შინამრეწველობის განვითარებას.1919 წლის 12 მარტს გაიხსნა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, 14 მარტის სხდომაზე კი განიხილეს ეკონომიკის განვითარების გარკვეული შედეგები განვლილ პერიოდში იანვრამდე (7 თვეში) ხაზინის შემოსავალმა _ 96.158.000, ხარჯებმა _ 342.244.000, ხოლო დეფიციტმა კი 246.086.000 მანეთი შეადგინა.იმპორტი _ 140.929.260, ექსპორტი 87.494.105 მანეთის ტოლი იყო, ანუ იმპორტი აღემატებოდა ექსპორტს 53.495.085 მანეთით. ქვეყანა განსაკუთრებით პურისა და შაქრის იმპორტს საჭიროებდა. ქვეყნის ძირითადი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ: უკრაინა (110 მლნ), რუსეთი (50 მლნ), ოსმალეთი (32 მლნ), აზერბაიჯანი (6 მლნ), სომხეთი (6 მლნ) და. ა. შ.[3]

ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას ასევე ამძიმებდა დეფიციტური რკინიგზაც. რკინიგზით სარგებლობდნენ რუსეთის ეშელონები, გერმანელი და ოსმალთა ჯარები, ბოლოს კი ინგლისელები. ამის გამო, რკინიგზის ტექნიკური საშუალებები გაცვდა, ქვეყანას კი მისი შეკეთება არ შეეძლო. ასევე, არასაკმარისი იყო სათბობი მასალაც, საუკეთესო მუშაკები, მეტი შემოსავლის მიღების მიზნით, ხშირად გვარდიაში ირიცხებოდნენ.

2. განხორციელებული რეფორმები

მთავრობის რეფორმების პოლიტიკა ძირითადად ეხებოდა სამ მიმართულებას: 1. მმართველობის სისტემას; 2. ადმინისტრაციას და 3. ეკონომიკურ პოლიტიკას. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლებოდა არამარტო ფისკალური პოლიტიკის სრულყოფით, არამედ მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმირების გზითაც. საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების განხორციელების სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა: ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება, დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა და მათ შორის საკუთარი ფულის მოჭრა; სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება; რიგი პროდუქტების მიმოქცევაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება; აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სხვ. მანამდე კი, ვიდრე ეს რთული საქმე მოგვარდებოდა, მთავრობა ყველა ზომას მიმართავდა შიდა

3 თამარ ათანელიშვილი, დისერტაცია, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) გვ.13-14.

და საგარეო სესხების მოსაზიდად. საქართველოს რესუბლიკის პირველსავე წლებში ფინანსური მდგომარეობა დამძიმდა, საგადასახადო შემოსავლებიც აღარ იზრდებოდა, გასახადების წყაროებიც ამოიწურა. საჭირო გახდა შემოსავლის ახალი წყაროების ძიება. შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიების გზად ზოგიერთ საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება ჩაითვალა, რათა მოგების მეტი ნაწილი შესულიყო სახელმწიფო ხაზინაში. ერთ-ერთი ასეთი საქონელი იყო ჭიათურის მაღალხარისხოვანი შავი ქვა _ მარგანეცი, რომლის ექსპორტი არასახარბიელოდ მიმდინარეობდა.

ჩემი აზრით, საქართველოს რესპუბლიკის პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ეროვნული ბანკის შექმნა, საქართველოს სახელმწიფო ბანკის ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი. კანონის შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურას დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი იასონ ლორთქიფანიძე. ფუნქციონირების მცირე ხნის მიუხედავად, ბანკმა საქართველოსათვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და, ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. ამის გამო, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით, გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოსაღებად სამუშაოები 1918 წლიდან მიმდინარეობდა. ვალუტის ძირითად სახელად ,,მარჩილი'' შეირჩა, რომელიც საქართველოში მე-16 საუკუნიდან იყო გავრცელებული.[4]

ეროვნულმა საბჭომ (1918 წ. 28 ივნისს) გადაწყვიტა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღება. სახელმწიფოს კონტროლის ფუნქციებად განისაზღვრა: წინასწარი, ფაქტობრივი და შემდგომი რევიზიების ჩატარება, ბიუჯეტის შედგენა-შესრულებაზე და ხაზინიდან გასაცემ თანხებზე კონტროლი. ამ სისტემაში კონტროლი ორის თავმჯდომარეობით შეიქმნა. ,საერთო საკრებულო გარკვეულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. პირველივე შემოწმების შედეგად გამოვლინდა სერიოზული დარღვევები სამხედრო, რკინიგზის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირებაც.

საქართველოს რესპუბლიკამ 1921 წელს მიიღო კონსტიტუცია, რომელსაც საფუძვლად დაედო დამოუკიდებლობის აქტი. კონსტიტუციის მე-8 თავში განსაზღვრული იყო დღევანდელი კონტროლის პალატის იდენტური “სახელმწიფო კონტროლის” ინსტიტუტი, რომლის ფუნქციაშიც

4 www.nbg.gov.ge

შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე, მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სისწორეზე კონტროლის განხორციელება. აღნიშნული უწყების ხელმძღვანელი ირჩეოდა პარლამენტის მიერ, დამოუკიდებელი იყო მთავრობისაგან და პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე, 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკვე მოქმედებდა ამგვარი ინსტიტუტი. მისი საქმიანობის საფუძვლები განსაზღვრული იყო ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მიერ 1918 წლის 6 დეკემბრის სპეციალური კანონით. 1921 წლის კონსტიტუციის მე-13 თავი ეთმობოდა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა დაცვასა და განმტკიცებას.[5]

3. დასკვნა

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველი პერიოდის სირთულეები მთლიანობაში დაძლეული იქნა. 1920 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში უკვე აშკარად შეიმჩნევა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ნიშნები. საქართველოს დაუბრუნდა ბათუმის ოლქი, რომელიც მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ ერთ ხანს ინგლისელებს ჰქონდათ დაკავებული. აღმავლობას იწყებს მეცნიერება და კულტურა. თბილისში გაიხსნა უმაღლესი სასწავლებლები - უნივერსიტეტი და კონსერვატორია. შეიძლება ითქვას, რომ თუ არა ახალი ინტერვენცია და ანექსია საქართველო თავს დააღწევდა კრიზისს და გააგრძელებდა დამოუკიდებელი განვითარების გზას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. კომუნისტებმა 1920 წლისათვის რუსეთში გაანადგურეს კონტრრევოლუციის მთავარი ძალები და შეუდგნენ იმპერიის ყოველი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას. იმავე წელს მათ ძალით გაასაბჭოვეს აზერბაიჯანი და სომხეთი. ასე რომ, 1921 წლის დამდეგისათვის საქართველო, თავისი სახმელეთო საზღვრების პერიმეტრის 78 პროცენტით უკვე საბჭოთა რესპუბლიკების ალყაში იყო. მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ჰყავდა მეზობლად ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკა.[6] საქართველოს ეკონომიკას არ დასცალდა საბოლოდ ჩამოყალიბებულიყო. ვფიქრობ, რომ არა ხელახალი ოკუპაცია ქვეყანა შეძლებდა ეკონომიკური თვალსაზრისით მყარად მოეკიდა ფეხი, როგორც ქვეყნის შეგნით, ასევე ევროპის ასპარეზზე. მიუხედავად, მთავრობის პოლიტიკის შეცდომებისა, მათ მიმართ არსებული კრიტიკისა თუ შენიშვნებისა, ჩემი სუბიექტური აზრია, რომ მათ იმ სიტუაციაში გააკეთეს ყველაფერი, რისი შესაძლებლობაც ჰქონდათ. რასაკვირველია, მათ მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა დღევანდელ ეკონომიკურ რეალობაზე ნამდვილად იქონია ზემოქმედება.

5 http://www.constcourt.ge/

6 გიორგი ანჩაბაძე, სტატია, საქართველოს დამოუკიდებლობის დროებითი აღდგენა და რუსეთის მიერ მისი ხელახალი დაპყრობა (1918 - 1921 წწ.)“

დანართი #1



დანართი #2

ცხრილი 1

1919-1920 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალ-გასავალი[1]

რიგზე	შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი	ჯ ა მ ი
1	პირდაპირი გადასახადი	108. 929. 700
2	არაპირდაპირი გადასახადი	170. 801. 000
3	ბ ა ჟ ე ბ ი	40. 518. 500
4	მთავრობის რეგალიები	43. 856. 700
5	სახაზინო ქონება და თანხები	747. 369. 760
6	სახელმწიფო ხაზინის ანაზღაურებელი ხარჯები	1. 115. 116
7	სხვადასხვაგვარი შემოსავალი	3. 473. 709
8	საკრედიტო ოპერაციებისაგან	47. 500. 000
		1. 163. 564. 185
9	მთავრობის სამეურნეო ოპერაციებისაგან	796. 926. 313
	სულ	1. 960. 490. 798

რიგზე	გ ა ს ა ვ ა ლ ი	ჯ ა მ ი
1	დამფუძნებელი კრება	10. 495. 515
2	მთავრობის საქმეთა მმართველობა	181. 973. 299-10ʒ
3	შინაგან-საქმეთა სამინისტრო	207. 822. 692-60ʒ
4	სახალხო განათლების სამინისტრო	137. 456. 956
5	სამხედრო სამინისტრო (რეგულ. ჯარი, სახალხო გვარდია)	538. 791 632

23

6	გარეშე-საქმეთა სამინისტრო	21. 264. 296
7	იუსტიციის	55. 092. 753-98ʒ
8	ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო	293. 404. 042
9	მიწათმოქმედების სამინისტრო	83. 646. 396-92ʒ
10	გზათა	417. 280. 812-80ʒ
11	შრომის	1. 140. 550
12	სახელმწიფო კონტროლის	9. 121. 851-60ʒ
	სულ	1. 960. 490. 798

დანართი #3



საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საგანგებო იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„პირველ საუკუნეს ქრისტესამდე საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი ათენური სახელმწიფო.

„ბოლოშიც საუკუნის დასასრულს ეიოლ შორეთ მეფისაგან შეფეთრებული საქართველო ოფლი ნესით ეუფლოდა რუსეთს ამ ხანაში, რომ რუსეთი ეიღებდა ოფი საქართველო ეერეს მეფისაგან ეიეკა.

„რუსეთის ფიდი რეკოლეციის შეფლეფაში რუსეთს ისეი ძანკანი ეეოიდეფა ეეკენა, რომ ეიოკა საიმანი ეერანეი ხენეფიდ ეიიაფეი და რუსის ეანაეე ეიიეეფა ამიერეკავასი.

„ეანაეენ ეა ოფოსი ეიფეეოსის ამანაგ. საქართველოს და ეანაეენ ეერიდ ამიერეკავასის ოფეი ოფეეს ოფეს საეკეოსი ეიეეეოს ეკანიოლი და ეიერონიოს და ეეეფეეოს ოიერკოფეეე

იასონ ლორთქიფანიძე (1866-1949 წწ.)
საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი თავმჯდომარე

წესდება

საქართველოს სახელმწიფო ბანკისა

საქართველოს სახელმწიფო ბანკის წესდება (1919 წ.)

დანართი #5

500 მანეთი. 1919 წ. ესკიზის ავტორი იოსებ შარლემანი.

დანართი #6



დანართი #6

საქართველოს ეროვნული ბანკის შენობის ფოტო. 1919 წელი.

Tamar Baramia

Economic Reforms and Policies in the First Democratic Republic of Georgia

Annotation

The goal of the article is to review economic reforms implemented throughout 1918-1921. For today's reality, it is significant to examine past reforms and policies in order to clearly see existing problematic issues and at the same time to solve them. The article inspects the economic factors that were the basis for the first republic of Georgia.

The main direction for the reforms was the system of governance and economic policy. The strategy for economic reforms was creation of independent monetary and customs structure, including issuing state currency; development of state control; monopolizing trade of particular goods; comprehensive agriculture reform, etc. Georgian Government and population were given opportunity to direct their efforts towards reconstruction and building of new state – not such an easy task. According to the experts, development of state system in democratic Georgia was impeded by serious mistakes made by the Government. There is truth to this view. However, in my view, if not those economic reforms undertaken at that time, economic reality today would have been rather tough.

Considering all of the above-mentioned, I think that economic reforms undertaken by the Government of the first Republic are highly valuable. Challenges connected with the establishment of the state were overcome. One can say, that if Georgia had not been occupation once again, it would have definitely overcome the crisis and take the road of development.

ლიტერატურა:

1. გიორგი ანჩაბაძე, სტატია ,, საქართველოს დამოუკიდებლობის დროებითი აღდგენა და რუსეთის მიერ მისი ხელახალი დაპყრობა (1918-1921 წწ.)“
2. თამარ ათანელიშვილი, დისერტაცია, ეკონომიკური რეფორმები საქა-რთველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.)
3. ჯამბულ ანჩაბაძე-სტატია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი.
4. www.nbg.gov.ge - 10/05/2016
5. http://www.constcourt.ge/ge/ 10/05/2016
6. burusi.wordpress.com 10/05/2016
7. http://www.bu.org.ge/ 10/05/2016

რუსუდან ბექთეშაშვილი
თავისუფალი უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების III კურსის სტუდენტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

დამოუკიდებლობის აღდგენა უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. მიუხედავად თავისუფლების შეზღუდული პერიოდისა, გამოცდილება, რომელიც სწორედ ამ დროს დაგროვდა, დიდი აქტუალურობით სარგებლობს. ეკონომიკური რეფორმები, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ გატარდა სტრატეგიული მნიშვნელობის იყო და ემსახურებოდა იმ კრიზისიდან თავის დაღწევას, რომელიც რუსეთის იმპერიის რღვევასა და პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს მოჰყვა. თითოეული ეკონომიკური გადაწყვეტილება მიღებული იყო არსებული საჭიროებიდან გამომდინარე და ნაკლებად უკავშირდებოდა რაიმე კონკრეტულ იდეოლოგიას. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, საქართველოს ეკონომიკის დასტაბილურებისთვის სასურველი ტენდენცია შეინიშნებოდა, რაც საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით იყო გამოწვეული.

* * *

1918 წლის 26 მაისს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მთავრობას სოციალ-დემოკრატიული პარტია ჩაუდგა სათავეში, რომელიც მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. მემკვიდრეობა, რომელიც რუსეთის იმპერიალიზმის შედეგად დარჩა, არცთუ ისე იმედისმომცემად გამოიყურებოდა. საქართველო ცდილობდა ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობას მაშინ, როდესაც არ გააჩნდა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსთვის საჭირო რესურსი გლობალური და ეკონომიკური კრიზისის ფონზე. ინსტიტუციები ჩამოუყალიბებელი იყო, მისწრაფება კი სოლიდური: აგრარული ქვეყნის ინდუსტრიულად, რელიგიურ-ტრადიციულის- სეკულარულად და ავტორიტარული სისტემის-დემოკრატიულად გადაქცევა. ყველაფერი ის, რაც ქართული ეკონომიკის მამუშავებელი იყო იმპერიული რუსეთის პერიოდში, მათი გამოყენება ომის შემდგომი რეალობის გამო შეიზღუდა, იქნებოდა ეს ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მსოფლიო წარმოების თითქმის ნახევარზე, სატრანზიტო რკინიგზის ხაზები, რომელიც დამაკავშირებელი იყო ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთთან თუ ბათუმისა და ფოთის პორტები, საიდანაც იმპერიის არსებობის დროს ხდებოდა ნავთობის გადაზიდვა, და რომელიც 1920 წლის აგვისტომდე ბლოკადის ქვეშ

იმყოფებოდა. ეკონომიკისთვის უცხო იყო დღევანდელი მაკროეკონომიკური ბერკეტები და არც დღეისათვის ცნობილი ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერით სარგებლობა შეეძლო.

ეკონომიკური კურსი

ეკონომიკისთვის, რომელიც ხასიათდება ვალუტის გაუფასურებით, წარმოების გაუმართაობითა და სოფლის მეურნეობის სტაგნაციით, laissez-faire მოდელი თავისთავად შეუფერებლად მიაჩნდა მთავრობას, თუმცა საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებული იყო ნაციონალიზაციასა და მონოპოლიებთან 1918-21 წლებში, ნაკლებად იყო წარმართული მარქსისტული ეკონომიკური თეორიით. მთავრობაც მეტად იყო ანტი-იმპერიული, ვიდრე ანტიკაპიტალისტური და მეტად პრაგმატული, ვიდრე იდეოლოგიური. ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კონსტრუქციულ ეკონომიკურ პოლიტიკას არჩევდა, სადაც გათვალისწინებული იყო რეალობა და არა იდეალები.

მძიმე ფინანსურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე მთავრობამ ეტაპობრივად დაიწყო რეფორმების გატარება, რომელსაც უნდა მოეცვა ქვეყნისთვის სტრატეგიული მიმართულებები. ჯანსაღი ფინანსური სექტორი ექსპორტ- იმპორტის საკითხების მოწესრიგებასა და შესაბამისად, შიდა წარმოების წახალისებას საჭიროებდა. მთავრობა ხელს უწყობდა კერძო ინიციატივებსა და სასოფლო- სამეურნეო საქმიანობებს, რომელშიც მოსახლეობის 79% იყო ჩართული. ასევე აქტიური ბრძოლა დაიწყო სპეკულაციის წინააღმდეგ, რომელსაც ქვეყანაში მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი.

აგრარული რეფორმა

აღსანიშნავია აგრარული რეფორმა, რომლის ფარგლებშიც მოხდა ნორმაზე მეტი რაოდენობის მიწების კონფისკაცია და მასთან ერთად სამუშაო იარაღების რეკვიზიცია. სახელმწიფო ამ შემთხვევაში გამანაწილებლის ფუნქციას კისრულობდა, რომელსაც ევალებოდა შესასყიდი მიწების ფასისა და დასაშვები რაოდენობის განსაზღვრა და მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. რეფორმის გეგმის მიხედვით მიწა გაიცემოდა:

1. საკუთრებით
2. მხოლოდ უმიწაწყლოებსა და მცირე მიწის მფლობელებზე
3. მცირე საფასურით (500- 1000 მანეთი დესეტინა)[1]

ამის მიუხედავად, მთავარ პრობლემად რჩებოდა ჭარბი მოსახლეობა,

1 ათანელიშვილი, თ. (2006). ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) გვ.50.

მიწების ნაკლებობა, საზღვარგარეთულ ბაზრებთან წვდომის არქონა, რაც შედეგი იყო ტრანსპორტირების მოშლის, მოკავშირეების მიერ დაწესებული ეკონომიკური ბლოკადისა და მიწის განვითარებისთვის არაადეკვატური კრედიტებით. ამას ემატებოდა მოძველებული სამუშაო იარაღები. რეფორმა მხოლოდ გლეხების ეკონომიკურ უსაფრთხოებას თუ შექმნიდა, რაც თავის მხრივ, ჭარბი საკვების გარანტი ვერ იქნებოდა, რაც მთავრობას ნამდვილად ესაჭიროებოდა.

მიღებულია კომისიების მიერ მაისში[1]

	სულ	მემულეებს გამოეყოთ ნორმა	ფონდში გადავიდა	მისაღებია
თბილისის გუბერნიაში	5.642 დეს	223 დეს	5.419 დეს	20.535 დეს
გორის მაზრაში	947 დეს	158 დეს	789 დეს	13.337 დეს
თიანეთის «-»	1.353 «	15 «	1.338 «	7.324 «
სიღნაღის «-»		ცნობები არ არის		6.138 «
თელავის «-»	888	42 «	846 დეს	4.931 „
დუშეთის «-»		ცნობები არ არის		6.044 «
სულ	8.820 დეს	438 დეს	8.382 დეს	58.308 დეს

სახელმწიფო კონტროლი და მონოპოლია

საქართველოს იმპორტით შემოჰქონდა: ნავთობი, საკვები, ქსოვილები, სამედიცინო ნაწარმი. ხოლო, ექსპორტიდან ყველაზე დიდი შემოსავალი წიაღისეულზე მოდიოდა. ეს მადნეული სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენების მიზნით.

ერთი მხრივ, გადასახადების წყაროების სიმცირისა და მეორე მხრივ, გამართული საგადასახადო აპარატის არარსებობის გამო, სახელმწიფო შემოსავლები დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებოდა. მთავრობას უნდა დაეწყო ახალი წყაროების ძიება ან თავად შეექმნა იგი, ამ მიზნით მოხდა კონკრეტული საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება, მათ შორის მარგანეცზე, რომლის ექსპორტიც რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებში არასახარბიელოდ მიმდინარეობდა, თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკურ იზოლაციასა და ბაზარზე ახალი კონკურენტების გამოჩენას, როგორიცაა ბრაზილია და ინდოეთი. ამგვარად, დარგის აღორძინება და ბაზარზე ადგილის დამკვიდრება დროსა და სოლიდურ ინვესტიციებს საჭიროებდა. მთავრობა თვლიდა, რომ ამ რესურსზე მონოპოლიის გამოცხადება არა მხოლოდ ბიუჯეტის გაჯანსაღებას, არამედ უცხოური ვალუტის შეძენას და შედეგად ადგილობრივი ბონის გამყარებას უზრუნველყოფდა.[2]

2 იქვე, გვ.32.

შავი ქვის გატანა (ათას ფუთობით)

წლები	სულ	რუსეთში	ბელგიაში	დიდ ბრი-ტანეთში	ჰოლან-დიაში	გერმანი-აში	საფრან-გეთში	ჩრდ. ამე-რიკის შეერთ. შტატ.	დანარ. და-უსახელებ. სახელ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1909-13	46778	1332	7322	10497	17165	2314	2416	3482	2250
1913	65826	617	11163	15091	21987	3186	3368	8409	2005
1914	43653	936	9577	6677	16482	3755	1485	2142	2579

ტრანზიტი

საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, იყო კავკასიის ცენტრი და საქონლის ექსპორტ-იმპორტის გამტარებელი სხვა მეზობელ სახელმწიფოებშიც, თუმცა 1918 წელს ქვეყანა ვერ იყენებდა ამ პოტენციალს საქართველოში არსებული საბაჟო პუნქტების უმოქმედობის გამო. საჭირო იყო რეფორმების გატარება, და მისი ქვეყნის შემოსავლების პოტენციურ წყაროდ ქცევა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს განკარგულებით, არსებული 14 საბაჟოს მაგივრად გაიხსნა 19 პუნქტი. თუმცა, დენიკინთან ომების გამო, ქვეყანა ეფექტურად იყენებდა მხოლოდ ბათუმისა და ფოთის საბაჟოებს. აგრეთვე, ექსპორტ-იმპორტის განვითარება დამოკიდებული იყო საერთო პოლიტიკურ მდგომარეობასა და ადგილობრივი ბაზრის მდგომარეობაზე. ეს რეფორმა წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან 1918-1919 წლების მონაცემების საბაჟო და სხვა გადასახადების შედეგად ბიუჯეტში შევიდა 13 მლნ-მდე მანეთი და მომავალში დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა.

ეროვნული ვალუტა

რაც შეეხება საქართველოს მიმოქცევაში მყოფ ვალუტებს, ასეთი რამდენიმე იყო, მათ შორის: „ნიკოლოზის," „კერენსკის," „ამიერკავკასიის ბონი." მოგვიანებით, საქართველომ ქართული ბონის გამოშვება დაიწყო, რომელიც გათანაბრებული იყო რუსეთის მანეთთან და ამიერკავკასიის ბონთან. თუმცა, ბონი ითვლებოდა არა ფულად, არამედ ფულის სუროგატად. ამასთანავე, სახელმწიფომ დაიწყო ბონის ემისია, რომლის დიდი ნაწილიც ხმარდებოდა სამხედრო ნაწილების სალიკვიდაციო სამუშაოებს და სხვა სამთავრობო ხარჯებს. ემისიებს ბუნებრივი შედეგი - ინფლაცია მოჰყვებოდა, რაც ცუდი იყო როგორც საინვესტიციო გარემოსთვის, ასევე ვაჭრობისთვის. ამას ემატებოდა არაპირდაპირი გადასახადებიც, რომელიც კიდევ უფრო

აჩქარებდა ინფლაციის ტემპს. შესამჩნევი იყო ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო ბიუჯეტის გაუწერლობით. მხოლოდ 1920 წელს მოხერხდა 1919-1920 წლების შემოსავალ- გასავალის აღრიცხვა და ამავდროულად შემოიღეს სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა, რომელსაც ფინანსების მიზნობრივი ხარჯვის კონტროლი დაევალა და რომელიც ანგარიშვალდებული იყო დამფუძნებელი კრების წინაშე.

სახელმწიფო ბანკი

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების მრავალეტაპიან პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1919 წლის 31 დეკემბერს, როდესაც საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კანონს- „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ.“ ამ დრომდე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნდა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათავო რგოლი – საქართველოს ცენტრალური ბანკი. მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომელსაც 1917 წლის ოქტომბრიდან არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან.[3] იგი შვედეთის სახელმწიფო ბანკის მოდელის საფუძველზე შეიქმნა, რაც გულისხმობდა, რომ ბანკი დამოუკიდებელი იყო ფინანსთა მინისტრისა და კერძო აქციონერებისგან და პირდაპირ ექვემდებარებოდა საკანონმდებლო ორგანოს. არსებობის მცირე ხნის მიუხედავად, განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიური ბონები. მხოლოდ სახელმწიფო ბანკის ან მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებების პრეროგატივა იყო სავალუტო ოპერაციები. მისი საქმიანობის შედეგად, დარეგულირდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შემუშავდა ფულის ახალი რეფორმის პროექტები და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. თუმცა, საქართველომ თავისუფლების ამ მცირე პერიოდში ვერ მოახერხა საკუთარი ვალუტის გამოშვება, რომლის ესკიზიცა და სახელწოდებაც მზად იყო. მას საქართველოში XVI საუკუნიდან გავრცელებული ფულადი ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი „მარჩილი“ ეწოდა და მიმოქცევაში გერმანული მარკის პარიტეტული კურსით უნდა გასულიყო.[4]

სტატისტიკური სამსახური

ყოველი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სტატისტიკური სამსახურის არსებობა, რომელიც თავს მოუყრის ეკონომიკის სფეროში მიმდინარე

3 https://www.nbg.gov.ge
4 https://www.nbg.gov.ge

პროცესებს, გააკეთებს სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზს, რაც ქვეყანას მომავალი განვითარების პროგნოზირების საშუალებას მისცემს.[5] ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკამ 1919 წლის 25 ივლისს მიიღო კანონი „ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტის დაარსების“ შესახებ, რომელიც დაექვემდებარებოდა მიწათმოქმედების სამინისტროს, აგრარული რეფორმის წარმატებით განხორციელების შედეგად დაგროვილი მნიშვნელოვანი გამოცდილების გამო.

სოციალური პასუხისმგებლობა

როგორც ნოე ხომერიკი აღნიშნავდა, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ხასიათდებოდა „სოციალური წარმოების ხელშეწყობით, და არა კერძო ინიციატივაზე ზეწოლით... ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების პირველ ეტაპზეა... და მხოლოდ თანდათანობითი წინსვლა არის შესაძლებელი.“[6] ქვეყნის მიზანი იყო სოციალური ძალაუფლების ბალანსის გადანაცვლება, რისთვისაც ახორციელებდა შრომის კანონმდებლობას, მომუშავეებს უზრუნველყოფდა დაზღვევითა და საპენსიო ფონდებით, და სუბსიდირებული ფასებით პირველად პროდუქტებზე, განსაკუთრებით, პურზე. შეიქმნა შრომითი სასამართლოები, დაფინანსდა ეროვნული გვარდია, გაფართოვდა უფასო განათლების პროგრამა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიულ მიმართულებებად განსაზღვრული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა: ფინანსური, ფისკალური და მონეტარული სისტემის მოწესრიგება, სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება და სტრატეგიულად მნიშვნელოვან რესურსების ექსპორტზე მონოპოლიის დამყარება, აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება, რაც სოფლის მეურნეობის აღორძინების სურვილით იყო განპირობებული და საგარეო ინვესტიციებისა და რესურსების მოზიდვა, საგადასახადო სისტემის დახვეწა, კერძო ინიციატივებისთვის ხელის შეწყობა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა.[7]

ქვეყნის კანონმდებლობის შემუშავება და დამტკიცება 1921 წლის 21 თებერვალს მოხდა, 4 დღის შემდეგ კი, საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა. რომ არა ეს ფაქტი, იმ ზომიერი პოლიტიკით, რომლითაც ქვეყანა მოქმედებდა დამოუკიდებლობის ამ მცირე პერიოდში, რაც გულისხმობდა ზომიერ სოციალიზმს, ადგილობრივი ინდუსტრიის

5 ათანელიშვილი, თ. (2006). ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) გვ.158

6 Jones, S. (2014, April). Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21. *Caucasus Survey* , pp. 63-81.

7 ათანელიშვილი, თ. (2006). ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) გვ.167

მხარდაჭერას, ისევე როგორც, ნაკლები საკუთრების მქონის საჭიროებებით უზრუნველყოფა, ამას დამატებული £100 000 ვალის დამტკიცება ბრიტანული ბანკიდან, რომელიც ვალუტის დასტაბილურებისთვის იყო განკუთვნილი, ეკონომიკური ბლოკადის გაუქმება, საქართველოს დე-იურე აღიარება მოკავშირეების მიერ შესაძლებელს ხდიდა, ეს ფაქტორები საკმარისი ყოფილიყო უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად და საქართველოს ეკონომიკური მდგრადობის გზაზე დასადგომად.

მართალია, საქართველოს ეკონომიკას კიდევ მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუწევდა, თუმცა ბოლოდროინდელ მიღწევებს შესაძლოა ხელი შეეწყო ეკონომიკური სტაბილურობისა და სოციალ-დემოკრატიული ექსპერიმენტის გაგრძელებისთვის. თუმცა, საბჭოთა ჯარებმა 1921 წლის თებერვალში წერტილი დაუსვეს ამ შესაძლებლობებს.

Rusudan Bekteshashvili

Economic Reforms and Policies in the First Republic of Georgia

Restoration of independence was highly significant event for Georgia's history. In spite of the limited time of independence, the experience gained during this time, attracts wide scale attention. Economic reforms undertaken by the First Republic were of strategic importance and served to eliminate the crisis following the collapse of Russian Empire and the period after the First World War. Each economic decision was based on existing needs and was little related to any particular ideologies. Despite numerous problems, the favorable trend of the economic stabilization was observed, mainly due to the support of the international community.

ლიტერატურა:

1. ათანელიშვილი თამარ, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), 2006 წ.
2. www.nbg.gov.ge , 10/05/2016
3. Jones Stephen, Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21, Caucasus Survey, April 2014, Vol.1, No.2, 63-81

ნიკა დუდაშვილი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტის
სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში კონსტიტუციის დონეზე განსახორციელებელი ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ კონსტიტუციის შექმნამდე ფიქრობდნენ ისეთ ეკონომიკურ რეფორმებზე, როგორიც იყო ბიუჯეტის შემუშავება, სტატისტიკური აღრიცხვების ორგანოს, უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს და მაკონტროლებელი ორგანოების შექმნის იდეაზე და ა.შ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსური საკითხი უნდა გადაეწყვიტა, რომლის მოგვარებასაც კონსტიტუციის პროექტის შემუშავებამ შეუწყო ხელი, რადგან კონსტიტუციის პროექტშივე აისახა ეკონომიკური რეფორმების უდიდესი ნაწილი.

სტატიის შექმნის მიზანია, დაგანახოთ პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბებაში.

* * *

შესავალი

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსური საკითხი უნდა გადაეწყვიტა. სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის ქვეყანას ესაჭიროებოდა საკუთარი ფინანსური და მთლიანობაში სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადება არასაკმარისი აღმოჩნდებოდა, თუ საქართველო ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად ეკონომიკურ ცხოვრებას. ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო ხაზინის შევსება. პირდაპირი გადასახადები თითქმის არ შედიოდა, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა დაკარგა მნიშვნელობა. პირველი რესპუბლიკის ეკონომიკურ რეფორმაზე ადრეულ ხანიდანვე დაიწყო ფიქრი კონსტიტუციის შემმუშავებელმა საკონსტიტუციო კომისამ, რომლებმაც საკუთარი იდეების განხორციელება კონსტიტუიის დაფიქსირებით მოახდინეს.

საკონსტიტუციო კომისიის მიერ ბიუჯეტის პროექტის შედგენა

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში ბიუჯეტთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხი ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების რეგლამენტის მიერ იყო მოწესრიგებული. მთავრობა ადგენდა ბიუჯეტის პროექტს, ხოლო პარლამენტი ამტკიცებდა მას.

საქართველოს კონსტიტუციის 72-ე მუხლი მთავრობას აძლევდა უფლებამოსილებას განეგო ფინანსები, მოეხდინა ფულის ჭრა და ყოველ წელს წარედგინა პარლამენტისთვის შემოსულ-გასული სავარაუდო აღრიცხვის ბიუჯეტი. აღნიშნული დებულებები გადმოტანილი იყო შვეიცარიის კონსტიტუციის მაგალითიდან, რომლის მიხედვითაც მთავრობა განაგებდა ფინანსურ საქმეებს, ადგენდა ბიუჯეტის პროექტს და პარლამენტში დასამტკიცებლად წარადგენდა შემოსავალ-გასავლის აგნარიშს.

მეორე განსაკუთრებული საკითხი, რაც კონსტიტუციის დონეზე გადაწყდა, იყო გადასახადების დაწესება. კონსტიტუციის მიხედვით საბიუჯეტო და საფინანსო სფეროში სუვერენული ორგანო იყო პარლამენტი. იმთავითვე განისაზღვრა, რომ გადასახადების დაწესების უფლება მხოლოდ პარლამენტს უნდა ჰქონოდა. პარლამენტი ამ სუვერენულ უფლებას სხვა რომელიმე ორგანოს ვერ გადასცემდა, გამონაკლისი იყო მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელსაც უნდა მინიჭებოდა ადგილობრივ დონეზე გადასახადების დაწესება მხოლოდ კანონის შესაბამისად.

გადასახადების დაწესებასთან ერთად მისგან განთავისუფლებაც პარლამენტის პრეროგატივას წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ კანონის ძალით ხორციელდებოდა, რაც აისახა კიდეც საქართველოს კონსტიტუციიის 85-ე მუხლში, როლის მიხედვით, სახელმწიფო გადასახადებისაგან ვერავინ განთავისუფლდება, თუ არა კანონის ძალით[1].

სხვა განსახორციელებელი ეკონომიკური რეფორმები

აღსანიშნავი იყო ასევე ეროვნული ბანკის დაარსების საკითხიც, რომელიც 1918 წლის 28 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა. ბანკს მიენიჭა საემისიო უფლება. შესაბამისი წინადადება განსახილველად გადაეგზავნა ეროვნულ საბჭოს. საკითხი მეტად აქტუალური იყო, რამეთუ სახელმწიფო ბანკზე დამოკიდებული გახდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. შემთხვევითი როდია, რომ მთავრობის მიერ წარდგენილი პროექტი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ დამფუძნებელმა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა. 1918 წლის 25 ივლისიდან

1 ქანთარია ბ., კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი, 2013, 215. დაწვრილებით. იხ. საქართველოს კონსტიტუცია, ბათომი, 1921. 25.

საქართველოს მთავრობამ ბანკები ფულის ნიშნებით უზრუნველყო, შესაბამისად მათი საქმიანობაც გამოცოცხლდა. საქართველოს სახელმწიფო ბანკს ჩვეულებრივი ოპერაციების გარდა, თვალყური უნდა ედევნებინა ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებათა ოპერაციებისათვის. იგი ფაქტობრივად უნდა ყოფილიყო ბანკების ბანკი და საქართველოს ტერიტორიაზე მთელი საკრედიტო ურთიერთობების რეგულატორი[2].

1918 წლის 30 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი «საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა.»1 აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე გაუქმდა ყველა საბაჟო დაწესებულება, რომელიც რუსეთმა დააარსა: «სახელდობრ ტფილისის პირველი ხარისხის საბაჟო, ბათუმის პირველი ხარისხის საბაჟო, ფოთის მეორე ხარისხის საბაჟო, საბაჟო საყარაულოები: გუდაუთის, ოლთის, ორჯოხის, ოჩამჩირის, ფსირტის, სოხუმის, საბაჟო ბინები: ანაკლიის, გაგრის, ახალი გაგრის, ლიმანის და ამ დაწესებულებათა საერთო სამმართველო, საინსპექციო საბაჟო უწყება, საერთოდ 14 საბაჟო დაწესებულება.»[3]

ასევე შეიქმნა სტატისტიკური აღრიცხვების ორგანო და უმაღლესი ეკონომიკური საბჭო, რომელზეც ფიქრი ჯერ კიდევ 1918 წლიდან სტატისტიკურ სამსახურს დაევალა: 1917 წლის საადგილმამულო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების შემუშავება; მიწის ფონდის აღრიცხვა; მიწის ფონდის განაწილების ნორმების განსაზღვრა და სხვ. ამგვარად, დამოუკიდებელ საქართველოში პირველად შეიქმნა სტატისტიკის სპეციალური სამსახური განსაზღვრული ფუნქციებით, დაფინანსებით, მაგრამ არა დამოუკიდებელ უწყებად, არამედ ერთ-ერთი სამინისტროს შემადგენლობაში.

1918 წელს ჩამოყალიბდა ასევე სახელმწიფო კონტროლის ორგანო, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა: საკანონმდებლო ორგანოში წარდგენამდე ბიუჯეტის პროექტის შედგენის შემოწმება; ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რათა იგი არ ასცდენოდა სამოქმედოდ დამტკიცებულ ფინანსურ გეგმას; სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ფულადი სახსრების ბრუნვის, მატერიალური ქონების მდგომარეობის შემოწმება; კრედიტების განაწილებაზე კონტროლი. ამ ფუნქციებში განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობთ ბიუჯეტის შედგენაზე კონტროლს, რამეთუ თანამდროვე პირობებში საქართველოს კონტროლის პალატის ფუნქციებში ასეთი კომპეტენცია უდავოდ გასათვალისწინებელია.

სახელმწიფო კონტროლიორი რევიზიის შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე ყოველი წლის 15 დეკემბერს წარადგენდა მოხსენებებს სათანადო დასკვნებითურთ. სახელმწიფო კონტროლიორი

---

2 ათანელაშვილი თ., ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დისერტაცია, ვებ-გვერდი : http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000363/Atanelishvili%20T.pdf

3 გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N41, 13 სექტემბერი 1918წ.

მინისტრის უფლებით მონაწილეობდა საკანონმდებლო დაწესებულების სხდომებში სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული უწყების საქმეთა განხილვის დროს. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, სახელმწიფო კონტროლიორის წარდგინებით, ნიშნავდა და ათავისუფლებდა სახელმწიფო კონტროლიორის მოადგილეს, ხოლო სახელმწიფო კონტროლის სხვა მუშაკებს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა თავად სახელმწიფო კონტროლიორი.

სახელმწიფო კონტროლის ორგანოში კონტროლიორის თავმჯდომარეობით შეიქმნა საერთო საკრებულო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, საქმეთა დირექტორი და სექციათა გამგეები. საკრებულოს უფლება ჰქონდა მოესმინა სარევიზიო მოხსენება საკანონმდებლო ორგანოში წარდგენამდე და განეხილა წინადადებები მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შესახებ, აგრეთვე მოემზადებინა დასკვნა კონტროლიორის დავალებით გადაცემულ საკითხებზე. განსახილველი საკითხები საერთო საკრებულოში დამსწრეთა ხმების უმრავლესობით მიიღებოდა.

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. პირველმა მსოფლიო ომმა მსოფლიოს, მათ შორის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა: მოიშალა წარმოება, ფინანსური სისტემა, იმატა ინფლაციამ და ფასებმა, დაეცა მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა, გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები. დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსურ-ეკონომიური კრიზისი უნდა დაეძლია, შეექმნა ეკონომიკის მართვის სათანადო ინსტიტუტების სისტემა, შემოეღო ეროვნული ვალუტა, ჩამოეყალიბებინა ეკონომიკური პოლიტიკის სწორი მიმართულებები. ჩატარდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმებიც. მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ბოლო წლებშიც კი შეიქმნა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. ეკონომიკის განვითარებაზე მძიმედ ზემოქმედებდა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციის ზრდა, ინვესტიციების არასაკმარისობა, წარმოების არასათანადოდ განვითარება და ა.შ. თუმცა ეკონომიკური რეფორმის მაინც თავის დროზე კონსტიტუციის დამფუძნებლების იდეებისა და კონცეფციების ჩამოყალიბებას უკავშირდება.

Nika Dudashvili

Economic reforms and politics implemented on the constitutional level in the first republic of Georgia

In the first republic of Georgia, even before creation of the constitution, Government officials thought of implementing economic reforms such as budget planning, the creation of statistical accounting body, supreme economic council, controlling bodies, etc.

From the firth day after announcing independence, Georgian Government had to solve severe economic problems. Development of the project on constitution facilitated this process as a large share of economic reforms was reflected in this project itself.

The goal of this article is to examine economic reforms and policies that were carried out in the first republic and played significant role in the formation of first republic of Georgia.

ლიტერატურა:

1. ათანელაშვილი თამარ, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დისერტაცია;
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N41, 13 სექტემბერი 1918წ.
3. პაპუაშვილი გიორგი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუცია 90 წლის გადასახედიდან, ბათუმი, 2013;
4. ქანთარია ბექა - კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი, 2013;
5. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია.

თენგიზ მიქელაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - ეკონომიკის კათედრა

საქართველოს პირველ რეპუბლიკაში განხორციელებული მონეტარული რეფორმები

ნაშრომში გამოკვლეულია პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული რეფორმები. კერძოდ, გაანალიზებულია ამ დროის საქართველოს ფულად-საკრედიტო და მონეტარული რეფორმები, მისი ძირითადი დადებითი და უარყოფითი შედეგები. ნაშრომი მიმოიხილავს ფულად-საკრედიტო და მონეტარულ გამოწვევებს, მისი დაძლევის გზებსა და მთლიან ეკონომიკაზე გავლენის ძირითად დონეებსა და შედეგებს 1918-1921 წლების საქართველოში. ნაშრომში განსაზღვრული და ასახულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულებები.

ნაშრომის მიზანია, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მონეტარული თავისებურებებისა და რეფორმების გამოვლენა-შესწავლა. შესაბამისად, შედეგების გაანალიზება და ამ სფეროში ცნობიერების ამაღლება.

* * *

შესავალი

ისტორიამ უწყის, რომ ერეკლე მეფის თავდადებულმა ბრძოლამ, ძალისხმევამ ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით საქართველოს დამოუკიდებლობას სასარგებლო შედეგი ვერ მოუტანა. ისტორიულმა ბედუკუღმართობამ საქართველო დიდი ვეშაპის, რუსეთის იმპერიის კლანჭებში მოაქცია. თითქმის ერთ საუკუნეზე მეტ ხანს რუსეთის იმპერია საქართველოს მართავდა, როგორც იმპერიის ნაწილს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივია, საქართველოს დამოუკიდებელი ეკონომიკური და შესაბამისად მონეტარული ღონისძიებისა და ინიციატივის განხორციალება არ შეეძლო.

დროთა განმავლობაში მსოფლიოში და მათ შორის რუსეთის იმპერიაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური,პოლიტიკური და სამხედრო ცვლილებები განხორციელდა(ბატონ-ყმობის გაუქმება,პირველი მსოფლიო ომი,რევოლუცია რუსეთში და ა.შ) რამაც, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.1918 წლის 26 მაისს საქართველომ ოფიციალურად აღიარა დამოუკიდებლობა. სწორედ აქედან იწყება საქართველოს, როგორც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მონეტარული და ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება.

თავი 1. ფულადი რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მყისიერად დადგა დღის წესრიგში ეროვნული ფულის ნიშნის გამოცემის საკითხი. ბუნებრივია, ეროვნული ვალუტა სუვერენული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი მონეტარული ატრიბუტია. ეს გარემოება არც ახალბედა სახელმწიფოს გამორჩენია. ამდენად, ახალი ეტაპი ქართული ფულის ისტორიაში რუსეთის იმპერიისგან გათავისუფლების შემდგომ იწყება. სწორედ ამის შემდგომ დაიწყო საქართველომ ცივილიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

,,ამიერკავკასიის ბონი" საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

უამრავი მცდელობის მიუხედავად, ფულის საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის პირველსავე დღეებში ვერ მოხერხდა. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ მიმოქცევაში ერთდროულად სხვადსხვა ფულის ნიშნები ტრიალებდა. კერძოდ, ესენი იყო: "1) ნიკოლოზის დროინდელი ოქროსა და ვერცხლის მონეტები, სპილენძის ხურდა ფული; 2) დროებითი მთავრობის ფული, რომელსაც ხალხი "კერენკებს უწოდებდნენ;'' 3)ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი" (ქისტაური, 1993). საქართველო კი ცდილობდა ყოველგვარად რაციონალური ნაბიჯების გადადგმას და ცივილიზებული რეფორმების გატარებას.

ვიდრე ქართული, ეროვნული ფული შეიქმნებოდა, დამოუკიდებლობის საწყის პერიოდში ,,ამიერკავკასიის ბონი'' იყო ძირითად სარგებლობაში. უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის ბონები მიმოქცევაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდეც მოქმედებდა „ამიერკავკასიის ბონი" მიმოქცევაში გაუშვეს 1918 წლის 5 თებერვლიდან, იგი თბილისში იბეჭდებოდა" (ათანელიშვილი, 2006, გვ. 76). და მაინც, რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ჩვენი მსჯელობისთვის ამიერკავკასიის კომისარიატის ბონი? მოგეხსენებათ, თავისუფლებიდან უმოკლეს ხანში ეროვნული ფულის შექმნა რიგ ხარჯებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამასთან, ახალი ფული ყოველთვის არასტაბილურობით, ინფლაციითა და უნდობლობის მაღალი ნდობით ხასიათდება. ამ პირობების გაძლება, არსებული ვათარების დროს საქართველოსთვის ურთულესი იყო. ამდენად, არსებული ვალუტით სარგებლობა იყო საუკეთესო გამოსავალი. ამიტომაც „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა გადაწყვიტეს კვლავ გაეგრძელებინათ ,,ამიერკავკასიის ბონის'' ბეჭდვა. შეთანხმება ამ სამმა ქვეყანამ ერთობლივი ვალუტის შესახებ დადეს 1918 წლის ივლისში" (ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2006, გვ. 77) ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ბონი სამი რესპუბლიკის გაერთიანებული ვალუტები იყო, იგი მაინც მიუთითებდა

საქართველოს დამოუკიდებლობას და მონეტარული რეფორმის გზასა და სამომავლო მზაობას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაახლოებით 220 მილიონი მანეთის ბონის გამოშვება განხორციელდა. ამიერკავკასიის სეიმმა ბანკის საემისიო უფლება 300 მილიონით განსაზღვრა, ამდენად კიდევ შეიძლებოდა დამატებით 80 მილიონი მანეთის ემისია. საქმე ისაა, რომ გამოშვებული ბონები მხოლოდ საქართველოს არ ეკუთვნოდა, იგი სომხეთსა და აზერბაიჯანზეც ნაწილდებოდა. სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა შემდგომში რიგი გაურკვევლობები და კამათის საფუძვლები. ერთის მხრივ, ეს ფაქტი გაერთიანებული ვალუტის უარყოფით მახასიათებელს უსვამს ხაზს. კერძოდ, ვის უნდა ეკისრა ამიერკავკასიისა და სეიმის მიერ გამოშვებული 300 მლნ ბონის ვალი. ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული ბონის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში წერს: „300 მლნ ვალი უნდა გადანაწილდეს საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საერთაშორისო მოლაპარაკებების საფუძველზე“ (ათანელიშვილი, 2006, გვ. 78). მოგეხსენებათ, ამ დროისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ეროვნული ბანკი, რომელიც ამ ფულად ემისიასთან დაკავშირებული ღონისძიებების ეფექტურობას უზრუნველყოფდა. ზემოთ ხსენებული ფაქტის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთობლივი ბონი, თავისი კომპლექსურობით ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელ მონეტარულ განვითარებას დიდწილად აფერხებდა. მოგეხსენებათ, ემისიასთან დაკავშირებით სამივე ქვეყანა უნდა შეთანხმებულიყო, რაც ყოველ ჯერზე უფრო და უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენდა.

საბოლოოდ, ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 23 ივლისს მიიღო კანონი „ამიერკავკასიის კომისარიატის 300 მლნ მანეთის ბონის პასუხისმგებლობისა და 200 მლნ მანეთის ბონის ახლად გამოცემისა. მიღებული კანონით საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს ედება ვალად 300 მლნ მანეთის ბონი“ (ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2016, გვ. 80-81). ამის შემდგომ, 1918 წლის ივლისის ბოლოს ეს სამი ქვეყანა შეთანხმდა, რომ საკუთარი ფულის შემოღებამდე ერთიან ბონს შეინარჩუნებდნენ. სწორედ ამ პერიოდიდან 1919 წლის ივლისამდე განხორციელებულ იქნა ამიერკავკასიის ბონის ხუთი ემისია, რომელმაც ჯამში 1 მილიარდ 60 მილიონი მანეთი შეადგინა.(იხ. დანართ.ცხრილი1)

დროთა განმავლობაში საქართველოში კრიზისი მწვავდებოდა.სულ უფრო მეტად ძნელდებოდა ამიერკავკასიის ბონის ემისია, რამეთუ ბონის ემისიის უფლება იწურებოდა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეტი ფულადი სახსრები ესაჭიროებოდა არსებული მდგომარეობიდან გამოსაჯანმრთელებლად, საჭირო ფულის ემისია კი სხვათა ნებართვის შემდეგ უნდა მოეხდინა. ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მუდმივი, მრავალჯერადი გაფორმება განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნიდა. ამასთან, იგი დიდ დროს მოითხოვდა. საქართველოს ასეთ პირობებში საკმარისი არც დრო და არც რესურსები გააჩნდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონი

ფულად-საკრედიტო, მონეტარული სისტემის ისტორიის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მე ვიტყოდი, იგი, ქართული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მონეტარული მაჩვენებელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნული ფულის შექმნაზე ფიქრი დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან დაიწყო, თუმცა დროისა და რესურსების სიმცირის გამო იგი მაშინვე ვერ განხორციელდა. ამას ემატებოდა უარყოფითი მოლოდინები ახალი ფულის შექმნასთან დაკავშირებით. 1919 წლის ივლისში კი დადგა დრო, საქართველოს რესპუბლიკას ეს ფიქრი და ოცნება განეხორციელებინა. მართალია, მომავალი ბონი საქართველოს მუდმივი ვალუტა არ იყო, თუმცა ის იყო დროებითი ფული, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ქართული ფულის გამოშვებამდე უამრავი წინაპირობა და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება იყო აუცილებელი. პირველ რიგში სათანადო უცხოური ვალუტების მარაგები უნდა შექმნილიყო. ამასთან, გარკვეულ სირთულეებს წარმოადგენდა ძველი, მანამდე არსებული ფულის დახურდავება.

იმდროისთვის თვალსაჩინო ეკონომისტის, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის-კონსტანტინე კანდელაკის ძალისხმევით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა მონეტარულ და ფინანსურ სფეროში. 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების მხატვრული სახის შესარჩევად. სწორედაც მხატვარ იოსებ შერლემანის მიერ შესრულებული ესკიზები დაედო საფუძვლად ერთი წლის შემდეგ შექმნილ რესპუბლიკურ ბონს (ჯავახიშვილი, 1996, გვ. 42-43). 1919 წლის 11 ივლისს დამფუძნებელთა კრებამ მიიღო დეკრეტი ქართული ბონის გამოშვების შესახებ. დეკრეტი შემდგომი სახის შინაარს შეიცავდა: „1. ნება მიეცეს საქართველოს მთავრობას გამოსცეს საქართველოს რესპუბლიკის ბონი სამასი მილიონი მანეთის; 2. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს დროებით, ვიდრე შემოღებულ იქნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრი ფული; 3. საქართველოს რესპუბლიკის ბონი უზრუნველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მთელი ქონებით; 4. რესპუბლიკის საკუთრებაში რესპუბლიკის ბონი მიიღება სავალდებულო რუსეთის ფულის ნიშნებისა და ამიერკავკასიის ბონის თანახმად; 5. საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცეს 1, 3, 5, 10, 25, 50, 100, 500 მანეთის კუპიურებისა; 6. საქართველოს რესპუბლიკის ბონი დამზადებული უნდა იქნეს ფინანსთა მინისტრის განკარგულებით და გადაეცეს თბილისის ხაზინას შესანახად და ხმარებისთვის გამოსაშვებად“ (ქისტაური, 1993, გვ. 36-37) როგორც ვნახეთ, საქართველოს ბონი სახელმწიფო ქონებით იყო უზრუნველყოფილი, რამეთუ არ არსებობდა ოქროს რეზერვები, ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ეროვნული ბანკი შექმნილი, რაც თავის

მხრივ, ართულებდა ფულთან დაკავშირებულ ბიუროკრატიას. აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ მოგვიანებით ზემოთ აღნიშნულ კუპიურებს 1000 და 5000 მანეთიანი კუპიურებიც დაემატა, რაც თავის მხრივ, ეკონომიკური პირობებით იყო განპირობებული. კერძოდ კურსის დაცემითა და ინფლაციის ზრდით. ასევე საემისიო ხარჯების შემცირების მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის ბონზე გვხვდება მთავრობის თავჯდომარის ნოე ჟორდანიასა და ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის ფაქსიმილიეები ქართულ ენაზე.

რესპუბლიკის ბონების ემისია, კურსი და ინფლაცია

როგორც წესი, ახალი ფული დასაწყისისთვის სიმყიფით ხასიათდება, თუმცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ ამ მხრივ განხორციელებული რეფორმების წყალობით ვითარება უკეთესად განვითარდა. დროთა განმავლობაში ქვეყნის დამშვიდებამ, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებამ, ეკონომიკის გამოცოცხლებამ და წარმატებული ლიდერების ძალისხმევამ განაპირობა ის, რომ ქართული ბონი გასვლის დღეებიდანვე სიმტკიცით ხასიათდებოდა. ამასთან ერთად კურსით იგი სომხეთსა და აზეირბაიჯანის კურსებზე მაღლა ფასობდა. „ 1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში დასაშვებ ნორმაზე ქვევით არ გაუფასურებულა ბონი, არ გამოუწვევია ეკონომიკის მოშლა, მასობრივი უმუშევრობა, მოსახლეობის შიმშილი და მისი ემიგრაციაში მასობრივი წასვლა პოლიტიკური სიმშვიდეებისა და საშუალებების საძებნელად“ (ქისტაური, 1993, გვ. 37). ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საკმაოდ მტკიცედ მიმდინარეობდა ქართული ფულის რეფორმა. სასურველია მოვიყვანოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც ქართული ფულის სიმტკიცეს უსვამს ხაზს: „ერთი ოქროს მანეთი 20-იანი წლების დასაწყისისთვის ღირდა 98 მილიონი მანეთი, მაშინ როცა ქართულ ბონზე ის მხოლოდ 8000 მანეთს შეადგენდა“ (ქისტაური, 1993, გვ. 38).

ქართული ფულის ერთგვარ სიმტკიცეზე მიუთითებს საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მისი მდგომარეობა. კერძოდ, დემოკრატიული საქართველოს ფული იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირმა ახალი ფულის გამოშვების დროს კურსი და ფორმა ქართული ბონის დაუდო. ამიერკავკასიის ერთი მანეთი იცვლებოდა ერთ მანეთ საქართველოს ბონზე, 100 მანეთ აზერბაიჯანის ბონზე, ხოლო სომხეთის 50 ბონზე. ამ თანაფარდობიდან ჩანს, რომ თუ რამდენად დიდი სიმტკიცე გამოიჩინა ფულის სფეროში გატარებულმა რეფორმამ.

რაც შეეხება უშუალოდ ქართული ბონის ემისიას, მიუხედავად ასეთი მყარი ფულადი ერთეულისა, საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ მეტი ფულის საჭიროება ჩნდებოდა და ბუნებრივია, ემისიაც ხშირი და მზარდი იყო. მიუხედავად ამისა, საქართველო ხარჯების დაფინანსებას ფულის ემისიით არ ახორციელებდა, როგორც ამას სომხეთის რესპუბლიკა აკეთებდა. საქართველო ხარჯების

დაფინანსებას შინაგანი სესხის ობლეგაციებით ახორციელებდა.

1919 წლის ივნისიდან 1920 წლის დეკემბრამდე განხორციელდა 4 ემისია, რომელმაც ჯამში 8,400 მილიონი მანეთის ღირებულება შეადგინა. აღსანიშნავია მე-5 ემისიის მცდელობაც, რომელიც ბოლომდე ვერ შესრულდა, რამეთუ იგი 1921-წლის იანვარ-თებერვალში მიმდინარეობდა (ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2016, გვ. 89), თებერვალში კი საბჭოთა ჯარებმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინეს.

მართალია ჩვენ ვსაუბრობთ, რომ საქართველოს ფულადი მდგომარეობა შედარებით მტკიცე იყო, მაგრამ ეს იმას როდი გულისხმობს, რომ აქ არსებითი პრობლემები არ ყოფილა. ჩვენ მხოლოდ ეკონომიკური შედარება გავაკეთეთ ახალ რესპუბლიკებთან. რეალურად კი, ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, რაც მონეტარულ საკითხებზეც აისახებოდა, 1000-მანეთიანი კუპიურის გამოშვება კურსის დაცემით იყო გამოწვეული. 1920 წლის მეორე ნახევრიდან ქართული მანეთის გაუფასურება საკმაოდ შესამჩნევი იყო. „1919 წლის აგვისტოდან 1920 წლის ივლისამდე კურსის ცვლილების დინამიკა ასახულია ცხრილში (იხ.დანარ.ცხრილი 2).

როცა ფულად რეფორმებსა და შესაბამისად ეკონომიკურ ეფექტებზე ვსაუბრობთ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც ინფლაციაა. რა თქმა უნდა, ბონების შემოღებას პირველადი მოთხოვნილების საქონელზე საშუალო საბაზრო ფასის ზრდაც მოჰყვა (იხ. დანართ. ცხრილი 3). კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მიუხედავად ასეთი კატასტროფული პირობებისა, რუსეთის ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ სხვა რესპუბლიკებთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა სუფევდა საქართველოში.

მიუხედავად არა ერთი მცდელობისა, წარმატებისა თუ მარცხისა, სრულფასოვანი ფულის ჩმოყალიბება არ დასცალდა საქართველოს.

თავი 2. საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შექმნა და ოპერაციები

მონეტარულ სიტემაზე საუბრისას აუცილებელია ცენტრალური ბანკის როლიც მივიღოთ მხედველობაში. უფრო სწორი იქნებოდა, ჩვენი მსჯელობა დაგვეწყო ეროვნული ბანკის განხილვით, რამეთუ ყველა ზემოხსენებული რეფორმები ეროვნულ ბანკს უკავშირდება. თუმცა ამ პერიოდში არ არსებობდა ეროვნული ბანკი.

1918 წლის 28 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსება, რომელსაც მიენიჭებოდა საემისიო უფლება. საქართველოს სახელმწიფო ბანკს ჩვეულებრივი ოპერაციების გარდა, თვალყური უნდა ედევნებინა ყველა კერძო დაწესებულებათა ოპერაციებისათვის. თანამედროვე გაგებით, რომ ვთქვათ, ეროვნულ ბანკს ბანკთა ბანკის ფუნქციაც უნდა მინიჭებოდა.

1919 წლის 29 მაისს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მთავრობის სხდომას წარუდგინა სახელმწიფო ბანკის ფუნქციები და ამოცანები. აქვე წამოჭრა ბანკის ორგანიზაციული მოწყობის საკითხი. ამ თვალსაზრისით უნდა შექმნილიყო ბანკი, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი იქნებოდა, ასევე არ იქნებოდა სრულიად კომერციული.1919 წლის 25 იანვარს სახელმწიფო ბანკის მოწყობის პრინციპი მთავრობამ მოიწონა. შემდგომში ბანკის წესდებაში განხორციელდა რამოდენიმე შესწორება. მაგალითად, 24 სექტემბერს შესწორება შეეხო „ძირითად“ და „სათადარიგო“ თანხებს. კერძოდ,“ძირითადი თანხა“ 20 მილიონიდან 50 მილიონამდე გაიზარდა, „სათადარიგო თანხა“ 10 მილიონიდან 25 მილიონამდე. (ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2016, გვ. 100). ბანკის წესდების არაერთი განხილვის შემდეგ 1919 წლის 31 დეკემბერს ეროვნული ბანკი ოფიციალურად შეიქმნა.ამოქმედება 1920 წლის ივლისიდან გახდა შესაძლებელი (საქართველოს ეროვნული ბანკი, თ. გ.).

ბანკს უფლება მიეცა ეწარმოებინა შემდეგი ოპერაციები:1)გაენაღდებინა თამასუქები და სხვა ვადიანი ვალდებულებები; 2) გაეცა სესხები; 3)მიეღო ანაბრები; 4) ეყიდა და გაეყიდა თამასუქები და სხვა განძეული; 5) გადაეგზავნა ფული და შეესრულებინა სხვა საკომისიო ოპერაციები (ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2016, გვ. 102).

საქართველოს ეროვნული ბანკი ეტაპობრივად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მჭიდროდ ერთვებოდა. იზრდებოდა ფულის მიმოქცევის დინამიკა, მონეტარული სისტემაც უკეთ ახერხებდა ეკონომიკაში ინტეგრაციას.

საბოლოოდ კი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროს განხორციელებული მონეტარული რეფორმები საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ნიშანი იყო. მიუხედავად არა ერთი კრახისა თუ კრზისისა, ვფიქრობ, ამპერიოდში განხორციელებული რეფორმები, მცირევადიანი, თუმცა მაინც წარმატებული აღმოჩნდა საქართველოსთვის.

დანართი

ცხრილი 1 (ჯავახიშვილი, 1996, გვ. 28)

თარიღი	მანეთი
20.07.1918	280 მლნ
15.11.1918	160 მლნ
12.02.1919	320 მლნ
7.05.1919	200 მლნ
4.06.1919	100 მლნ

ცხრილი 2 (ჯავახიშვილი, 1996, გვ. 65)

წელი	კურსი
აგვისტო	375 მანეთი
სექტემბერი	525
ოქტომბერი	620
ნოემბერი	688
დეკემბერი	762
იანვარი	890
თებერვალი	961
მარტი	979
აპრილი	1.042
მაისი	1,244
ივნისი	1,524
ივლისი	1,894

ცხრილი 3 (ათანელიშვილი, ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2016, გვ. 90)
პირველი საჭიროების საგნების საშუალო საბაზრო ფასები ქ.ტფილისში 1918-1921 წწ. (მანეთობით)

სანოვაგე	1918	1919	1920	1921
1	2	3	4	5
ხორბალი ერთი ფუთი	120.00	-	2100.60	114848
სიმინდი	48.16	-	1088.70	59355
ქერი	39.00	196.70	1128.90	75336
პურის ფქვილი	136.00	502.17	2117.50	129861
სიმინდის ფქვილი	130.00	212.40	1882.00	74917
ძროხის ხორცი	2.02	13.63	56.75	5539
ცხვრის ხორცი	2.45	20.50	122.75	6916
კარტოფილი(1 ფუთი)	27.71	137.67	631.67	43472
ყველი“ „	37.43	291.44	1188.00	78928
ერბო 1 გირ	11.43	64.67	493.00	19674
ყველი 1 „	3.81	26.83	130.94	9454
შაქარი რაფინ1ფუთი	40.00	1970.00	8897.16	595080
შაქარი ფხვნილი „	42.00	1521.67	8576.00	501880
საჭმელი ზეთი 1 გირ	2.43	25.75	2319.08	11213
მარილი 1 „	0.29	1.72	19.22	1320
ნავთი 1“	0.14	2.35	14.25	1490
საპონო „	-	-	115.41	10869

Tengiz Mikeladze

Monetary Reforms implemented in the First Republic of Georgia

The article examines the reforms undertaken by the Democratic Republic of Georgia. In particular, we analyze fiscal reforms of the time, its main positive and negative results. The article studies monetary challenges, solutions to problems, influence on economy and its results for Georgia of 1918-1921. The work defines and reflects on various strategic directions related to these issues.

The goal of this publication is to identify and examine monetary characteristics and reforms of the first democratic republic of Georgia; accordingly – to analyze the results and raise awareness related to this area.

ლიტერატურა:

1. ათანელიშვილი, თ. (2016). *ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.* თბილისი: უნივერსალი.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. (თ. გ.). პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში. მოპოვებული 2016 წლის 9 მაისი, საქართველოს ეროვნული ბანკი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=426-დან
3. ქისტაური, შ. (1993). ეროვნული ვალუტა (წარსული, დღევანდელობა, მომავალი). თბილისი.
4. ჯავახიშვილი, ნ. (1996). ქართული ბონისტიკა. თბილისი: თბილუნი-ვერსალბანკი.

ნათია მჟავია
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

1918-1921 წლები საქართველოს თავისუფლების ხანა. საინტერესოა იმაზე ფიქრი, რომ არა თითქმის ერთსაუკუნოვანი ტყვეობა, როგორი იქნებოდა დღეს საქართველო იმ განვითარების პირობებში, რასაც მან მხოლოდ 3 წლის განმავლობაში მიაღწია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — პირველი რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიაზე, შეიქმნა 1918 წლის 26 მაისს რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ.

3-წლიანი მმართველობის პერიოდში მაშინდელმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნაბიჯი გადადგა, იყო ბევრი წარუმატებელი ნაბიჯიც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 3 წელი ქვეყნის წინსვლისთვის და განვითარებისთვის განსაკუთრებით ისეთ რთულ პერიოდში, როგორშიც ქვეყანა იმ დროს იმყოფებოდა, ძალიან ცოტა დროა.

* * *

1918-1921 წლები საქართველოს თავისუფლების ხანა. საინტერესოა იმაზე ფიქრი, რომ არა თითქმის ერთსაუკუნოვანი ტყვეობა, როგორი იქნებოდა დღეს საქართველო იმ განვითარების პირობებში, რასაც მან მხოლოდ 3 წლის განმავლობაში მიაღწია.

"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — პირველი რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიაზე, შეიქმნა 1918 წლის 26 მაისს რუსეთის იმპერიის დაშლისა და 1917 წლის რევოლუციის შემდეგ. მას ესაზღვრებოდა რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა ჩრდილოეთით, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი - სამხრეთით. მოსახლეობა შეადგენდა 2,5 მლნ-ს, ფართობი - 107,600 კვ.კმ-ს. დედაქალაქი - თბილისი. დემოკრატიული რესპუბლიკა. " (2.0)

რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ საქართველოს ჰქონდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ორგანიზმის შექმნის ყველა წინაპირობა, კერძოდ, საკმარისი ტერიტორია და მოსახლეობა, მდიდარი ბუნებრივი რესურსი, სახელმწიფოს მშენებლობის მრვალსაუკუნოვანი გამოცდილება და რაც მთავარია, მდიდარი ბუნებრივი რესურსი. ამ ყველაფრის პარალელურად კი, ასევე არსებობდა დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობის ხელშემშლელი ფაქტორები.

„საქართველოს იმდროინდელ მთავრობას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას ხელს უშლიდა მტრულად განწყობილი ძალები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დასრულების პერიოდში. ომმა მსოფლიო ეკონომიკურ გავითარებას ძლიერი დარტყმა მიაყენა. მოიშალა წარმოება, ფინანსები, იმატა ინფლაციამ, პროდუქტებზე ფასების ზრდამ დააქვეითა მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა. რუსეთს საქართველოში ბატონობის დროს ხელი არ შეუწყვია ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის: მას ძირითადად ნედლი მასალა გაჰქონდა, ხოლო უკან მზა ნაწარმი შემოჰქონდა. აქედან გამომდინარე, ქვეყანას არ გააჩნდა ეკონომიკური სადავეების ხელში აღებისა და ეკონომიკური პოტენციალის სრულად ამოქმედების გამოცდილება. ახალგაზრდა სახელმწიფოს სახალხო მეურნეობას აკლდა კვალიფიციური კადრები, ტექნიკა მოძველდა, საჭირო იყო უცხოეთთან მჭიდრო კავშირის დამყარება.“

„დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან საქართველოს მთავრობას უმწვავესი ფინანსური საკითხი უნდა გადაეწყვიტა. მხოლოდ დამოუკიდებლობის გამოცხადება არასაკმარისი აღმოჩნდებოდა, თუ საქართველო ვერ შეძლებდა დამოუკიდებლად ეკონომიკურ ცხოვრებას.“ (3)

„ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო ხაზინის შევსება. პირდაპირი გადასახადები თითქმის არ შედიოდა, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა დაკარგა მნიშვნელობა.“

„საქართველოში საკმაოდ მოიპოვებოდა მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, კანაფი, რომელიც უცხოეთში გაჰქონდათ, ხოლო გადამუშავებული კი საკმაოდ ძვირად ფასობდა. ამიტომ ეკონომიკური კეთილდღეობისათვის საჭირო იყო მისი ადგილობრივი დამუშავება (თბილისში არსებობდა სართავი ფაბრიკა). დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტყის ეფექტურად გამოყენებას. კახეთის მიდამოებში (ართაან-ყარალაანთეული) არსებობდა სპილენძის მადნის გარკვეული მარაგი, გოგირდის წყარო, ნავთობანი ადგილები და ა.შ, მაგრამ სახელმწიფო მაინც სუსტად იყო. „

ქვეყნის სისუსტე გამოიხატებოდა იმაშიც, რომ მას არ გააჩნდა საკუთარი ფულადი ერთეული. აშკარა იყო, რომ საკუთარი ფულის გარეშე დამოუკიდებელი ქვეყანა ვერ იარსებებდა.

სამწუხაროდ, საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან განიცდიდა ფინანსურ გაჭირვებას, რაც გამოიხატებოდა ბიუჯეტის დაცარიელებაში, ვერ მიიღეს საგარეო სესხები, არაგეგმიური, გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარად მიმოქცევაში ზედმეტი ბონის გაშვებამ ინფლაცია გამოიწვია, რამაც გააუარესა მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.

„მთავრობის რეფორმების პოლიტიკა ძირითადად ეხებოდა სამ მიმართულებას:

1. მმართველობის სისტემას;
2. ადმინისტრაციას
3. ეკონომიკურ პოლიტიკას.

სახელმწიფო ძალაუფლება გადანაწილდა ცენტრსა და პერიფერიებს შორის. აღმშენებლობის საქმეში მონაწილეობა უნდა მიეღო როგორც მთავრობას, ისე ხალხს. საქართველო იყო გამონაკლისი, სადაც ცენტრალურ მთავრობას არ ჰყავდა მოხელეები და იგი მხოლოდ საერთო სახელმძღვანელო დირექტივებს იძლეოდა. თავდაპირველად დაარსდა სამაზრო ერობები, შემდეგ შეიქმნა თემები. ქართველებს ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ გააჩნდათ, ვინაიდან მანამდე ადმინისტრატორები რუსები იყვნენ. ამ მხრივ, ყველაზე დიდი გამოცდილება ჰქონდათ გერმანელებს, შემდეგ ფრანგებს, ინგლისელებს, სადაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოხელეების აღზრდას.“

ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში არ იცვლებოდა, ამიტომ ხშირი იყო საუბრები ამ თემაზე. „ნ. ჟორდანიას აზრით, ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოიყო ორი მიმდინარეობა: ბოლშევიკური და ლიბერალური. პირველი აღიარებდა სოციალისტურ რევოლუციას, სოციალიზმს, მეორე კი _ კაპიტალის ხელშეუხებელობას და კერძო ინიციატივის ფართო უფლებებს. მთავრობის აზრით, მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამოსავალი გზა მხოლოდ ეკონომიკური მოქმედების ყველა ფორმების გამოყენებით მოიძებნება: სახელმწიფოს, ქალაქებს, კოოპერატივებს, კერძო კაპიტალს უნდა მისცემოდა მოქმედების თავისუფლება.“

„დემოკრატიულ საქართველოში დამოუკიდებელი ეკონომიკის ჩამოყალიბების გზაზე ეკონომიკური რეფორმების ჩასატარებლად სხვა-დასხვა მიმართულება გამოიკვეთა, მათ შორის: აგრარულ, ფულად-საკრედიტო, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის, საბაჟო, სტატისტიკური, ფინანსური კონტროლის და სხვა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26 მაისი) დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უპირველესი ამოცანა იყო იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ახალგაზრდა სახელმწიფოს ემუქრებოდა. მთავრობის უპირველესი მიზანი საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დემოკრატიული წყობილების გარე და შიდა საფრთხისაგან დაცვა გახდა. ახალი დემოკრატიული წყობილების გასამტკიცებლად მთავრობა ითვალისწინებდა საერობო თვითმმართველობის შექმნას, სასკოლო გარდაქმნებს, სასამართლო ცენტრალური ადმინისტრაციის და თვითმმართველობის ურთიერთობების განსაზღვრას, სავალდებულო უფასო პირველდაწყებითი სწავლა-განათლე-ბის მიღების აუცილებლობას და სხვ.“

მთავრობა ინტენსიურად შეუდგა შემოსავლისა და ქონების მიხედვით პროგრამული გადასახადის შემოღებას და საგადასახადო სისტემის გარდაქმნას მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა დიდი ძალისხმევით შეუდგა დაწყებული აგარარული რეფორმის განხორციელებას და ამ გზაზე დაბრკოლების დაძლევას. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენების მიზნით, მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა: ყოველგვარი მადნეულის სახელმწიფო საკუთრებად აღიარება და შესაბამისი კანონპროექტის წარდგენა ეროვნულ საბჭოში; სახელმწიფო

კონტროლის დაწესება საზღვარგარეთ ნედლი მასალის გატანაზე; მთავრობა იმედოვნებდა, რომ ახლო მომავალში სახელმწიფო საქმეების უკეთესად მართვისა და განმტკიცებისათვის მოიწვევდნენ დამფუძნებელ კრებას. ასევე იმედოვნებდა, რომ ქართველი ხალხი ყოველგვარ დაბრკოლებას დაძ-ლევდა, ყველა მოქალაქე სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობით აღიჭურვებოდა და მისი აღმშენებლობის საქმეში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანდა.

„საქართველოს მთავრობის ინტერესთა სფეროში შედიოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა მოკავშირე ქვეყნებთან შეთანხმება და მათი დახმარებით საერთაშორისო აღიარების მოპოვება. ქვეყანა ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, რაც გამოწვეული იყო ომით, რომელსაც საერთაშორისო მასშტაბები ჰქონდა.„(1)

„საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამი კვირის თავზე, 24 ივნისს, გადადგა პირველი მთავრობა და აირჩიეს ახალი მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ახალი მთავრობაც მიზნად ისახავდა: მართვა-გამგეობის გამარტივებას ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებზე დაყრდნობით, ასევე, საერობო თვითმმართველობის შექმნას იმ მაზრებში, სადაც ეს ჯერ ვერ განხორციელდა; სასამართლო რეფორმის დასრულებას და მის ეფექტიან ამოქმედებას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას და უმაღლესი სასამართლოს დაარსებას; საყოველთაო შეიარაღების დაკანონებას; უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა მიწებით უზრუნველსაყოფად აგრარული რეფორმის დაჩქარებას და აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის აღორძინებას.“ (3)

მთავრობა თავის უმნიშვნელოვანეს და უპირველეს მოვალეობად მიიჩნევდა მოეძებნა ისეთი გზები, რომელიც გამოიყვანდა ქვეყანას მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან. ქვეყანა ფაქტობრივად მოწყვეტილი იყო მსოფლიო ბაზარს და სამრეწველო ცენტრებს.

მთავრობა მიზნად ისახავდა პირველდაწყებითი უფასო სავალდებულო და საყოველთაო სწავლა-განათლების შემოღებას, ასევე პროფესიულ-ტექნიკური ცოდნის გავრცელებას, ახლო მომავალში ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევებას.

ამრიგად, გამოიკვეთა მთავრობის სამოქმედო გეგმა ქვეყანაში დამოუკიდებელი ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის, რომელიც აგრარულ, ფულად-საკრედიტო, საბაჟო, სავაჭრო, ფინანსური კონტროლისა და სხვა სფეროების რეფორმირებას გულისხმობდა, მათ შორის კი ერთ-ერთი უპირველესი აგრარული რეფორმა იყო.

„საქართველოს მადნეულებში პირველი ადგილი შავ ქვას ეკავა, რომელიც სხვადასხვა საწარმოში მუშავდებოდა. კერძოდ, 1904-1913 წწ.: საშუალოდ 205 ფირმა ემსახურებოდა შავი ქვის დამუშავებას და მათგან მხოლოდ 8 ფირმას გაჰქონდა შავი ქვა საზღვარგარეთ. მოთხოვნილება, რომელიც ყოველთვის არსებობდა ევროპაში ჭიათურის მარგანეცზე, ომის დროს შეფერხდა, ჩაიკეტა მისი გასაღების ბაზრები, წარმოება შეიკვეცა. შუამავლების მეშვეობით ჭიათურის პროდუქცია ბაზარზე გადიოდა

გაუწმენდავი, სილაგარეული სახით და ამით სახელი ელახებოდა ქართული მარგანეცის ხარისხს, მოგების დიდი ნაწილიც უცხოეთში რჩებოდა.ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად წვრილი მრეწველი მწარმოებლების გაერთიანება იყო საჭირო. ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა სამინისტროს ჩარევით მცირე ფირმების ნაწილი ჭიათურის მარგანეცის (შავი ქვის) მრეწველთა აქციონერული საზოგადოების სახით გაერთიანდა. სახელმწიფომ თავად გადაწყვიტა ამ საქმის გაძღოლა, შუამავლის გარეშე, ანუ ექსპორტის უფლებაც მთავრობის პრეროგატივა უნდა ყოფილიყო.“ (3)

მონოპოლიის მთავრობის პრიორიტეტად გამოცხადებას მხარს უჭერდნენ მრეწველებიც. ქვეყანას დიდი შემოსავლის მიღება შეეძლო ასეთი პოლიტიკის გატარებით. ამრიგად, შავი ქვის ექსპორტზე მონოპოლიის გამოცხადებას ფისკალური და მრეწველობის განვითარების ინტერესები განაპირობებდა.

„შემდგომში დღის წესრიგში დადგა ფოთლოვანი თამბაქოს ყიდვა-გაყიდვისა და საზღვარგარეთ გატანა-განაღდების საქმის სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადების საკითხიც. ამ დროს თამბაქოს მოსავლის რაოდენობით საქართველოს ამიერკავკასიაში პირველი ადგილი ეკავა. ამ შემთხვევაშიც მთავრობამ აიღო პასუხისმგებლობა და 1919 წლის 15 ოქტომბრის საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის სხდომაზე განიხილეს ფინანსთა მინისტრის მიერ წარდგენილი დეკრეტის პროექტი _ ფოთლოვან თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. პროექტს მხარი დაუჭირეს იმ პირობით, რომ მონოპოლიის გამხორციელებამდე საქონლის ექსპორტის თავისუფლად განხორციელებისას ექსპორტიორებს ხელშეკრულება უნდა დაედოთ მთავრობასთან უცხოეთის ვალუტაში.“(3)

„ასევე მალე დღის წესრიგში ჩადგა სახელმწიფო მონოპოლიის განხორციელება სხვა სახის პროდუქციაზეც, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1919 წლის 13 ნოემბერს განიხილა დეკრეტის პროექტი მატყლზე და აბრეშუმის პარკზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ. აღნიშნული დეკრეტის მიღება მიზანშეწონილად ჩათვალა სახელმწიფო კონტროლიორმაც, რომელიც დაეთანხმა მთავრობის მიერ განზრახულ ღონისძიებებს და იმასაც, რომ მატყლის, თამბაქოს და სხვა ნედლი მასალისათვის შემოღებული მონოპოლიის განსახორციელებლად გაეღოთ სახელმწიფო ხაზინიდან 80 მლნ მან. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ამ თანხის 130 მლნ მანეთამდე გაზრდა მოითხოვა. ამ პერიოდში გაძნელდა ზღვაზე ტონაჟის შოვნა და რესპუბლიკაში საქონლის ექსპორტ-იმპორტი. საქართველოს მთავრობა შეღავათიან პირობებს სთავაზობდა ყველას, ვინც ამ საქმეში ჩაერთვებოდა. როგორც კი ვითარება განიმუხტებოდა და გზები გაიხსნებოდა, ქვეყანა შეძლებდა მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას ევროპასთან, სადაც დიდი მოთხოვნილება იყო ნედლ მასალაზე.“ (3)

ვინაიდან საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთ საფუძველს აგრარული რეფორმის სწორად წარმართვა წარმოადგენდა. აგრარული რეფორმა ორ

ეტაპად წარიმართა: პირველი, მესაკუთრეებისათვის დადგენილ ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა და მეორე, მიწის ფონდის დანაწილება და გლეხების საკუთრებაში სხვადასხვა ფორმით გადაცემა; (3)

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დღის წესრიგში იდგა ეროვნული ვალუტის გამოშვების საკითხი, მაგრამ მიმოქცევაში კვლავ რჩებოდა სხვადასხვა ვალუტა. საბოლოოდ, გადაწყდა ქართული „ბონის“ გამოშვება დროებით, საკუთარი ფულის შემოღებამდე, მაგრამ ამ მიდგომამ არ გაამართლა.

კიდევ უამრავი რეფორმის გატარება სურდა იმდროინდელ ხელისფულებას, მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა არმია რამდენიმე მხრიდან შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე, ქართულმა ჯარმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია მიწინააღმდეგეს და დამარცხდა. რუსეთმა დაიკავა თბილისი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. საბრძოლო მოქმედებები მარტის მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა. (3)

მნიშნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 3 წლიანი მმართველობის პერიოდში მაშინდელმა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ნაბიჯი გადადგა, იყო ბევრი წარუმატებელი ნაბიჯიც, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 3 წელი ქვეყნის წინსვლისთვის და განვითარებისთვის განსაკუთრებით ისეთ რთულ პერიოდში, როგორშიც ქვეყანა იმ დროს იმყოფებოდა, ძალიან ცოტა დროა.

Natia Mzhavia

Economic Reforms and Policies in the First Republic of Georgia

1918-1921 - years of freedom of Georgia. One can only imagine where Georgia would stand today within the framework of development achieved throughout only three years, if it has not fallen into almost a whole century of captivity.

Georgian Democratic Republic - the first republic on the territory of Georgia, was established on the 26th of May, 1918 after the fall of the Russian Empire and 1917 Revolution.

Throughout the three years of governance, number of political, economic and social measures were undertaken. Some of them were unsuccessful, but we should not forget that three years is a very short period to ensure progress and development of the country in such a difficult time.

ლიტერატურა:

1. თამარ თადიაშვილი, სტატია „საქართველოს დემოკრატიული რესპუ-ბლიკა 1918-1921“ www.polittheory.wordpress.com/2011/11/28/საქართველოს დემოკრატიულ/#more-90
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 26.06.2011. http:/literatura.mcvane.ge/main/fesvebi/istoria/7968-bbbbbbbbbbb-bbbbbbbbbbbb-bbbbbbbbbb.html
3. თამარ ათანელიშვილი, დისერტაცია „ეკონომიკური რეფორმები საქა-რთველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000363/Atanelishvili%20T.pdf

ნიკა პირველაშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი.

„საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა“

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან 98 წელი გავიდა და დღემდე თითოეული ქართველი სიამაყით იხსენებს იმ ორ წელსა და ცხრა თვეს, რომელიც საქართველომ დამოუკიდებლობაში გაატარა. საუბარია 1918-1921 წლებზე, პერიოდზე, როდესაც საქართველომ კვლავ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, თუმცა სუვერენული სახელმწიფოს შესაქმნელად მხოლოდ კონსტიტუციაში მისი დეკლარირება როდია მთავარი, მთავარია, სუვერენიტეტი რეალობაში გამოვლინდეს და განხორციელდეს. სწორედ ამიტომ, მაშინდელმა წამყვანმა სახელმწიფო თანამდებობის პირებმა არაერთი რეფორმის განხორციელება დაისახეს მიზნად. ფართომასშტაბიანი რეფორმები განხორციელდა ეკონომიკაშიც, ვინაიდან ქვეყანა ვერ შეინარჩუნებდა დამოუკიდებლობას ეკონომიკური სიძლიერის გარეშე. რეფორმების განხორციელებას ხელს უშლიდა მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა და სიღატაკე, ფაქტიურად არ არსებობდა ქვეყანაში ბაზისი, რაზეც ძლიერი ეკონომიკა აშენდებოდა.

მიუხედავად ამისა, ქართველ ხელისუფალთ კონსტანტინე კანდელაკის თაოსნობით ცდა არ დაუკლიათ, რომ როგორმე საქართველოს ეროვნული ეკონომიკა ფეხზე დაეყენებინათ. მათ, მართალია, ვერ შეძლეს თავიანთი მიზნების ბოლომდე განხორციელება, რაც თავის მხრივ, ბოლშევიკთა ინტერვენციის დამსახურებაცაა, თუმცა წამოიწყეს მრავალი ინოვაციური პროექტი, დანერგეს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც მანამდე უცხო იყო ქართული სახელმწიფოსათვის. და დღეს, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ამ სტატიაში მე ვაპირებ, შედარებით ვრცლად ვისაუბრო იმ რეფორმებზე, რომლებიც გახლდათ საწყისი და პირველი ნაბიჯები თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკისაკენ და ადამიანებზე, რომელთაც ეს ნაბიჯები გადადგეს.

* * *

შესავალი

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, მან დაკარგა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ეკონომიკურად განვითარების პერსპექტივა, რამეთუ ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ეკონომიკური

განვითარება პოლიტიკურად სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული ქვეყნისათვის რთულია და მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს სახელმწიფო მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის გიყენებს. მეფის რუსეთი ყველანაირად ცდილობდა, საქართველოს საკუთარი მძლავრი ეკონომიკა არ ჰქონოდა, ვინაიდან ეკონომიკურად სუსტი და მასზე დამოკიდებული ქვეყნის მართვა ბევრად ადვილი იყო.

საქართველომ რუსეთის ქვეშევრდომობის პირობებში საუკუნეზე მეტი დაჰყო და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, ეკონომიკურად და ზოგადად ყველა სფეროში საკმაოდ ჩამორჩა წამყვან ევროპულ ქვეყნებს, სადაც ამ პერიოდში კაპიტალიზმი აყვავებას იწყებდა. პირველმა მსოფლიო ომმა და შემდგომ რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოუტანა, რაც მაშინდელი წამყვანი პოლიტიკოსებისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა და შესაბამისად, ქვეყანა თითქოს მოუმზადებელი შეხვდა ნანატრ დამოუკიდებლობას.

როგორი მდგომარეობა იყო ეკონომიკური თვალსაზრისით მაშინდელ საქართველოში? საშინლად კრიზისული და ქაოტური - რუსეთისაგან ქვეყანამ უმძიმესი ფინანსურ-ეკონომიკური მემკვიდრეობა მიიღო, მოშლილი იყო სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი, ქვეყანაში გაბატონებული იყო უმუშევრობა, შიმშილი, ინფლაცია, დაეცა მოსახლეობის ყიდვითუნარიანობა. უახლოეს პერიოდში კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა, ეს გამოწვეული იყო პირველ რიგში, კვლავ პოლიტიკური მოტივებით - ახალშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაუპირისპირდა ერთი მხრივ, ბოლშევიკური და დენიკინის რუსეთი, ხოლო მეორე მხრივ, ოსმალეთი. ბუნებრივია, პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება უამრავ მატერიალურ რესურსს და ფინანსურ ხარჯებს მოითხოვდა, ეს კი ისედაც სუსტ ეკონომიკას, უფრო მეტად აჩანაგებდა. გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, 1918 წლის მონაცემებით პირველადი მოთხოვნილების საქონელზე ფასი 1914 წელთან შედარებით 1157,69-ჯერ გაიზარდა, მოიშალა რკინიგზა და სატრანსპორტო კომუნიკაცია, გაუარესდა სამედიცინო მომსახურება, ქალაქში ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდება[1]. სახელმწიფო ვერ ახერხებდა სესხის აღებას - ქვეყანაში არსებული მეწარმეები და ფინანსურად შეძლებული პირები ხაზინასთან საქმის დაჭერას უფრთხოდნენ, ხოლო არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვას აფერხებდა. ეს მხოლოდ ძირითადი ნაწილია იმ პრობლემებისა, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა. ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა მინისტრად თავდაპირველად დასახელდა გიორგი ჟურული, რომელიც 1919 წლის 21 მარტიდან შეცვალა კონსტანტინე კანდელაკმა. კონსტანტინე კანდელაკი იყო

1 იხ: საქართველოს დამფუძნებელი კრება, 32-ე სხდომა (სტენოგრაფიული ანგარიში), 1918, 20 ოქტომბერი; ციტ: ანჩაბაძე ჯ., საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან (1918-1921), თბ., 2009, გვ. 18-19.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იმ პერიოდის ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, რომელსაც ემიგრაციის შემდეგაც არ შეუწყვეტია ამ კუთხით მუშაობა[2]. სწორედ ამ პიროვნებებმა, მათ გუნდთან ერთად ჩამოაყალიბეს ის ძირითადი ეკონომიკურ-ფინანსური პოლიტიკის მიმართულებები, რასაც უნდა დამყარებოდა შემდგომი რეფორმები ამ სფეროში.

ჩამოვთვალოთ ის **ძირითადი მიზნები**, რაც ხელისუფლებამ დაისახა: სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა, რაც ითვალისწინებდა ასევე საკუთარი ფულის მოჭრას, სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება, ზოგიერთი სახის საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება და საწარმოთა ნაწილობრივი ნაციონალიზაცია, სამრეწველო და აგრარული რეფორმის განხორციელება, შიდა და გარე რესურსებისა და კაპიტალის მოზიდვა, საზღვარეთის ქვეყნებთან სავაჭრო და საქმიანი კავშირების აღდგენა/ჩამოყალიბება, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, ხარჯების შემცირება და შემოსსავლების ზრდის ხელშეწყობა და ა.შ[3]. მთავარი კი ალბათ მაინც ის იყო, თუ როგორ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ კურსს აირჩევდა სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებისათვის: სოციალისტურს თუ კაპიტალისტურს.

რეფორმები

ა) ბიუჯეტის შექმნა. ბიუჯეტის გარეშე, ბუნებრივია, შეუძლებელი იყო სისტემური ეკონომიკის განვითარება და ზოგადად ფინანსური სტაბილურობის მიღწევა, გარდა ამისა, უბიუჯეტო ქვეყნის წარმომადგენელი უცხოეთში ნდობას ვერ მოიპოვებდა, დღის წესრიგში დადგა ბიუჯეტის შექმნის აუცილებლობა. 1919-1920 წლების სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის კანონპროექტის განხილვა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას დაევალა. ამ პერიოდის ბიუჯეტის შექმნა არ იყო ადვილი საქმე, ვინაიდან იგი იქმნებოდა უაღრესად ცვალებად სიტუაციაში, ამასთანავე არ არსებობდა წინა წლების ზუსტი მონაცემები, რასაც 1919-1920 წლების ბიუჯეტი დაემყარებოდა. აქედან გამომდინარე, საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ ბიუჯეტის პროექტი, შესწორებული სახით, შენიშვნებთან ერთად დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს დაგვიანებით, 1920 წლის 31 მაისს წარუდგინა, მისი პირველი განხილვა კი 16 ივლისს მოეწყო. სხდომაზე ბევრი უიმედოდ შეხვდა წარმოდგენილ ბიუჯეტს, მაგ., ეროვნული დემოკრატების ლიდერი სპირიდონ კედია ბიუჯეტის დეფიციტისა და ფულის კურსის დაცემის პარალელურად, ახლო მომავალში ეკონომიკის სრულ კატასტროფას ვარაუდობდა. აღნიშნული პროექტით გასავლის ყველაზე მეტი წილი სამხედრო საქმეზე იხარჯებოდა, ისეთი უწყებები კი, როგორიც იყო

2 ათანელიშვილი თ., ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), თბ., 2006, გვ. 5, 27.
3 იქვე. გვ. 24-26.

შრომის სამინისტრო, მის ჩრდილქვეშ ექცეოდა და მცირე დაფინანსებით სარგებლობდა. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, „სახელმწიფოს 1919-1920 წლების ბიუჯეტი“ 1920 წლის 16 აგვისტოს დამტკიცდა. იგი შედგებოდა სამი ნაწილისაგან: ა) შემოსავლის აღრიცხვა, ბ) გასავლის აღრიცხვა და გ) ბალანსი. ბიუჯეტში შემოსავალი განისაზღვრა 1.960.490.798, გასავალი კი 1.960.490.788 მანეთით, შემოსავლებში 796.926.313 მანეთის შემოსავალი გათვალისწინებული იყო მთავრობის სამეურნეო ოპერაციებიდან[4].

ბიუჯეტის შევსების ორ მთავარ წყაროდ **გადასახადები** და **საბაჟო სამსახური** ითვლებოდა და ეს ახალმა ხელისუფლებამ მშვენივრად უწყოდა. მიუხედავად ამისა, მათ ვერ შეძლეს მწყობრი საგადასახადო კანონმდებლობის შექმნა და მოსახლეობაში ვერ უზრუნველყვეს გადასახადის გადახდის კულტურის ჩამოყალიბება. ეს ერთი მხრივ, გამოწვეული იყო მწვავე ეკონომიკური მდგომარეობით, მეორე მხრივ კი, გამოცდილი სპეციალისტების ნაკლებობით სამთავრობო სექტორში. შედარებით წარმატებით განხორციელდა საბაჟო რეფორმა. 1918 წლის 30 აგვისტოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი „საბაჟო დაწესებულებათა მოწყობისა“, რომლის თანახმად, გაუქმდა ყველა საბაჟო და შეიქმნა 19 ახალი საბაჟო დაწესებულება, რომელთაც განაგებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო თბილისის მთავარი საბაჟოს მეშვეობით. ხალხი ძნელად ეგუებოდა მოქმედ საბაჟო წესებს და კანონებს. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ საბაჟოებისათვის გვერდის ავლას. ამას ემატებოდა საბაჟო უწყებაში გამოცდილი, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და მებაჟეების მძიმე სოციალური, მათ შორის საცხოვრებელი პირობები. ყველაფრის მიუხედავად, ეს უწყება ასე თუ ისე ახერხებდა ნორმალურ ფუნქციონირებას. 1918 წლის მაისიდან 1919 წლის ივნისის ჩათვლით საბაჟო გადასახადის სახით შემოვიდა 1 294 176 მანეთი, ხოლო ამავე პერიოდში კონტრაბანდული ტვირთის კონფისკაციის შედეგად ხაზინაში შევიდა 3 331 443 მანეთი. დასახელებული თანხები არ იყო საკმარისი ბიუჯეტის სერიოზული დეფიციტის შესავსებად.

ბ) ქართული ბონი. ბუნებრივია, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გამოიკვეთა ინტერესი იმისა, რომ სახელმწიფოს საკუთარი ფული გამოეშვა, თუმცა ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. პირველ რიგში ამ პროცესს ართულებდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე ბანკებიც არ უჭერდნენ მხარს ეროვნული ვალუტის შემოღებას, ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ ბანკებს არაქართველი მოსახლეობა აკონტროლებდა და მათზე პოლიტიკური გავლენის მოპოვება სწრაფად მოახერხეს ანტიქართულმა ძალებმა. საჭირო იყო მოსახლეობის ნდობის ჩამოყალიბებაც ეროვნული ვალუტის მიმართ. ცვლილებები და რეფორმები გეგმაზომიერ განხორციელებას ითხოვდნენ ფიქრისა და დაგეგმარების დრო კი

4 სცსსა, ფონდი 1936, აღწერა 1, საქმე 434, ფურცელი 16-17; ასევე იხ: ანჩაბაძე ჯ., საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან (1918-1921), თბ., 2009, გვ. 17-18.

სახელმწიფოს არ ჰქონდა. უპირველეს პრობლემას წარმოადგენდა ოსმალეთ-კავკასიის ფრონტიდან გამოქცეული და საქართველოს საზღვრებთან თავმოყრილი რუსი ჯარისკაცები, ასევე საქართველოში დისლოცირებული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცები და ამიერკავკასიის ადმინისტრაციის უკმაყოფილო ყოფილი ჩინოვნიკები და უმუშევრად დარჩენილი მოხელეები, რომლებიც სამსახურის დაკარგვის დღიდან ხელფასების გასტუმრებას და სამხედრო ხარჯების ანაზღაურებას ითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თბილისის აოხრებით იმუქრებოდნენ. სამხედრო სტრუქტურების ლიკვიდაცია და მათი მოხელეების რუსეთში გასტუმრება მილიონებთან იყო დაკავშირებული. „ახალი ქართული ფულის შექმნის დრო არ იყო, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დაგვებეჭდა ამიერკავკასიის ბონი“, - წერდა კ. კანდელაკი. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები 1918 წლის ივლისის ბოლოს შეთანხმდნენ, გარკვეული პირობების დაცვით, საკუთარი ფულის ნიშნების შემოღებამდე, კვლავ გაეგრძელებინათ ამიერკავკასიის ბონის ემისია. ერთ წელიწადში ამიერკავკასიის ბონის ხუთი ემისია განხორციელდა, მილიარდ 360 მილიონი მანეთის ეკვივალენტური თანხის ოდენობით. საქართველოზე განაწილდა 540 მილიონი მანეთი, ეს გამოწვეული იყო ზემოაღნიშნული სამხედრო და სხვა ხარჯების გასტუმრებით, რომელიც საქართველოს მოუხდა და რომელმაც შეადგინა 98 მილიონ 244 ათასი მანეთი. ამიერკავკასიის ბონის ემისია წარმატებით მიმდინარეობდა, თუმცა მოგვიანებით აზერბაიჯანმა საქართველოსა და სომხეთთან შეუთანხმებლად დაიწყო საკუთარი ფულის ბეჭდვა. ამის გამო ამიერკავკასიის ბონის ემისიაზე შეთანხმება სულ უფრო და უფრო რთულდებოდა, საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტი კი აშკარა იყო და იგი ქაღალდის ფულის დაუყოვნებლივ გამოშვებას ითხოვდა. „ფულის ემისია სესხის როლს ასრულებს და გადასახადების შემოსვლამდის სახელმწიფოს არსებობის საშუალებას აძლევს. ასეთ სიტუაციაში ჩვენ არ შეგვეძლო დიდხანს დავრჩენილიყავით დამოკიდებული მეზობლებზე, რომლებიც ხშირად ჩვენს საჭიროებას ანგარიშს არ უწევდნენ“, - აღნიშნავდა კ. კანდელაკი. მომწიფებული იყო სიტუაცია საკუთარი ფულის ნიშნის შემოღების თაობაზე. 1918 წლის შემოდგომაზე გამოშვებულ იქნა 5 მილიონი მანეთის ღირებულების ქართული ლატარიის ბილეთები, 1918 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მოკლევადიანი 5%-იანი სახელმწიფო ხაზინის ვალდებულების გამოცემს შესახებ“, ეს ე.წ. მოსამზადებელი პერიოდი კი დაგვირგვინდა 1919 წლის 11 ივლისის დამფუძნებელი კრების დეკრეტით „საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის შესახებ“. დეკრეტის მეორე პუნქტის თანახმად - საქართველოს რესპუბლიკის ბონი გამოიცემოდა დროებით, ვიდრე მიმოქცევაში შემოვიდოდა საქართველოს რესპუბლიკის საკუთარი ფული. მიუხედავად ყველაფრისა, ბონი მაინც რუსულ მანეთთან იყო დაკავშირებული. 1919 წლის 1 ივლისიდან 1920 წლის 31 დეკემბრამდე გამოშვებულ იქნა 8400 მილიონი მანეთის ბონი. 1921 წელს დაიწყო ბონის მე-5 ემისია 10 მილიარდი მანეთის ოდენობით. საქართველოს ხელისუფლება ბონის გამოშვებას საკუთარი

ხარჯების დასაფარად უფრო და უფრო ხშირად მიმართავდა. ბონის ღირებულება ეცემოდა საკუთარი და იმპორტირებული საქონლის მიმართ, თუმცა ქართული ბონი ბევრ სხვა ქვეყნის ვალუტაზე მყარი აღმოჩნდა[5]. უკანასკნელ პერიოდში ხელისუფლებამ მოახერხა საზღვარგარეთის ქვეყნებთან დაკავშირება, დიდი ბრიტანეთის ბანკმა „Limited 48"-მ მილიონ ნახევარი გირვანქა სტერლინგის ოდენობის სესხი გამოუყო საქართველოს, იტალიის უმსხვილეს საწარმოსთან მოხდა ხელშეკრულების დადება ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესიის შესახებ, სხვადასხვა ხელშეკრულებები გაფორმდა საფრანგეთთანაც[6]. ეს ყოველივე სავალუტო სისტემის მოწესრიგებისა და ეკონომიკის განვითარების იმედს იძლეოდა, თუმცა 1921 წელს ბოლშევიკების შემოჭრამ რეალობა რადიკალურად შეცვალა[7].

გ) სახელმწიფო ბანკი[8]. ვინაიდან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის საქმეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მოწესრიგებული საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების განსავითარებლად 1919 წლის 31 დეკემბრის დეკრეტით დაარსებულ იქნა შვედურ მოდელზე აწყობილი საქართველოს სახელმწიფო ბანკი, სადაც ძირითადი თანხა სახელმწიფო ხაზინას ეკუთვნოდა, მოგებაც სახელმწიფოს რჩებოდა, თუმცა თავის საქმიანობაში ბანკი პირდაპირ პარლამენტს ემორჩილებოდა და არა მთავრობას რუსეთის სახელმწიფო ბანკის მსგავსად. სახელმწიფო ბანკი გაიხსნა 1920 წლის 24 ივლისს, მას ჩვეულებრივი ოპერაციების გარდა, თვალყური უნდა ედევნებინა ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებათა ოპერაციებისათვის. იგი ფაქტობრივად უნდა ყოფილიყო ბანკების ბანკი და საქართველოს ტერიტორიაზე მთელი საკრედიტო ურთიერთობების რეგულატორი, მასვე ენიჭებოდა საემისიო უფლება. სახელმწიფო ბანკის წესდებაში ნათქვამია, რომ მისი ძირითადი დანიშნულებაა ფულის მიმოქცევის გაადვილება და ვაჭრობის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობისათვის მოკლევადიანი სესხებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ფულის სიმყარის განმტკიცება. სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხად განისაზღვრა 50 მლნ. მანეთი, საეზერვო ფონდში ირიცხებოდა 25 მლნ. მანეთს. ბანკს უფლება მიეცა: 1) გაენაღდებინა თამასუქები და სხვა ვადიანი ვალდებულებები; 2) გაეცა სესხები; 3) მიეღო ანაბრები; 4) ეყიდა და გაეყიდა თამასუქები და სხვა განძეული; 5) გადაეგზავნა ფული და შეესრულებინა

5 ათანელიშვილი თ., ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), თბ., 2006, გვ. 92-114.

6 ჯავახიშვილი ნ., ქართული ბონისტიკა გვ. 70

7 ანჩაბაძე ჯ., საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან (1918-1921), თბ., 2009, გვ. 114-115; ასევე ნაშრომი: ანჩაბაძე ჯ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის საკითხები (1918-1921 წლები)", ბარტონი, თბილისი, 2004;

8 ათანელიშვილი თ., ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), თბ., 2006, გვ. 114-143; ასევე: ანჩაბაძე ჯ., საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან (1918-1921), თბ., 2009, გვ. 115-121.

სხვა საკომისიო ოპერაციები[9]. ბანკს ასევე შეეძლო საჭიროებისამებრ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სახელმწიფო ბანკი უდავოდ დადებითი მოვლენა იყო, იგი აქტიურად ჩაება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში, მათ შორის იბრძოდა ფულის სიმყარის განმტკიცებისა და ხალხში ბანკისა და ეროვნული ვალუტის მიმართ ნდობის მოპოვებისათვის.

დ) სტატისტიკური აღრიცხვის ორგანო და უმაღლესი ეკონომიკური საბჭო. ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების შეკრების, შეჯერების და შემდგომი პროცესების დაგეგმვის გარეშე, რაც ამ მონაცემებს უნდა დაემყაროს. ასეთი მონაცემების აღრიცხვის გარეშე, შეუძლებელია ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიქმნა ჯერ „სტატისტიკის დროებითი ბიურო“, რომელსაც დაევალა: 1917 წლის საადგილმამულო და სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალების შემუშავება, მიწის ფონდის აღრიცხვა, მიწის ფონდის განაწილების ნორმების განსაზღვრა და სხვ. შემდეგ კი შეიქმნა „რესპუბლიკის ცენტრალური სასტატისტიკო კომიტეტი“, რომელიც პირველის მსგავსად მიწათმოქმედების სამინისტროს დაქვემდებარებაში მოექცა, ნაცვლად იმისა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელ ორგანო. იგი ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა: 1. საადგილმამულო, სასოფლო-სამეურნეო და ერობის სტატისტიკის; 2. შრომის და ვაჭრობა-მრეწველობის; 3. სატრანსპორტო და სასურსათო 4. მცხოვრებთა და ქალაქთა სტატისტიკისა[10].

ვინაიდან სტატისტიკის ორგანოს ბევრი ნაკლი აღენიშნებოდა, ჰქონდა შეზღუდული კომპეტენციები, არ გააჩნდა რეალური ბერკეტები სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვებისათვის, განსაკუთრებით კერძო სექტორიდან, იგი ხელს ვერ უწყობდა ეკონომიკის გაჯანსაღებას და ვერ ახდენდა მომავალი განვითარების პროგნოზირებას. ამ პრობლემების გადასაჭრელად ხელისუფლებამ გადაწყვიტა „უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს“ შექმნა[11]. საბჭოში მუშაობის უკეთ კოორდინაციის მიზნით გათვალისწინებული იყო სამი განყოფილება: წარმოების, ვაჭრობის, ფინანსების; და ოთხი სექცია: სახელმწიფო, მუნიციპალური, კოოპერატივების და კერძო „თაოსნობის“ მეურნეობების. სამწუხაროდ, არც ეკონომიკურ საბჭოს დასცალდა ფუნქციონირება.

დასკვნა

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციური რეფორმა ერთ მიზანს ემსახურებოდა - სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო

9 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), გვ. 327.

10 ათანელიშვილი თ., ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), თბ., 2006, გვ. 159-166.

11 სცსსა, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე 78, ფურცელი 226-230.

ეკონომიკურად წელში გამართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება. სახელმწიფო ძირითადად ორი მიმართულების განვითარებას შეუდგა - პირველი იყო **ვაჭრობა-მრეწველობა,** ამისათვის მონოპოლია გამოცხადდა მნიშვნელოვან საექსპორტო ნაწარმზე (მარგანეცი, თამბაქო, მატყლი, აბრეშუმი...), ასევე - „სათამაშო ქაღალდებზე", მოხდა საბადოების, სამკურნალო წყლების ტალახების და ა.შ. ნაციონალიზაცია. მოკლედ, სახელმწიფო უშუალოდ და აქტიურად ერეოდა ეკონომიკურ-ფინანსური პოლიტიკის განვითარებაში, ამას ასაბუთებდა იმით, რომ კერძო ინიციატივა არ არსებობდა, თუმცა იმჟამინდელ ხელისუფლებას არ ჰქონდა საკმარისი საბრუნავი თანხა, რაც მონოპოლიას სჭირდებოდა, რათა მას კერძო კაპიტალი ჩაენაცვლებინა. ამას ემატებოდა ქაოტური და არაორგანიზებული ეკონომიკური ნაბიჯები, სახელმწიფო თითქოს კაპიტალიზმსაც აღიარებდა და ამავდროულად სოციალიზმის ნიშნებით გაჯერებულ მოქმედებებს ახორციელებდა, მეტიც, თავად კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ რესპუბლიკას აქვს საკუთარი სააღებმიცემო და სამრეწველო მეურნეობა, რომლის გაფართოება და ერთი მთლიანი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია. ასეთი არაგეგმაზომიერი და ქაოტური ეკონომიკური პოლიტიკის მიზეზით იყო, რომ ვაჭრობა-მრეწველობა საქართველოში ვერ განვითარდა. მეორე მიმართულება იყო **აგრარული სექტორი,** სადაც ჯერ მესაკუთრეებს დადგენილ ნორმაზე მეტი მიწა ჩამოერთვათ, შემდეგ კი მოხდა მიწის ფონდის დანაწილება და გლეხების საკუთრებაში სხვადასხვა ფორმით გადაცემა. აგრარული რეფორმა შედარებით წარმატებული გამოდგა, თუმცა ეს საერთო ფონს, რა თქმა უნდა, ვერ შეცვლიდა. მაშინდელ ვითარებას კარგად აღწერს გრიგოლ ლორთქიფანიძე: „მთავრობის მთავარი ფინანსურ-ეკონომიკური ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ მას არ ჰქონდა საკმარისი მტკიცე და გარკვეული გეზი, არ ჰქონდა ერთი გამოკვეთილი ხერხემალი... ის ქანაობდა კაპიტალისტურსა და სოციალისტურ ეკონომიკას შორის, უფრო კი მეორისაკენ იხრებოდა". ნაკლოვანებების მიუხედავად, არ შეიძლება დავუკარგოთ გაწეული შრომა იმ ადამიანებს, რომლებიც რეალურად ცდილობდნენ გადაერჩინათ არა მხოლოდ ეკონომიკა, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ პერიოდში საქართველომ თითქოს გამოიღვიძა, იგრძნო, რომ ის დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ორგანიზმია, ეს კი სწორედ ამ ადამიანების დამსახურებაა. ეს იყო ნათელი პერიოდი ორ უმძიმეს ხანას შორის საქართველოს ისტორიაში. მაშინდელ ხელისუფალთა მიღწევები და შეცდომები დამოუკიდებლობის მეორედ აღდგენის შემდგომ განსაკუთრებით აქტუალური გახდა და სწორედ ამ პერიოდის დადებით თუ უარყოფით პრაქტიკასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა თანამედროვე საქართველოს ინსტიტუციათა არცთუ უმნიშვნელო ნაწილი. შეცდომების მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო უაღრესად ნაყოფიერი ორი წელი და ცხრა თვე და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ნაბიჯები ახალი პერიოდის ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში.

Nika Pirvelashvili

Economic Reforms and Policies in the First Republic of Georgia

98 years have passed since the first democratic republic of Georgia was established and since then each Georgian has been proud of those 2 years and 9 months during with Georgia enjoyed its independence. I mean years of 1918-1921, the period when Georgia regained its independence. However, in order to build a sovereign state, it is not enough to declare ones goals in the constitution. The sovereignty should be reflected and implemented in reality. In order to achieve this goal, the Government officials of that time decided to implement number of reforms. Large scale initiatives were undertaken in economy as well, as the country would have been unable to retain its independence without economic strength. Harsh political situation and poverty impeded the process of reform implementation; there was hardly any basis for building strong economy.

Notwithstanding the difficulties, Georgian Government with the leadership of Konstantine Kandelaki, made every effort to build Georgian national economy. While there were not able to fully meet their goals, due to the Bolshevik intervention, they did launch number of innovative projects, developed institutions that were novel for the Georgian state. Today, in this article dedicated to the Independence Day, I plan to examine the reforms that became the basis and first steps towards the modern economic policy and talk about the people who undertook these changes.

ლიტერატურა:

1. 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდე-ბლობის აქტი;
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია;
3. ანჩაბაძე ჯ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთა-შორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის საკითხები (1918-1921 წლები)“, ბარტონი, თბილისი, 2004;
4. ანჩაბაძე ჯ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან (1918-1921)“, უნივერსალი, თბილისი, 2009;
5. ათანელიშვილი თ., „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემო-კრატიულ რესპუბლიკაში“, უნივერსალი, თბილისი, 2006;
6. ღვილავა მ., საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობა 1918 წელს, თბილისი, 1996.

მარიამ უცუნაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

სტატიაში განხილულია ის ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები, რომლებიც გაატარა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1918-1921 წლებში, კერძოდ, სახელმწიფო მონოპოლიების გამოცხადება, რეფორმები აგრარულ, ფულად-საკრედიტო-საბანკო სფეროებში და სხვა ინსტიტუციური რეფორმები ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით. სტატიის ძირითადი მიზანი თითოეული რეფორმის მნიშვნელოვნების შეფასება და იმ ეკონომიკური სიტუაციის განხილვაა, რაც იყო დამახასიათებელი იმდროინდელი საქართველოსათვის.

* * *

საქართველოს ეკონომიკის ისტორია 1918-1921 წლებში წარმოადგენს პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში, დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის საწყის სტადიაზე ფუნქციონირების უნიკალურ სურათს.

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან საქართველოს მთავრობა უმწვავესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მოიშალა ეკონომიკა, დაცარიელდა ხაზინა, ბანკებიდან და შემნახველი სალაროებიდან დიდი რაოდენობით ფული პეტერბურგში იქნა გატანილი. შემცირდა წარმოების მოცულობა და უმუშევართა რაოდენობა კატასტროფულად გაიზარდა. მოსახლეობის შემოსავალი განუხრელად იზრდებოდა, მაგრამ მას თან სდევდა ფასების სწრაფი ზრდა და შრომის ნაყოფიერების დონის დაცემა. მაგალითად, 1917-1920 წლებში თამბაქოს მრეწველობაში მუშის ხელფასი გაიზარდა 70-ჯერ, ხოლო ამავე პერიოდში ფასები საშუალოდ - 153-ჯერ. რესპუბლიკას შექმნის დროისათვის არ ჰქონდა განსაზღვრული თავისი არსებობის წყაროები, არ იყო განსაზღვრული დამოუკიდებელი საკრედიტო-საფინანსო მექანიზმის მოწყობის საკითხი, რთული ვითარება იყო პოლიტიკური მდგომარეობის მხრივაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირველი 6 თვის მანძილზე ომი კვლავ გრძელდებოდა, 1918 წლის ნოემბერში იგი შეწყდა, მაგრამ ამის შემდგომაც მთელი ერთი წლის მანძილზე არსებული ვითარება არ შეცვლილა, რის შედეგადაც მისვლა-მოსვლა საზღვარგარეთ და მით უმეტეს საქონლის გატანა მეტად გაძნელებული იყო.

დამოუკიდებლობის მიღებისთანავე უმაღლეს საკანონმდებლო

ორგანოდ გამოცხადდა ეროვნული საბჭო, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ეწოდა. აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად მინისტრთა კაბინეტს გადაეცა, რომელსაც 1918 წლის 24 ივნისიდან სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანია.

დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ პირველ რიგში უნდა შექმნილიყო ფინანსური სისტემა, იმ დროს მიმოქცევაში იყო ქაღალდის სამი ფული, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ უზრუნველყოფას და არ წარმოადგენდნენ რეალურ ფასეულობას, საქართველოს მთავრობა იძულებული იყო ხელშეკრულება დაედო აზერბაიჯანთან და სომხეთთან ბონის გამოშვების მიზნით, 1919 წლის 20 იანვარს მიღებულ იქნა კანონი ამიერკავკასიის ბონის გამოცემისა და რესპუბლიკის საჭიროებისათვის კიდევ 80 მლნ. მანეთის გამოშვების შესახებ.

მთავრობამ ამავე პერიოდში გააუქმა რუსეთის საბაჟო დაწესებულებები და დააწესა 14 ახალი ქართული საბაჟო, 1919 წლის ივნისიდან 1920 წლის 31 მაისამდე საბაჟო გადასახადმა გადააჭარბა ხარჯთაღრიცხვით გამოანგარიშებულ რაოდენობას, რისი მიზეზიც ფუფუნების საგნებზე გადასახადის გაზრდა იყო.

სახელმწიფო ხაზინის გასაძლიერებლად, 1919 წელს შემოღებული იქნა მიწებზე ერთდროული გადასახადი, მიწის მეპატრონეებს ერთდროულად უნდა გადაეხადათ შემოსავლის 3%, აქედან ხაზინა მიიღებდა 70 მლნ მანეთს.

1918 წლის 28 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გადაწყდა საქართველოს ეროვნული ბანკის დაარსება, რომელსაც მიენიჭებოდა საემისიო უფლება, ხოლო 1918 წლის 25 ივლისიდან საქართველოს მთავრობამ ბანკები ფულის ნიშნით უზრუნველყო - შესაბამისად, მათი საქმიანობაც გამოცოცხლდა.

1920 წლის 24 ივლისს გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ბანკი, რომლის დებულებით 7 თვით ადრე განისაზღვრა ბანკის სტრუქტურა და უფლებამოსილებანი. სახელწიფო ბანკს დაევალა:

სავალუტო ფონდის შექმნა, რომელშიც უნდა ჩარიცხულიყო 25% იმ წმინდა მოგებიდან, რომელსაც მიიღებდა ვალუტით მთავრობა და მისი ორგანოები სხვადასხვა სავაჭრო ხელშეკრულებებიდან და ოპერაციებიდან;

იმ ნორმის დაწესება, რომლის ფარგლებშიც ნებადართულია უცხო ვალუტის დაუბრკოლებლად გატანა, გაგზავნა და საზღვარგარეთ გადაგზავნა;

სავაჭრო-სამრეწველო მიზნით უცხო ვალუტის შესაძენად ნებართვების გაცემა;

იმ საკრედიტო დაწესებულებებზე ზედამხედველობა და კონტროლი, რომელთაც საგანგებო სათათბიროს მიერ უცხო ვალუტის ოპერაციების წარმოების უფლება მიენიჭათ;

ზომების მიღება ძველი ისეთი ანგარიშებისა და ხელშეკრულების სალიკვიდაციოდ, რომლებიც უნდა განაღდებულიყვნენ უცხო ვალუტაზე;

საქართველოს მრეწველობის აღდგენისა და განვითარების საქმეს ძირითადად უძღვებოდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო,

რომელიც ეძებდა გზებს მდგმარეობიდან გამოსასვლელად. მმართველობის სისტემის უზრუნველყოფის მიზნით, 1919 წლის აპრილში შეიქმნა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო, რომელსაც სამი განყოფილება გააჩნდა: წარმოების, ვაჭრობისა და ფინანსების.

ამავე პერიოდში საჭირო გახდა შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიება. ამ მიზნით განიხილებოდა ზოგიერთი საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება, რათა მოგების მეტი ნაწილი შესულიყო სახელმწიფო ხაზინაში. ამ დროს მრეწველობაში ძირითადად განვითარებული იყო ლითონის, ქვისა და თიხის დამუშავება; მადნეულობაში პირველი ადგილი შავ ქვას ეკავა. შავი ქვის ექსპორტზე მონოპოლიის გამოცხადებას ფისკალური და მრეწველობის განვითარების ინტერესები განაპირობებდა. შემდგომში დღის წესრიგში დადგა ფოთლოვანი თამბაქოს ყიდვა-გაყიდვისა და საზღვარგარეთ გატანა-განაღდების საქმის სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადების საკითხიც, რომელსაც 1919 წლის 24 ოქტომბერს მიეცა ოფიციალური სახე. მონოპოლიზების პროცესი ეტაპობრივად წარიმართა და მალე სხვა საქონელზეც გამოცხადდა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, საქართველო იმთავითვე აგრარული ქვეყანა იყო და ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინების მთავარ საფუძველს აგრარული რეფორმის სწორად წარმართვა წარმოადგენდა. თითოეული პოლიტიკური პარტია განსხვავებულად მოითხოვდა მიწის საკითხის გადაჭრას; ბოლშევიკები- მიწის ნაციონალიზაციას, ესერები და სოციალ-ფედერალისტები - სოციალიზაციას; ნაციონალ-დემოკრატები - გლეხობის მიერ მემამულეთაგან მიწების გამოსყიდვას, სოციალ-დემოკრატები კი ჩამორთმეული მიწების მუნიციპალიზაციას მოითხოვდნენ.

მუნიციპალიზაციის შემთხვევაში: პირველი, მიწები უნდა გადასულიყო ადგილობრივი კომიტეტის ან ერობის ხელში, რომელიც მიწებზე დააწესებდა იჯარის მინიმალურ ქირას და აქედან შემოსული თანხა მოხმარდებოდა ისევ ადგილობრივ კულტურული და ეკონომიკური აღორძინების საქმეს; მეორე, ხელი უნდა შეწყობოდა სოფლად კაპიტალიზმის განვითარებას. აგრარული რეფორმა ორი ძირითადი საფეხურისგან შედგებოდა: პირველი, ეს იყო მიწების ნორმის ზევით ჩამორთმევა და მეორე, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. რეფორმის პირველი ნაწილი - მესაკუთრეებისათვის ნორმაზე მეტი მიწის ჩამორთმევა, 1918 წლის აგვისტოში დაიწყო და 1919 წლის შემოდგომისათვის ფაქტობრივად დასრულდა. შემდგომში კი განხორციელდა აგრარული რეფორმის შედარებით რთული, მეორე ეტაპი - მიწის ფონდის დანაწილება და გლეხობის საკუთრებაში სხვადასხვა გზით გადაცემა.

ვინაიდან, ქვეყნის შემოსავლის დიდ ნაწილს სხვადასხვა საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავალი განსაზღვრავს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ამ წლებში განხორციელდა სახელმწიფო კონტროლოს დაწესება, შემოსავალ-გასავლის მკაცრი აღწერა იყო. კონტროლის სამოქმედო გეგმა ძირითადად დაფუძნებული იყო სახელმწიფო ხარჯების

გადამეტებული ზრდის მოწესრიგებაზე, ბიუჯეტის არსებობაზე, ამისათვის კი უნდა შემოწმებულიყო სათანადო ანგარიშები, რისი კანონიერი უფლებაც კონტროლიორს მიენიჭა. მთლიანობაში სახელმწიფო კონტროლის ფუნქციებში შედიოდა: საკანონმდებლო ორგანოში წარდგენამდე ბიუჯეტის პროექტის შედგენის შემოწმება; ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, რათა იგი არ ასცდენოდა სამოქმედოდ დამტკიცებულ ფინანსურ გეგმას; კრედიტების განაწილებაზე კონტროლი; სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ფულადი სახსრების ბრუნვის, მატერიალური ქონების მდგომარეობის შემოწმება.

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. პირველმა მსოფლიო ომმა საქართველოს ეკონომიკას მძიმე დარტყმა მიაყენა, შემცირდა წარმოება, ფინანსური სისტემა, იმატა ინფლაციამ და ფასებმა, გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს მთავრობას მწვავე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი უნდა დაეძლია. საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა; ფინასური სისტემის მოწესრიგება, დამოუკიდებელი ფულისა და საბაჟო სისტემის შექმნა, სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება, ზოგიერთი სახის საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება, აგრარული რეფორმის ჩატარება და სოფლის მეურნეობის აღორძინება, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახელმწიფო საბანკო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბებას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭა. გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო ბანკი და დაარსდა საქართველოს ეროვნული ბანკი.

Mariam Utsunashvili

Economic Reforms and Policies in the First Republic of Georgia

The article examines main economic and political reforms pursued by Georgian Democratic Republic throughout 1918-1921, such as monopolizing some significant resources, reforms in agriculture, monetary and banking spheres. There were interesting institutional and policy initiatives in management of economy. Main purpose of the presented article is to analyze each reform's importance and review economic situation that was characteristic for Georgia in 1918-1921.

ლიტერატურა:

1. ანჩაბაძე ჯ. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიიდან (1918-1921)“, თბილისი, 2009.
2. ანჩაბაძე ჯ. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიის საკითხები (1918-1921)'. თბილისი, 2004.
3. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. „დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა 1918-1921 წლებში“, თბილისი, 1990.
4. თამარ ათანელიშვილი, „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921წწ)“

ანა ჩარკვიანი
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

საქართველოს ისტორიაში იშვიათად ყოფილა ისეთი მოკლე გარდამტეხი პერიოდი, როგორიც 1918-1921 წლებში. 1801 წლიდან ამ 1917 წლამდე დროის მონაკვეთი ქვეყანამ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გაატარა. ამ ერთმა საუკუნემ მნიშვნელოვნად შეაფერხა სახელმწიფოს იმჟამინდელი თუ მომავალი განვითარება და დამოუკიდებლად არსებობისთვის საჭირო, ფაქტობრივად, არავითარი რესურსი არ დაუტოვა. 1918 წლისთვის არ არსებობდა ან ძირფესვიანად მოშლილი იყო სახელმწიფო ინსტიტუტები, ქვეყანას არ ჰქონდა საერთაშორისო ცნობადობა და მტკიცედ დადგენილი ტერიტორიული საზღვრები; ჯერ კიდევ არსებობდა შიდა აჯანყებების / პროტესტის საფრთხე; საქართველოს არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა, არ შეინიშნებოდა სათანადო პირობები ეკონომიკური წინსვლისთვის, ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკის სათანადოდ განსასაზღვრად და საგადასახადო, ბიუჯეტის და საბანკო სისტემების შესამუშავებლად. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ყველა ზემოთ ხსენებული პრობლემისა და მცირე დროისა, საქართველომ მოახერხა, შეემუშავებინა დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია, მიეღო პროგრესული კანონები და რეგულაციები და გაეტარებინა ეკონომიკური რეფორმები.

ნაშრომში განხილულია საქართველოს პირველ რესპუბლიკაში არსებული ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია და მისი შემდგომი განვითარება. აღწერილია, როგორ მოახერხა სახელმწიფომ ამდენად მცირე დროის მონაკვეთისა და რესურსების პირობებში, გაჰყოლოდა პროგრესულ და დემოკრატიულ გზას. ნაშრომის მიზანია, დაგვანახოს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეკონომიკური ტრანსფორმაცია, რომელიც საფუძველი გახდა რემზი მაკდონალდის, გამოჩენილი ბრიტანელი პოლიტიკოსისა და მოგვიანებით დიდი ბრიტანეთის ორგზის პრემიერ მინისტრის, შემდგომი განცხადებისა: „მე გავეცანი მის [საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის] კონსტიტუციას, სოციალურ და ეკონომიკურ რეკონსტრუქციას [,] და, რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი, რომ ჩემს ქვეყანაშიც მენახა[1] “.

1 Matsaberidze Malkhaz, The Georgian Constitution of 1921: Elaboration and Adoption., 2008, გვ.171

* * *

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩამოყალიბება

საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად ოფიციალურად 1918 წელს ჩამოყალიბდა და ამ სტატუსით 3 წელი იარსება. წინა პერიოდში - 1801-1917 წლებში - ქვეყანა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა, რომელმაც მისი ანექსია 1801 წელს მოახდინა. 1917 წლის რუსეთის რევოლუციამ საქართველოს დამპყრობლისგან თავის დაღწევის რეალური შანსი მისცა. შედეგად, 1918 წლის 26 მაისს სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ დროს რუსეთში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ქვეყნის გათავისუფლება მისი თითოეული მოქალაქისთვის ახალი ცხოვრების დაწყების, საქართველოსთვის კი წინსვლისა და პროგრესის მომასწავებელი იყო. თუმცა, წარმოუდგენლად რთული აღმოჩნდა აბსოლუტურად მოშლილი სახელმწიფოს ნანგრევებიდან გამოყვანა და მისგან თანამედროვე, დემოკრატიული ქვეყნის ჩამოყალიბება. იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის მთელმა საუკუნემ დიდი დაღი დაასვა ყველა სფეროს, მათ შორის, ცხადია, ეკონომიკასაც, რომლის გამართული ფუნქციონირება და ნებისმიერი სახელმწიფოს წარმატებული განვითარება ერთმანეთისგან გაუმიჯნავია.

ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია

თითქმის უფუნქციო ეკონომიკა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ქვეყნის სტაბილურ და უსაფრთხო განვითარებას. საქართველოს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკას მემკვიდრეობით სრულიად მოშლილი ეკონომიკური სისტემა ერგო: ქვეყანას არ ჰქონდა ეროვნული ვალუტა, არ იყო განსაზღვრული ფისკალური თუ მონეტარული პოლიტიკა, ამავე პერიოდს დაემთხვა პირველი მსოფლიო ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რამაც, საბოლოოდ, ქვეყანა სწრაფი ტემპებით მზარდ ინფლაციამდე მიიყვანა. დასაქმებულთა სამუშაო პირობები თანამედროვე მიდგომებისა და მოთხოვნების არაადეკვატური იყო, რაც მათ სამართლიან პროტესტს იწვევდა და უარყოფითად ისახებოდა მათსავე პროდუქტიულობაზე.

საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას, სიტყვები კარგად გადმოსცემს იმ დროისათვის ქვეყანაში არსებულ რთულ ეკონომიკურ სიტუაციას: „ჩვენ მოგვიწია სახელმწიფოს შენება ცარიელი ხაზინით; გვქონდა მხოლოდ რამდენიმე მილიონი რუბლის ღირებულების საქონელი რუსეთისგან გამოყოფის შემდეგ. [...] არავითარი სახელმწიფო აპარატი, არც ჩვენი ტრადიციული სისტემა, არც ფონდები. ჩვენი მემკვიდრეობა ომის ეკონომიკა იყო“[2].

2 Jones. Stephen, Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21, Caucasus Survey, 2014, Vol.1, No.2, 2

სახელმწიფო მართვისა და ეკონომიკური სისტემების შემუშავების პრაქტიკული შიდა გამოცდილების არარსებობის გათვალისწინებით, ქვეყნის დამხმარე ძალად უცხოური მხარეღა რჩებოდა. თუმცა, საერთაშორისო ცნობადობის ნაკლებობისა და ქვეყანაში არსებული სიტუაციის ფონზე საეჭვო იყო საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერის მოპოვება, რომელთაც შემუშავებული ჰქონდათ ეფექტური ანტიკრიზისული პროგრამები (მაგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდს (IMF) ან მსოფლიო ბანკს). იმ პერიოდისთვის საქართველოს არ ჰყავდა არც დადებითად განწყობილი ისეთი მეზობლები თუ პარტნიორები, როგორიცაა დღეს, მაგალითად, ევროკავშირი და არც უცხოელი ექსპერტები. ერთა ლიგამ თავის წევრ სახელმწიფოებს ტექნიკური დახმარება და დიდძალი ოდენობის სესხები რეკონსტრუქციისთვის მხოლოდ 1922 წლის შემდეგ შესთავაზა, საქართველომ კი ლიგაში შესვლაზე 1920 წელს უარი მიიღო. ამდენად, ქვეყანას ყველანაირი გამოცდილებისა და მხარდაჭერის გარეშე მოუწია ყველა იმ ცვლილების შემუშავება და გეზის არჩევა, რომელსაც საქართველო, როგორც შემდგარი სახელმწიფო, უნდა ჩამოეყალიბებინა.

ვაჭრობა

ეკონომიკური წინსვლისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა შავი ზღვის პორტები, რამდენადაც მათი საშუალებით ხდებოდა სავაჭრო კავშირის დამყარება ევროპისა და აზიის რეგიონებს შორის. შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი ვაჭრობის განვითარება სომხეთთან, აზერბაიჯანთან და შუა აზიასთან, რომელთა ბაზრის ჯამური სიდიდეც საქართველოს ეკონომიკისთვის დიდ პოტენციალს წარმოადგენდა. ამ პერიოდისათვის ბათუმის პორტი ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. შესაბამისად, მთავრობამ მიზნად დაისახა და მოახერხა კიდეც მათი „გათავისუფლება“, რათა თავად, დამოუკიდებლად შეძლებოდა ქართული პორტების კონტროლი და, რაღა თქმა უნდა, შესაბამისი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

ინფლაცია

საქართველოს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკას რთული მაკროეკონომიკური გარემო ხვდა წილად. პირველი მსოფლიო ომის შედეგად მიღებულმა გლობალურმა კრიზისმა, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტამ და ახალი პარტნიორების არარსებობამ ქვეყანა ეკონომიკურ კოლაფსამდე მიიყვანა. პროდუქტები, რომლებზეც მოდიოდა ექსპორტის უმეტესი წილი (ღვინო, ხილი, მანგანუმი...), ვეღარ გადიოდა საზღვარგარეთის ბაზრებზე და სახელმწიფოშივე რჩებოდა. ასევე, შეინიშნებოდა მუდმივი დისბალანსი მთავრობის დანახარჯებსა და მის გადახდისუნარიანობას შორის.

ყველაფერმა ამან საქართველო სწრაფადმზარდ ინფლაციამდე მიიყვანა. 1919 წლისთვის ქვეყანაში ერთდროულად 4 ვალუტა ფუნქციონირებდა (ნიკოლოზის და კერენსკის რუბლი, ტრანსკავკასიური და ქართული ბონდი). 1918 წლისთვის 1 ფუნტს ნიკოლოზის 40 რუბლი უტოლდებოდა, 1919 წლისთვის - 700. მცირე ხნის შემდეგ, 1920 წლის თებერვალში, მაჩვენებელმა 1,000 რუბლს მიაღწია, იმავე წლის დეკემბერს კი 18,000-მდე გაიზარდა[3] (იხ. დიაგრამა 1). 1919 წელს სახელმწიფო უშვებდა ბანკნოტებს 50 კაპიკიდან 500 რუბლამდე, 1921 წლისთვის კი ყველაზე გავრცელებული 50,000 და 100,000 რუბლის კუპიურები გახდა. მიუხედავად ადგილობრივი ბანკების მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობისა, სახელმწიფო პრობლემის აღმოფხვრას ფულის დაბეჭდვით ცდილობდა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა შექმნილ სიტუაციას.

აგრარული რეფორმა

დამოუკიდებლობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას აგრარული სექტორი წარმოადგენდა. საქართველო აღიქმებოდა, როგორც ტიპური მიწათმოქმედებაზე დაფუძნებული ქვეყანა, უმთავრეს სიძლიერედ კი ღვინის დამზადების მრავალწლიანი გამოცდილება მიიჩნეოდა. ამ რეპუტაციის მისაღებად და შესანარჩუნებლად მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია აგრარული სექტორის რეფორმებს: აქამდე რუსეთისა და ეკლესიის მფლობელობაში არსებული მამულები ქართული სახელმწიფოს საკუთრებად იქცა. მოხდა ონფისკირება და ნაციონალიზება პლანტაციების, ტყეებისა და ვენახებისა, რომელთაც ადრე აგრეთვე რუსი ყოფილი იმპერიალისტების ოჯახები ფლობდნენ. განისაზღვრა მიწის კერძო საკუთრებაში ფლობის მაქსიმალური მოცულობა, ხოლო თუ მიწის მოცულობა აჭარბებდა დაწესებულ საზღვარს, ნამეტი არსებულ და დაშვებულ მოცულობას შორის სახელმწიფოს მფლობელობაში გადადიოდა (მაგ. თუ კერძო პირი ფლობდა 1000 ჰექტარ მიწას, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობა კი შეადგენდა 800 ჰექტარს, სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა სხვაობა, 200 ჰექტარი). ამ ჭარბი რაოდენობის მიწის შემდეგში იჯარით აღება და დამუშავება შეეძლოთ გლეხებს, რომლებიც მცირე ფართობის მიწას ფლობდნენ. სახელმწიფოს სურდა, შემლებისდაგვარად დაებალანსებინა ქვეყნის მოსახლეობის უფლებები მიწაზე და ყველა მეტ-ნაკლებად თანაბარ სიტუაციაში ჩაეყენებინა; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეღავათმა გლეხებს მდგომარეობა დიდად ვერ შეუმსუბუქა და მთავრობა იძულებული გახდა, სახელმწიფო საკუთრებაში გადასული მიწები მიეყიდა და პირად საკუთრებაში გადაეცა მიწის მცირე ფართობის მქონე გლეხებისთვის.

3 Jones. Stephen, Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21, Caucasus Survey, 2014, Vol.1, No.2, 6

მეტალურგია

საქართველოში საკმაოდ განვითარებული იყო აგრეთვე, მანგანუმის ინდუსტრია ჭიათურაში. ევროპის მეტალურგიისთვის, რომელიც მსოფლიოს მე-20 საუკუნის დასაწყისში მანგანუმის ჯამური რაოდენობის 70%-ს აწვდიდა, საქართველო მანგანუმის ძირითადი მომმარაგებელი იყო. თუმცა, 1913-1919 წლებში ჭიათურაში მანგანუმის ინდუსტრიაში დასაქმებულების რაოდენობა 3,500-დან 250-მდე, მანგანუმის წარმოება კი 87%-ით შემცირდა[4]. მდგომარეობის ამ დონეზე გაუარესება ძირითადად გამოიწვია პირველმა მსოფლიო ომმა, რომელსაც დაერთო მანგანუმის ექსპორტში ბრაზილიისა და ინდოეთის მხრიდან კონკურენცია.

შრომითი რეგულაციები

საზოგადოების პროდუქტიულობის ამაღლებისა და შრომის წასახალისებლად დაწესდა 8-საათიანი სამუშაო დღე, ინდუსტრიულ და აგრარულ სექტორში დასაქმებულებისთვის, რომლებიც ქვეყნის სამუშაო ძალის უმრავლესობას შეადგენდნენ, მხოლოდ გამოუვალ სიტუაციებში შეიძლებოდა დაევალებინათ დამატებითი საათების განმავლობაში მუშაობა და ამ დროს ორმაგი ანაზღაურების მიღების უფლება ჰქონდათ. აიკრძალა ბავშვების შრომა და ქალების მუშაობა საღამოს / ღამის საათებში. ყველა მომუშავეს ჰქონდა უფლება, მიეღო ერთი ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში. დაწესდა მინიმალური ხელფასის დონე.

სახელმწიფო მოსახლეობას უმუშევრობისა და ჯანმრთელობის დაზღვევას სთავაზობდა. ასევე, დასაქმებულებს მიეცათ გაფიცვის უფლება, რომელიც ცარიზმის დროს, ე.ი. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას (1801-1917 წწ.), ჩამორთმეული ჰქონდათ და რომელიც მოგვიანებით კომუნიზმმაც უარყო. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს სურდა, სათანადოდ დაეფასებინა დამსახურებული მოქალაქეები, რისთვისაც ყოფილ სამხედრო მოღვაწეებს გარანტირებულ სამსახურს ჰპირდებოდა, რიგითი მოქალაქეებისთვის კი სამუშაო გამოცდილების მიხედვით განისაზღვრებოდა კომპენსაციის დონე.

4 Georgian Archive, Box 13, Book 71

დასკვნა

როგორც ვნახეთ, საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად, თანამედროვე და პროგრესული მეთოდებით ცდილობდა მის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას. თუმცა, სამწუხაროდ, ყველაზე შეზღუდული მაინც დროის რესურსი აღმოჩნდა, რომელმაც არ მისცა საშუალება სახელმწიფოს, განვითარებულიყო დამოუკიდებელი გზით და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებულიყო. მიუხედავად ამისა, იმ პერიოდში მიღებული ცვლილებები უკვალოდ არ დაკარგულა და საფუძვლად დაედო საქართველოს 70 წლის შემდეგომ წინსვლას, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს საუკუნისწინანდელი რეგულაციების, კანონებისა და პოლიტიკის შორსმჭვრეტელურ კონტექტს და ქვეყნის შესაძლებლობას, გადაქცეულიყო გაცამტვერებულიდან სწორი გზით განვითარებად სახელმწიფოდ.

დიაგრამა 1[5]



5 Jones. Stephen, Between ideology and pragmatism: social democracy and the economic transition in Georgia 1918-21, Caucasus Survey, 2014, Vol.1, No.2, 6

Ana Charkviani

Economic Reforms and Policy in the First Republic of Georgia

Annotation

The history of Georgia nowadays counts thousands of years of existence. Still, we can hardly name the times so short and at the same time so purposeful as between 1918-1921 years. Beginning in 1801 until 1917 the country was annexed by the Russian Empire. Being a whole century conquered, Georgia had a tremendous setback in development. The Empire demolished every vital resource for the country to live its own, independent life. By 1918 Georgia did not have functioning state institutions, international recognition and defined borders; it still faced a threat of internal uprisings. The country had no national currency; conditions to achieve economic progress and develop fiscal and monetary policies were not met. However, despite all above mentioned difficulties and short time, Georgia managed to elaborate on a constitution of an independent state, pass progressive laws and regulations and successfully implement a number of reforms which were undoubtedly ahead of their time.

The article reviews general economic situation in the first republic of Georgia and its further development. It describes how the country succeeded to follow progressive and democratic road with such limited time and resources at hand. The article aims to portray the process of economic transformation of the First Republic of Georgia, referring to which prompted Ramsey McDonald, a prominent British politician, later twice Prime Minister of Great Britain, to state in the letter published in the magazine "Nation" on October 16, 1920: "I familiarized myself with its constitution, its social and economic reconstruction [,] and what I saw there, I wish I could see in my country too (Matsaberidze. Malkhaz, The Georgian Constitution of 1921: Elaboration and Adoption., 2008, p.171)".

ლიტერატურა:

1. Georgian Archive, Box 13, Book 71
2. Gharibyan. Alik, The Social-Economic and Political situation in Transcaucasus (1918-1921), 1-3
3. Karchava. Daushvili. Andro, Alexander, The Democratic Republic of Georgia: Struggle for Independence 1918-1921, 35-37
4. Matsaberidze. Malkhaz, The Georgian Constitution of 1921: Elaboration and Adoption., 2008, 171

5. Chedia, Beka. Constitutional Reform in Georgia as a Result of its Political Instability. Central Asia and the Caucasus. Volume 12, Issue 2, 2011 http://cyberleninka.ru/article/n/constitutional-reform-in-georgia-as-a-result-of-its-political-instability
6. Lang, David Marshall, Towards Georgian Independence (1918-1921). http://www.conflicts.rem33.com/images/Georgia/Lang_9.htm, 05.05.2016
7. Papuashvili, George. A Retrospective on the 1921 Constitution of the Democratic Republic of Georgia. Online Journal "The Federalist Society for Law and Public Policy Studies". Volume 13, Issue 1, March 2012 http://www.fed-soc.org/publications/detail/a-retrospective-on-the-1921-constitution-of-the-democratic-republic-of-georgia
8. Urushadze, Levan. Democratic Republic of Georgia (1918-1921). https://archive.org/stream/DemocraticRepublicOfGeorgia1918-1921/DRG_djvu.txt, 06.05.2016
9. Watkins, Thayer. The Economy and Economic History of the Republic of Georgia (Sakartvelo) http://www.sjsu.edu/faculty/watkins/georgiarep.htm ,10.05.2016
10. Democratic Republic of Georgia, Wikipedia. https://en.wikipedia.org/wiki/Democratic_Republic_of_Georgia#Economy, 05.05.2016
11. Democratic Republic of Georgia explained; http://everything.explained.today/Democratic_Republic_of_Georgia/, 08.05.2016
12. http://www.investingeorgia.org/en/georgia/georgia-at-a-glance, 10.05.2016

ნინო ჩუთლაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

სტატიის ძირითადი მიზანია, უკეთ შევისწავლოთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა, რათა შევიცნოთ ქვეყნის ისტორიული განვითარების ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი სოციალურ–პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა.

1917-1921 წლებში, პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისთანავე, საქართველომ მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი ცვლილებების გზა განვლო. მიუხედავად მცირე დროისა, ამ პერიოდში ქვეყნის მთავრობამ არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა გაატარა: ზოგიერთ საქონლის ექსპორტზე დაწესდა სახელმწიფო მონოპოლია, განხორციელდა სოფლის მეურნეობის რეფორმა, მოხდა საბაჟო სისტემის სრული გარდაქმნა, შეიქმნა ფულად–საფინანსო სისტემა, დაიწყო ახალი ფულადი ერთეულის გამოშვება – „საქართველოს ბონი“. შესაბამისად, დაარსდა ცენტრალური ბანკი და სპეციალური სტატისტიკის სამსახური. ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად საყურადღებოა ამავე პერიოდის საქართველოს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა: დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის -კონსტიტუციის მიღება, მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი), გერმანიასთან, რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება და სხვ.

* * *

მსოფლიოს ქვეყნებს შორის საქართველო გამოირჩევა უძველესი კულტურითა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, რომლის განმავლობაშიც ქვეყანა მუდმივად ცდილობდა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა, არ დაეკარგა ინდივიდუალიზმი და თვითმყოფადობა. ბუნებრივია, ქვეყნის ისტორიულ განვითარებაზე საუბრისას განსაკუთრებით საინტერესოა გასული საუკუნის საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა, რომელმაც მოცემულ პერიოდში უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს პერიოდი ხასიათდება სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ძვრებითაც.

1917-1921 წლებში საქართველომ, პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისთანავე, მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი

ცვლილებების გზა განვლო. 1917 წელს რუსეთში მომხდარი რევოლუციების შედეგად რომანოვების დინასტია დაემხო, ჩამოგდებულ იქნა დროებითი მთავრობა და ქვეყნის სათავეში მოვიდა ბოლშევიკური პარტია. ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად საქართველოში გაიზარდა დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის სულისკვეთება. თუმცა, ეს პროცესი ერთბაშად არ დაწყებულა მას წინ უსწრებდა ამიერკავკასიის ჯერ სამხედრო მმართველობა, შემდეგ კი ფედერაციული სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ორივე მათგანმა ერთად სულ 14 თვე გაძლო.

117 წლის წინ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობა აღდგა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი და შესაბამისად ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა. სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად დემოკრატიული რესპუბლიკა იქნა აღიარებული. პირველად საქართველოს ისტორიაში შეიქმნა ახალი ტიპი ქართული სახელმწიფოებრიობა - ევროპული ტიპის დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ითვალისწინებდა თვისობრივად ახლებური ტიპის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემის ფორმირებას. ამისთვის ქვეყანას ესაჭიროებოდა სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა, თუმცა საქართველოში საკუთარი ფინანსების, კვალიფიციური კადრებისა და ახალი ტექნიკას ნაკლებობა იყო. ფინანსური პოლიტიკის სისუსტე საკუთარი ფულადი ერთეულის უქონლობაში გამოიხატა, ბიუჯეტი დაცარიელდა, საგარეო სესხები მთავრობამ ვერ მიიღო, გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად მიმოქცევაში ზედმეტი ბონის გაშვებამ ინფლაცია გამოიწვია, საბოლოოდ გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც.

ეკონომიკური რეფორმები

შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიება სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. ზოგიერთი საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებით შესაძლებელი ხდებოდა მოგების მეტი ნაწილი შესულიყო ქვეყნის ხაზინაში. ერთ-ერთ ასეთ საქონელს წარმოადგენდა ჭიათურის მაღალხარისხოვანი შავი ქვა - მარგანეცი, რომლის ექსპორტი არასახარბიელოდ მიმდინარეობდა. შუამავლების მეშვეობით პროდუქცია ბაზარზე გადიოდა გაუწმენდავი, სილაგარეული და მოგების დიდი ნაწილი უცხოეთში რჩებოდა. სახელმწიფომ თავად გადაწყვიტა ამ საქმის გაძღოლა, შუამავლის გარეშე. ასეთი პოლიტიკის გატარებით ქვეყანას დიდი შემოსავლის მიღება შეეძლო. შავი ქვის ექსპორტზე მონოპოლიის გამოცხადების შემდეგ მთავრობამ ამ საქმეში პროფესიონალი მრეწველები ჩართო და ამავე მიზნით, „ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო

საზოგადოება“ შექმნა. გარკვეული დროის შემდეგ სახელმწიფო მონოპოლია გამოცხადდა ასევე ფოთლოვან თამბაქოზე, მატყლზე, აბრეშუმის პარკზე და აბრეშუმის ძაფზე. [1]

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი იყო სოფლის მეურნეობის რეფორმა, რადგან საქართველო ოდითგანვე აგრარული ქვეყანა იყო. რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში აიკრძალა მიწების ყიდვა-გაყიდვა, რათა არ მომხდარიყო მათი დაგირავება და უცხოელებზე გადაცემა. თუმცა, საბოლოოდ ეს ნიშნავდა მსხვილი მიწათმფლობელობის გაუქმებას. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტულ მიმართულებად მუნიციპალიზაციის პროცესი მიიჩნია. ამ შემთხვევაში მიწები უნდა გადასულიყო ადგილობრივი კომიტეტების ან ერობის ხელში, რომელიც მიწებზე დააწესებდა იჯარის მინიმალურ ქირას, შემოსული თანხა მოხმარდებოდა ადგილობრივი კულტურული და ეკონომიკური აღორძინების საქმეს; შედეგად, ხელი უნდა შეწყობოდა სოფლად კაპიტალიზმის განვითარებას. მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარული რეფორმა ორი ძირითადი საფეხურისგან შედგებოდა: პირველი, მიწების ნორმის ზევით ჩამორთმევა და მეორე, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა. რეფორმების პირველი ნაწილი 1918 წლის აგვისტოში დაიწყო და 1919 წლის შემოდგომისთვის ფაქტობრივად დასრულდა.[2] შედარებით რთული აღმოჩნდა აგრარული რეფორმის მეორე ეტაპი, რადგან მიწის ფონდის დანაწილება და გლეხობის საკუთრებაში გადასვლა კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მომხდარიყო. მიწათმოქმედების მინისტრი, სამაზრო ერობასთან შეთანხმებით, აწესებდა თითოეული რაიონისთვის მიწაზე საშუალო შეღავათიან ფასს, თუმცა გლეხები რიგ რაიონებში მიწის სიმცირეს განიცდიდნენ, განსაკუთრებით რაჭაში, ლეჩხუმში, ქუთაისის მაზრებში და ა.შ. 1919 წლის 28 იანვრის კანონით, გლეხებს მიენიჭათ პირადი თავისუფლება და მთელი მიწები მემამულეთა საკუთრებად გამოცხადდა. ეს კანონი გამიზნული იყო ფერმერული მეურნეობის აღმავლობისთვის, თუმცა, სამწუხაროდ, აგრარულმა რეფორმამ გლეხობის მდგომარეობა საბოლოოდ მაინც ვერ დააუმჯობესა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაუყოვნებლად უნდა დაწყებულიყო ეროვნული ფულის ნიშნების გამოცემა, თუმცა, ეს არცთუ იოლი აღმოჩნდა. ამ პერიოდში მიმოიქცეოდა „ამიერკავკასიის ბონი“ ხოლო 1919 წლის 11 ივლისიდან „საქართველოს ბონი“, რომელიც რუსეთის მანეთთან იყო მიბმული. „ქართული ბონის“ გამოცემით ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფორმალური ერთიანობა დაირღვა. ის იბეჭდებოდა უსაზღვროდ, რადგან საფუძვლად არ ჰქონდა არც ოქროს ვალუტა და არც სხვა განძი. გამოშვებული ბონების დიდი

1 ათანელიშვილი თ., „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921წწ.)“, გვ. 116-118.
2 იქვე, გვ. 44-50.

ნაწილი იხარჯებოდა სახელმწიფო საჭიროებაზე, სამხედრო ნაწილების სალიკვიდაციო სამუშაოებზე და სხვ. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ საქართველოში არსებული საკმაოდ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო, ბონის ღირებულება საშინელი სისწრაფით ეცემოდა და იზრდებოდა ინფლაცია.

დღის წესრიგში დადგა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათავო რგოლი - საქართველოს ცენტრალური ბანკის - შექმნის აუცილებლობა. ბანკის დაარსებისთვის საჭირო თანხა ძირითადად სახელმწიფო ხაზინამ გაიღო და მთელი მოგებაც მას ეკუთვნოდა. ცენტრალური ბანკი პირდაპირ ექვემდებარებოდა საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტს. იგი ამოქმედდა 1920 წლის ივლისიდან და მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, ანაბრების მიღება, თამასუქებისა და სხვა განძეულის ყიდვა-გაყიდვა, ასევე ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის მოკლევადიანი სესხების გაცემა. პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი, ბანკირი იასონ ლორთქიფანიძე.[3]

ფუნქციონირების მცირე ხნის მიუხედავად, ბანკმა საქართველოსთვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შექმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. სახელმწიფო ბანკის საქმიანობის შედეგად დარეგულირდა ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, შემუშავდა ფულის ახალი რეფორმის გატარების პროექტები და განხორციელდა სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. თუმცა, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდგომ დამოუკიდებლობის დაკარგვამ საქართველოს ბანკს სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ასევე საბაჟო სისტემამ. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 14 საბაჟო დაწესებულება, რომელიც რუსეთმა დაარსა, გაუქმდა და დაარსდა 19 საბაჟო, რომელთაც განაგებდა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო. ახალი საბაჟოები კვალიფიციური კადრების დეფიციტს განიცდიდა. მომუშავეებს მძიმე სოციალურ პირობებში უხდებოდათ საქმიანობა, თუმცა ისინი თავიანთ მოვალეობებს მაინც შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ.

ქვეყნის განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია სპეციალური სტატისტიკური სამსახური, რომელიც მიმდინარე პროცესების სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის სტატისტიკურ მაჩვენებლებს გამოაქვეყნებს. 1918 წლის 15 ნოემბერს დემოკრატიულ საქართველოში შეიქმნა დამოუკიდებელი ქვეყნისთვის აუცილებელი დროებითი სტატისტიკური ბიურო, მაგრამ შეზღუდული უფლებებითა და კომპეტენციებით, რადგან

3 „პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში“, საქართველოს ეროვნული ბანკი [https://www.nbg.gov.ge/index.php?m=533].

იგი დაქვემდებარებული იყო მიწათმოქმედების სამინისტროს. ეს ქმნიდა ამ სამსახურის არაეფექტიანად მუშაობის წინაპირობას.[4]

კანონები მიღებულ იქნა სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. საერთო ჯამში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობამ შექმნა იურიდიული ბაზისი ახალი ტიპის ქართული სახელმწიფოებრიობისათვის.

ქვეყნის განვითარების კურსი და მთავრობის პოლიტიკა

ხანმოკლე არსებობის მიუხედავად ქვეყნის ხელისუფლებამ შეძლო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება: დაადგინა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრები, ქართული ენა გამოაცხადა სახელმწიფო ენად, განახორციელა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა ეროვნული გვარდია და რეგულარული არმია, ასევე ადგილობრივი მართვის ორგანოები, პროფესიული კავშირები, მიიღო რესპუბლიკის კონსტიტუცია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონი მიღებულია 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ. კონსტიტუცია გამოირჩევა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებით. ის აცხადებს კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობას და კრძალავს წოდებრივ განსხვავებას. პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება ტრადიციული ქართული ტოლერანტობით მოეკიდა უმცირესობების უფლებებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიისა და სახელმწიფოებრიობის განვითარებაში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანი თარიღია 1917 წლის 12 მარტი. ამ დღეს მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ქართველმა სამღვდელოებამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება - საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.[5] საპატრიარქომ ეპისტოლეები დაუგზავნა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების პატრიარქებს და მათ ძველი კავშირ-ურთიერთობათა აღდგენა სთხოვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სათანადო ყურადღება ვერ დაუთმო მართლმადიდებელ ეკლესიას. ხელისუფლებამ მიიღო არაერთი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც შეზღუდა ეკლესიის უფლებები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გაუთანაბრდა საქართველოში მოქმედ სხვა რელიგიურ მიმდინარეობებს.

---

4 ათანელიშვილი თ., „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1918-1921წწ.)“, გვ. 160-161.

5 ვარდოსანიძე ს., „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1918-1952 წლებში“, თბილისი, 2001 წ. [http://www.library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=391:-1917-1921-&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka].

საგარეო პოლიტიკის სფეროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმთავრეს ამოცანას მისი სუვერენიტეტის საერთაშორისო ცნობა და აღიარება წარმოადგენდა. ხელისუფლების ძალისხმევაც ამ კუთხით წარიმართა. პირველი სახელმწიფო, რომელთანაც საქართველოს დემოკრატიულმა რეპუბლიკამ საერთაშორისო ურთიერთობები დაამყარა, გერმანია იყო. 1918 წლის 28 მაისს ფოთში ხელმოწერილ იქნა გერმანია-საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც ომის მდგომარეობიდან გამომდინარე, ორ ქვეყანას შორის სამხედრო, ფინანსურ და სავაჭრო პრობლემებს აწესრიგებდა. გერმანელები არ ჩარეულან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, პირიქით, როდესაც 1918 წლის ივნისში საქართველოს სამხრეთ ნაწილში შემოიჭრნენ, გერმანელმა ჯარისკაცებმა სიცოცხლის სანაცვლოდ დაიცვეს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. 1918 წლის ივლისში თბილისში დაარსდა გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოება, ჩამოყალიბდა სავაჭრო პალატა, განიხილებოდა 50 მილიონი მარკის სესხად გამოყოფა, თუმცა ამ საქმიან ურთიერთობებს გაგრძელება არ ეწერა.[6]

საქართველომ და აზერბაიჯანმა დე ფაქტო ცნეს ერთმანეთის სუვერენიტეტი, მაგრამ საზღვრების გამიჯვნას აზერბაიჯანული ხელისუფლება რელიგიური პრინციპით აპირებდა. შესაბამისად, ის საქართველოს ზაქათალის ოლქს, მუსლიმებით დასახლებულ ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებს ეცილებოდა. რეალურად ეს ტერიტორია ისტორიულად საქართველოს კუთვნილი იყო, თუმცა, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მეზობელმა ქვეყანამ ზაქათალას ოლქი სამხედრო ძალით დაიკავა. საქართველოს მთავრობის პროტესტს რეალური შედეგი არც საინგილოს დაპყრობის შემდეგ არ მოჰყოლია. გეოსტრატეგიული ინტერესები, სამეურნეო და ეკონომიკური საჭიროებანი, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებს ურთიერთდაახლოების და პარტნიორობისკენ უბიძგებდა, მაგრამ რეალური ქმედება საპირისპიროდ იყო მიმართული. ბათუმის ოლქში ჩამოყალიბებული აზერბაიჯანული ორგანიზაციები მოქმედებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ. ისინი ადგილობრივ მაჰმადიან მოსახლეობაში ეწეოდნენ სხვადასხვა სახის აგიტაციას, ხელს უწყობდნენ სეპარატიზმის გაღვივებას. საქართველოს ხელისუფლება უსაფრთხოების დაცვის მიზნით გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავდა, მაგრამ სიტუაციის გამწვავებას აშკარად ერიდებოდა.

საქართველოს ხელისუფლება საზღვრების დადგენას ისტორიული, ეკონომიკური, სტრატეგიული და სხვა პარამეტრებით მიუდგა. სომხეთის მმართველი წრეები ტერიტორიულ გამიჯვნას ეთნიკური და რეალური მოსახლეობის პრინციპით მოითხოვდნენ. მეზობელი ქვეყანა საქართველოს ლორე-ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს ეცილებოდა,

6 "დროთა კავშირი", გაზეთი „24 საათი", თბილისი 2008, [https://burusi.wordpress.com/2009/07/20/საქართველოს-დემოკრატიულ/]

ასევე ჰქონდა პრეტენზია თბილისზე, გორზე, ბათუმსა და ბათუმის ოლქზე. 1918 წლის დეკემბერში ადგილი ჰქონდა სომხეთ-საქართველოს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებას, რომლის მთავარი მიზეზი მეზობელი ქვეყნის მთავრობის უსაფუძვლო მოთხოვნა იყო ქვემო ქართლის, ახალციხისა და ახალქალაქის ტერიტორიებისა. საქართველოს ჯარის მიერ მიღწეული წარმატების მიუხედავად, ამ ფაქტის იურიდიული განმტკიცება ვერ მოხერხდა ინგლისის სამხედრო მისიის დესტრუქციული პოზიციის გამო. 1919 წლის იანვარში დადებული შეთანხმებით, ქართული ტერიტორიის ნაწილი - ლორეს ხეობა - ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა.

საქართველოს შეიარაღებული დაპირისპირება ჰქონდა თურქეთთანაც. 1919 წლის დამდეგს თურქეთის დახმარებით სამხრეთ საქართველოში დროებით გაიმარჯვა სეპარატისტულმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სერვერ-ბეგ ჯაყელი. მან დაიკავა ახალციხე და ახალქალაქი. ქართულმა ჯარმა გენერალ გ. კვინიტაძის სარდლობით ამავე წლის თებერვალში სეპარატისტული ძალები გაანადგურა და ტერიტორიები უკან დაუბრუნა.

საქართველოს დამოუკიდებლობას, რა თქმა უნდა, მტრულად შეხვდა რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი, რომლიც უმთავრეს მიზანს წარმოდგენდა ქვეყნის ყოფილი ცარისტული იმპერიის სრულ საზღვრებში აღდგენა. 1921 წლის თებერვალში, როცა წითელი არმია საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, საქართველო იძულებული გახდა ქემალის მოთხოვნა შეესრულებინა და ჯარი არტაან-ართვინიდან გაიყვანა. ქიაზიმ ბეიმ ნოე ჟორდანიას აცნობა, რომ ორ ქვეყანას შორის სადავო საკითხები ამოწურული იყო და თურქეთი საქართველოს ბოლშევიკური აგრესიის მოგერიებაში დაეხმარებოდა. შეთანხმების თანახმად, 1921 წლის 11 მარტს თურქეთის სამხედრო დანაყოფები შევიდნენ როგორც ბათუმში, ასევე ახალქალაქსა და ახალციხის მაზრებში, მაგრამ არა დასახმარებლად, არამედ ოკუპაციისთვის. 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში დაიდო რუსეთ-თურქეთს შორის „ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულება“, რომლის თანახმადაც, ბათუმი საქართველოს უნდა დარჩენოდა, ართვინისა და არტაანის ოლქები - თურქეთს. [7]

მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის გარდა, ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მისი სუვერენიტეტის აღიარებას საერთაშორისო მასშტაბით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პარიზის კონფერენცია (1919წ. იანვარი-1920წ. დეკემბერი). ქართული დელეგაცია ნ. ჩხეიძის თავჯდომარეობით 1919 წლის მარტიდან მომდევნო წლის ბოლომდე იმყოფებოდა.

1921 წლის იანვარში მოკავშირე სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ, რამდენიმედღიანი განხილვის შემდეგ, გაიზიარა საფრანგეთის წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის დე

7 „საქართველო 1918-1921 წლებში“, 2010 წელი, [http://www.geo-army.ge/index.php?option=com_content&view=article&id=90&lang=ka]

იურედ ცნობის შესახებ. მათ შორის, ვინც საქართველოს დემოკრატიული სუვერენიტეტი იურიდიულად აღიარა, იყვნენ: საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, იაპონია, ბელგია(1921წ. 27 იანვარ), ავსტრია, რუმინეთი, ლუქსემბურგი, ჰაიტი, ლიბია, მექსიკა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო აღიარება სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესი წარმატება იყო, მაგრამ ამ მიღწევას ჩრდილს ჰფენდა 1920 წლის 16 დეკემბერს ჟენევაში მიღებული გადაწყვეტილება. ერთა ლიგის 24 სახელმწიფოდან უმრავლესობამ ირწმუნა ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა თვალსაზრისი და საბოლოოდ საქართველო ერთა ლიგის წევრი ვერ გახდა.

1920 წლის ბოლოსთვის რესპუბლიკაში უკვე აშკარად შეიმჩნეოდა ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ნიშნები. საქართველოს დროებით დაუბრუნდა ბათუმის ოლქი, აღმავლობას იწყებს მეცნიერება და კულტურა. თბილისში გაიხსნა სასწავლებლები- უნივერსიტეტი და კონსერვატორია. რომ არა ახალი ინტერვენცია და ანექსია საქართველო თავს დააღწევდა კრიზისს და გააგრძელებდა დამოუკიდებელი განვითარების გზას.

საქართველოს წინააღმდეგ მორიგი ომის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისი, მომზადება რუსეთში 1921 წლის იანვარში დასრულდა. 26 იანვარს მოსკოვში ლენინის ინიციატივით მიღებულ იქნა საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპაციის შესახებ და იქვე დამტკიცდა ომის გეგმა. 25 თებერვალს რუსულმა არმიამ თბილისი დაიკავა. საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების უმრავლესობა 1921 წლის 17 მარტს ემიგრაციაში წავიდა.

ამრიგად, 1918-1921 წლების დამოუკიდებლობის პერიოდი დასრულდა რუსეთ-საქართველოს მორიგი ომით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემით და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებით.

Nino Chutlashvili

Economic Reforms and Policies in the First Republic of Georgia

The article aims to examine economic reforms and policies developed and implemented in democratic republic of Georgia, in order to better understand social–political and cultural situation characteristic to the the country's historical development of the time.

During 1917-1921, with the creation of the first independent republic, Georgia undertook the path of significant and substantial changes. Despite of the short period of time, the Government implemented a number of important economic reforms: established monopoly on particular exported goods, agricultural reform was carried out, customs system was completely transformed, monetary and financial system was created, a new monetary unit named "Georgian Bonnie" was introduced, accordingly - Central Bank and special Statistics Office was founded. Along with the economic reforms special importance also lays with internal and foreign policy of the government of Georgia: issuing a main law of democratic republic – constitution, forming the peaceful relations with neighboring countries - Azerbaijan, Armenia, Russia, Turkey and Germany, establishment of the church autocephaly and others.

ლიტერატურა:

1. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა", გაზეთი „24 საათი", 17 მაისი 2008 წელი, https://burusi.wordpress.com/2009/07/20/საქართველოს-დემოკრატიულ/
2. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1921 წლებში", საეკლესიო ბიბლიოთეკა, 7 ივლისი 2011 წელი, http://www.library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=391:-1917-1921-&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=ka
3. „პირველი ცენტრალური ბანკი საქართველოში", საქართველოს ეროვნული ბანკი, https://www.nbg.gov.ge/index.php?m=426
4. „ეკონომიკური რეფორმები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921წწ)", თამარ ათანელიშვილი, http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000363/Atanelishvili%20T.pdf

რეომირი ჭითანავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკა

1917-1918 წლებში შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა. დამოუკიდებლობის გამოცხადება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მაგრამ არასაკმარისი მისი შემდგომი განვითარებისათვის სწორი ნაბიჯების გადადგმის გარეშე. აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცება. ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას, მძიმე მემკვიდრეობის პირობებში, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანას შეეძლო ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში არსებობა.

სტატიაში განხილულია თუ რამდენად აქტუალურია ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა დემოკრატიულ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების ჩატარების პროცესში, კერძოდ, მთავრობის ეკონომიკური დეკლარაციები და მისი ცხოვრებაში გატარება, მათ შორის: სახელმწიფო მონოპოლიების გამოცხადება, რეფორმები – აგრარულ, ფულად-საკრედიტო-საბანკო სფეროებში, სხვა ინსტიტუციური რეფორმები ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით და სხვ.

* * *

1917-1918 წლებში შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, 1918 წლის 26 მაისს, საქართველომ დამოუკიდებლობა აღადგინა. დამოუკიდებლობის გამოცხადება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მაგრამ არასაკმარისი მისი შემდგომი განვითარებისათვის სწორი ნაბიჯების გადადგმის გარეშე. აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება-განმტკიცება. ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას, მძიმე მემკვიდრეობის პირობებში, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანას შეეძლო ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში არსებობა. უაღრესად აქტუალურია ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა დემოკრატიულ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების ჩატარების პროცესში, კერძოდ, მთავრობის ეკონომიკური დეკლარაციები და მისი ცხოვრებაში გატარება, მათ შორის: სახელმწიფო მონოპოლიების

გამოცხადება, რეფორმები _ აგრარულ, ფულად-საკრედიტო-საბანკო სფეროებში, სხვა ინსტიტუციური რეფორმები ეკონომიკის მართვის თვალსაზრისით და სხვ.

რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილ საქართველოს ჰქონდა დამოუკიდებელი ეკონომიკური ორგანიზმის შექმნის ყველა აუცილებელი წინაპირობა: კერძოდ,მდიდარი ბუნებრივი რესურსი, საკმარისი ტერიტორია და მოსახლეობა, საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობა, სახელმწიფოებრივი მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება.[1]

საქართველოს იმდროინდელ მთავრობას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. დამოუკიდებელი ქვეყნის მშენებლობას ხელს უშლიდა მტრულად განწყობილი ძალები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) დასრულების პერიოდში. ომმა მსოფლიო ეკონომიკურ გავითარებას ძლიერი დარტყმა მიაყენა. მოიშალა წარმოება, ფინანსები, იმატა ინფლაციამ, პროდუქტებზე ფასების ზრდამ დააქვეითა მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა,მოიშალა ტრადიციული საექსპორტო ბაზრები.

ქვეყნის განვითარებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო ხაზინის შევსება. პირდაპირი გადასახადები თითქმის არ შედიოდა, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა დაკარგა მნიშვნელობა. ფინანსური პოლიტიკის სისუსტე საკუთარი ფულადი ერთეულის უქონლობაშიც გამოიხატა: «სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ფულის სისტემა, მას საფუძვლად უნდა ქონდეს ფონდი (ვალუტა) ლითონის სახით»[2] ნათელი იყო, რომ საკუთარი ფულის გარეშე დამოუკიდებელი ქვეყანა ვერ იარსებებდა. «1918 წლის 7 თვის თავისუფლება ჩვენმა მთავრობამ 26 მლნ ვალით დაასრულა»[3]

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26 მაისი) დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის უპირველესი ამოცანა იყო იმ საფრთხის თავიდან აცილება, რომელიც ახალგაზრდა სახელმწიფოს ემუქრებოდა. დემოკრატიული საქართველოს პირველი მთავრობის დეკლარაცია წარმოადგენდა იმ დოკუმენტს, რომელზეც ქვეყნის მომავლის განვითარების ძირითადი სტრატეგია უნდა აგებულიყო. დეკლარაცია 1918 წლის 15 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომას განსახილველად წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა. [4]

საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების განხორციელების სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა: ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება, დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა და მათ შორის საკუთარი ფულის მოჭრა; სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება; რიგი პროდუქტების მიმოქცევაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება;

---

1 საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან: **პრობლემები**, პერსპექტივები. გამომცემლობა სიახლე თბ.2000წ გვ.42

2 სცსსა, ფონდი 1825, აღწერა 1, საქმე 49, ფურცელი 24.

3 გაზეთი ,,ერთობა", #253, 22 ნოემბერი, 1918 წელი.

4 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, გვ.54

აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სხვ. მანამდე კი, ვიდრე ეს რთული საქმე მოგვარდებოდა, მთავრობა ყველა ზომას მიმართავდა შიდა და საგარეო სესხების მოსაზიდად.

მთავრობა ინტენსიურად შეუდგა შემოსავლის და ქონების მიხედვით პროგრამული გადასახადის შემოღებას და საგადასახადო სისტემის გარდაქმნას მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა დიდი ძალისხმევით შეუდგა დაწყებული აგარარული რეფორმის განხორციელებას და ამ გზაზე დაბრკოლების დაძლევას. წარმოებრივ ძალთა განვითარების უზრუნველყოფის წინა პირობების შესაქმნელად, ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად, უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობამ განიზრახა ქვეყანაში უკეთ მოეწყო სარკინიგზო საქმე, ტყეების ექსპლოატაცია, შედგომოდა არხების გაყვანას და ეზრუნა ინტენსიური აგრარული მეურნეობის დამკვიდრებისათვის. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენების მიზნით, მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა: ყოველგვარი მადნეულის სახელმწიფო საკუთრებად აღიარება და შესაბამისი კანონპროექტის წარდგენა ეროვნულ საბჭოში; სახელმწიფო კონტროლის დაწესება საზღვარგარეთ ნედლი მასალის გატანაზე; სოციალური კანონმდებლობის განვითარება და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა; სათანადო ზომების მიღება სურსათით ხალხის უზრუნველსაყოფად. მთავრობა იმედოვნებდა, რომ ახლო მომავალში სახელმწიფო საქმეების უკეთესად მართვისა და განმტკიცებისათვის მოიწვევდნენ დამფუძნებელ კრებას. ასევე იმედოვნებდა, რომ ქართველი ხალხი ყოველგვარ დაბრკოლებას დაძლევდა, ყველა მოქალაქე სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობით აღიჭურვებოდა და მისი აღმშენებლობის საქმეში თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანდა.

მალე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამი კვირის თავზე, 24 ივნისს, გადადგა პირველი მთავრობა და აირჩიეს ახალი მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

ნ. ჟორდანიას განცხადებით, მინისტრები რჩებოდნენ თანამდებობებზე, შეიცვლებოდნენ მხოლოდ მათი მოადგილეები. ასევე «მთავრობის მოქმედების პროგრამა უცვლელი რჩება, უნდა შეიცვალოს მხოლოდ მოქმედების მეთოდი»[5].

ახალი მთავრობაც მიზნად ისახავდა: მართვა-გამგეობის გამარტივებას ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებზე დაყრდნობით, ასევე, საერობო თვითმმართველობის შექმნას იმ მაზრებში, სადაც ეს ჯერ ვერ განხორციელდა; სასამართლო რეფორმის დასრულებას და მის ეფექტიან ამოქმედებას, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას და უმაღლესი სასამართლოს დაარსებას; საყოველთაო შეიარაღების დაკანონებას; უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხთა მიწებით უზრუნველსაყოფად

5 გაზეთი ,,ერთობა'', #130, 26 ივნისი, 1918 წელი.

აგრარული რეფორმის დაჩქარებას და აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის აღორძინებას.

მთავრობა თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა მძიმე ფინანსური კრიზისიდან გამოსავალი გზების გამონახვას. ქვეყანა ფაქტობრივად მოწყდა მსოფლიო ბაზარს და სამრეწველო ცენტრებს, იგი ძირითადად საკუთარი ძალებით იკმაყოფილებდა სხვადასხვა მოთხოვნილებას.

საქართველოს რესპუბლიკის პირველსავე წლებში ფინანსური მდგომარეობა დამძიმდა, საგადასახადო შემოსავლებიც აღარ იზრდებოდა, გასახადების წყაროებიც ამოიწურა. საჭირო გახდა შემოსავლის ახალი წყაროების ძიება. შემოსავლების დამატებითი წყაროების ძიების გზად ზოგიერთ საქონლის ექსპორტზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება ჩაითვალა, რათა მოგების მეტი ნაწილი შესულიყო სახელმწიფოს ხაზინაში. ერთ-ერთი ასეთი საქონელი იყო ჭიათურის მაღალხარისხოვანი შავი ქვა _ მარგანეცი, რომლის ექსპორტი არასახარბიელოდ მიმდინარეობდა. საქართველოს მადნეულებში პირველი ადგილი შავ ქვას ეკავა, რომელიც სხვადასხვა საწარმოში მუშავდებოდა. კერძოდ, 1904-1913 წწ.: საშუალოდ 205 ფირმა ემსახურებოდა შავი ქვის დამუშავებას და მათგან მხოლოდ 8 ფირმას გაჰქონდა შავი ქვა საზღვარგარეთ. მათ დიდი კავშირი ჰქონდათ ამერიკასთან და ინგლისთან. აგრეთვე დიდი ფინანსური საშუალება გააჩნდათ ამ პროდუქციის შეუზღუდავი ექსპორტირებისათვის, შეეძლოთ შესასყიდი ფასების შემცირებაც და მეტი მოგების მიღებაც, ეს მოგება კი წარმოების გაფართოებას და მუშაკთა ხელფასების ზრდას არ ხმარდებოდა.

შუამავლების მეშვეობით ჭიათურის პროდუქცია ბაზარზე გადიოდა გაუწმენდავი, სილაგარეული სახით და ამით სახელი ელახებოდა ქართული მარგანეცის ხარისხს, მოგების დიდი ნაწილიც უცხოეთში რჩებოდა. ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად წვრილი მრეწველი მწარმოებლების გაერთიანება იყო საჭირო. ვაჭრობა-მრეწველობის და ფინანსთა სამინისტროს ჩარევით მცირე ფირმების ნაწილი ჭიათურის მარგანეცის (შავი ქვის) მრეწველთა აქციონერული საზოგადოების სახით გაერთიანდა. მისი წესდება სამინისტროს მიერ 1918 წლის 27 სექტემბერს დამტკიცდა. საზოგადოების ძირითადი თანხა 30 მილიონ ოქროს მანეთს შეადგენდა, მასში გაერთიანდა 165 მცირე საწარმო თავისი ქონებით.

საქართველო იმთავითვე აგრარული ქვეყანა იყო და ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური აღორძინების მთავარ საფუძველს აგრარული რეფორმის სწორად წარმართვა წარმოადგენდა. ამ რეფორმის მთავარი შემოქმედი სოფლის მეურნეობის მინისტრი ნოე ხომერიკი იყო. ქვეყნის მოსახლეობის 80%-ზე მეტი სოფლად ცხოვრობდა, გლეხობის 60-64% ძირითადად იჯარით აღებული მიწით სარგებლობდა. გლეხობა დიდი ხანია ელოდა მიწაზე კერძო საკუთრების პრობლემის მოგვარებას.

1918 წლის 17 მარტს მიღებულმა კანონმა «ჩამორთმეული მიწების პატრონთა სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ» სრულყო 7 მარტის კანონი, რომლის მიხედვითაც 1) სამაზრო საადგილმამულო კომიტეტს და,

სადაც ასეთები არ არის, მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულთ უფლება მიეცათ, მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევასთან ერთად ჩამოერთვათ ინვენტარიც, თუ ეს საჭირო იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. ამასთან, მემამულეებს უნარჩუნდებოდათ მიწის დასამუშავებლად აუცილებელი ინვენტარი; 2) ჩამორთმეულ ინვენტარში მემამულეს უნაზღაურდებოდა თანხა მიწათმოქმედების მინისტრის მიერ დადგენილი წესით; 3) საადგილმამულო კომიტეტების ან მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულებს შეეძლოთ ჩამორთმეული ინვენტარი დაეტოვებინათ ან გადაეცათ მიწის დამმუშავებლებისათვის (საჭიროების შემთხვევაში) საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში; 4) ინვენტარის რეკვიზიციის ან მისი განაწილების ყოველი ფაქტი სამაზრო კომიტეტებს უნდა ეცნობებინათ საგუბერნიო კომიტეტისათვის.[6]

მიუხედავად სირთულეებისა, მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა მაინც მისაღები იყო როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით: «ამრიგათ რეფორმის გეგმა ასეთია: მიწა მიეცემათ _ 1) საკუთრებათ, 2) მხოლოდ უმიწა-წყლოთ და მცირე მიწის მქონეთ, 3) მცირე საფასურით (500-1000 მანეთამდე დესეტინა), 4) ფასებს აწესებს სამინისტრო რაიონების მიხედვით, 5) უკანასკნელთა ფარგალში ფასს აწესებს კომისია, მიწის ღირებულების მიხედვით».

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვეტილიყო ეროვნული ფულის ნიშნების გამოცემის საკითხი, რამდენადაც დამოუკიდებელი ქვეყანა ეროვნული ვალუტის გარეშე ვერ იარსებებდა. ეროვნული ფულის ნიშნის შემოღება არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. ამ პერიოდში მიმოიქცეოდა «ამიერკავკასიის ბონები», შემდეგ «საქართველოს ბონი», რომლებიც რუსეთის მანეთთან იყო მიბმული. 1920 წლის შემოდგომაზე გამართულ ეკონომიკურ თათბირზე ნ. ხომერიკი მიუთითებდა: «როცა სახელმწიფო შევქმენით ჩვენ არ გვქონდა არც ოქროს ვალუტა, არც სხვა განძი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა ჩვენი ფულის ტრიალს, ამიტომ ჩვენ ფულის მაგიერ გამოვეცით ბონები _ ეს ფულის სუროგატი და დღემდე ამით გაგვქონდა თავი. მისი რაოდენობა არ იყო განსაზღვრული, ბონები იბეჭდებოდა უსაზღვროთ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მისი ერთადერთი საზღვარი ჩვენი საჭიროება იყო».[7]

საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის საქმეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მოწესრიგებული საბანკო-საკრედიტო ურთიერთობების განვითარებისათვის სახელმწიფომ ყველა პირობა უნდა შექმნას, რათა საზოგადოება მისდამი ნდობით განიმსჭვალოს. დემოკრატიულ საქართველოში რუსეთის მიერ დაარსებული ბანკები ძირითადად რუსული

6 ხომერიკი.ნ., აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა
7 გაზეთი ,,ერთობა'', #236, 17 ოქტომბერი, 1920 წელი.

კაპიტალის ინტერესებს ემსახურებოდნენ და არ იყვნენ დაინტერესებულნი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებით. ისინი, ძირითადად მოკლევადიანი კრედიტების გაცემით უზრუნველყოფდნენ მაქსიმალურ მოგებას. მათი კლიენტურაც ძირითადად ვაჭრებით შემოიფარგლებოდა.[8]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკაზე განსაკუთრებულ მძიმე ზეგავლენას ახდენდა ბიუჯეტის დეფიციტი, ინფლაციის ტემპების ზრდა და საერთოდ, ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აუცილებელი იყო ქვეყანაში საკუთარი მრეწველობის, სამუშაო ძალების ამოქმედება, მოსახლეობის მოთხოვნილების დიდწილად საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილება. ქვეყნის სავაჭრო დეფიციტის დაძლევა და ფულის გაუფასურების შეჩერება. ქვეყანაში გადაუდებელ აუცილებლობად იქცა ეკონომიკის გაჯანსაღება, მისი მომავალი განვითარების პროგნოზირება და ამ მიზნით _ პროფესიონალთა ძალების გაერთიანება, მათი მუშაობის კოორდინირება. ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების გადასაწყვეტად მიზანშეწონილად ჩაითვალა უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შექმნა, რომელიც უნდა ყოფილიყო უმაღლესი დაწესებულება, რომლის გარშემოც შეიკრიბებოდა რესპუბლიკის ყველა წამყვანი პროფესიონალი ძალა, რომლებიც შეადგენდნენ ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ გეგმას. უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში მუშაობის უკეთ კოორდინაციის მიზნით გათვალისწინებული იყო: სამი განყოფილება (წარმოების, ვაჭრობის, ფინანსების); უფლებანი; ოთხი სექცია (სახელმწიფო, მუნიციპალური, კოოპერატივების და კერძო «თაოსნობის» მეურნეობების); შემადგენლობა (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, მინისტრები, სახელმწიფო კონტროლიორი...); მუშაობის წესი და სხვა.

უმაღლესმა ეკონომიკურმა საბჭომ ფუნქციონირება ვერ შეძლო, რამეთუ სულ მალე საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ცნობილი მოვლენების გამო არსებობა შეწყვიტა. მიუხედავად ამისა, «საბჭოს იდეები» აქტუალობას არ კარგავს.

8 კ.კანდელაკი საქართველოს ეროვნული მეურნეობა წიგნი II გვ126

Reomir Tchitanava

Economic Reforms and Policies in the First Republic of Georgia

International situation in 1917-1918 enabled Georgia to proclaim its independence on 26th of May, 1918. The declaration is a significant event, but without correct measures, it is not sufficient for its further development. It was necessary to retain and strengthen its independence. With heavy legacy at its hands, the young Republic was allotted with extensive responsibilities. The Government of Georgian Democratic Republic had to prove that the country was capable of independent economic and political existence.

The article examines importance of the experiences allocated throughout the process of implementing economic reforms in democratic Georgia, such as government's economic declarations and their application in practice, including: state monopolies, agricultural and monetary-banking reforms, other institutional initiatives in economic management, etc.

ლიტერატურა:

1. აბუთიძე.რ., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918- 1921), თბილისი, 1991 წ.
2. ბენდიანიშვილი.ა., საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბილისი, 2000 წ.
3. გურული.ვ.,დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკა 1918-1921 წწ., სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1990 წ.
4. კანდელაკი.კ, საქართველოს ეროვნული მეურნეობა
5. ხომერიკი.ნ., აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა